



ართთულო ეკლესიის ისტორიის

მასალები და გამოკვლევები

4

სერიის სარედაქციო კოლეგია:

ირინე აბულაძე, ზაზა ალაფსიძე,
ზვიად ბოკუჩავა, აკაკი ბრეგვაძე,
ვიხელ ვან უზაროძი, ზურაბ კიკნაძე, შან-აიურ მავა,
რობერტ ტომუნდი, ბარნარ უტია, ვიხაილ ქავთარია,
ციალა შურციქია, ნოდარ შოშიაშვილი,
ვლიური ჭალიძე, ლილი ხავესურიანი

სერიის მხატვარი
ილია უთურაშვილი

წმიდაო გიორგი,
შეინყალე და იხსენ ყოვლისა ბოროტისაგან
შემომწირველი ამა წიგნისა
თამაზ მალლაქელიძე



სტრიგოლუ თვერაძე

სუცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის
ქართველი ბერებისა და ქართული
მონასტრების შესახებ

გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და
დამატებითი შენიშვნები დაურთო

ბონა ჯაშარიძემ



გამომცემლობა „კანდელი“ თბილისი 1995

**FOUNDATION FOR THE STUDY OF THE HISTORY
OF THE GEORGIAN CHURCH**

Series:

**HISTORY OF THE GEORGIAN CHURCH,
MATERIALS AND STUDIES**

4

Editorial Board of the Series:

**IRINE ABULADZE, ZAZA ALEXIDZE,
ZVIAD BOKUCHAVA, AKAKI BREGADZE,
MICHEL-VAN ESBROECK, ZURAB KIKNADZE,
JEAN-PIERRE MAHÉ, ROBERT W. THOMSON,
BERNARD OUTTIER, MIKHEIL KAVTARIA,
TSIALA KURTSIKIDZE, NODAR SHOSHIASHVILI,
EDISHER CHELIDZE, LILI KHEVSURIANI**

**Designer of the series:
ILIA UTURASHVILI**

GREGORY PERADZE

**AN ACCOUNT OF THE GEORGIAN MONKS AND
MONASTERIES IN PALESTINE AS REVEALED IN
THE WRITINGS OF NON-GEORGIAN PILGRIMS.**

Prepared for publication in Georgian, with an introduction and
additional notes by GOTCHA I. DJAPARIDZE

Archimandrite Gregory Peradze (1899–1942), a well-known Georgian researcher, Doctor of Philosophy of Bonn University, Professor of Patrology of the University of Warsaw, Rector of the St Nino Georgian Church in Paris, is the author of many notable studies on problems of the history of Old Georgian literature. He is credited with significant scholarly discoveries, including that of the Georgian MS of the Typicon of the Petritsoni Monastery in the Public Library of Sofia, and of the so-called Tischendorf MS of the *Agapae* of the Monastery of the Cross at the University Library in Leipzig University. In the final years of his life, Peradze worked at Warsaw University. Arrested for anti-nazi activity, he perished in the Oswiecim concentration camp.

Peradze's extensive study *An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine*, published in 1937 in the *Georgica*, "A Journal of Georgian and Caucasian Studies" (vols. 4 and 5, pp. 181–246), holds a special place in his scholarly legacy. It is based on the notes on the Georgian monasteries in Palestine, made by European pilgrims and travellers who visited the Holy Land in the 5th–19th centuries. In these records Peradze brought to light information about the early activity of the Georgians in Palestine, discussing on its basis the state of Georgian churches and monasteries and of Georgians in the Holy Land till the 10th century, during the Latin domination, and in the 12th–19th centuries. He studied the history of individual Georgian monasteries. No researcher interested in the activities of Georgians in Palestine can bypass this study.

რედაქტორი
არიანე ჯანტუჩია

მხატვარი
ვაჟა ქურხული

„ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდი“ და
გამომცემლობა „კანდელი“ დიდ მადლობას უხდიან ბა-
ტონებს ირაკლი ანჯაფარიძეს, ლერი იობაძეს და ს/ს
„ბეჭედითი სიტყვის კომბინატის“ თანამშრომლებს მუდმივი
თანადგომისა და გულთბილი დამოკიდებულებისათვის

შინაარსი

გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა — გონა ჯაფარიძე	9
შესავალი	21
ნაწილი პირველი	
ნაწევრები პილგრიმული ლიტერატურიდან საქართველოსა და პალესტინის ქართველ ბერებზე	25
ნაწილი მეორე:	
საქართველოსა და პალესტინაში ქართველ ბერებთან დაკავში- რებული ფაქტების გამოსავლენად ჩატარებული პილგრიმული ლიტერატურის კვლევის შედეგები	70
დამატება	
პალესტინის ქართული წარწერების შესახებ	128
მოკლე შინაარსი	147
გრიგოლ ფერაძის სწავლების ბიბლიოგრაფია	148





გრიგოლ ფერაძის ცხოვრება და მოღვაწეობა

გრიგოლ რომანოზის ძე ფერაძე უმნიშვნელოვანესი ფიგურაა იმ ქართველ მეცნიერთა შორის, რომლებმაც უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიიღეს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ სამუდამოდ დარჩნენ უცხოეთში. ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი, იმავე უნივერსიტეტის პრიატ-დოცენტი, პარიზის წმ. ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის დამაარსებელი და მისი პირველი წინამძღვარი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე ტრაგიკულად დაიღუპა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში 1942 წელს.

გრიგოლ ფერაძის შესახებ უკანასკნელ ხანებში არაერთხელ, საკმაოდ ვრცლად, ბევრი რამ დაიწერა¹. ამიტომ აქ მისი ბიოგრაფიის მხოლოდ ძირითად მოუღვენებს შეგვხებით.

¹ გრიგოლ ფერაძე თავად მოგვითხრობს თავისი ცხოვრების ადრეულ წლებზე და გერმანიაში სწავლის პერიოდზე. იხ. — გრ. ფერაძე, ბიოგრაფია. — „ჯეორი ვაზისა“, 1, პარიზი, 1931, გვ. 9—11. მისივე, ჩემი სწავლა-განათლების წლები გერმანიაში. — ურნ. „რელიგია.“ №6. 1922, გვ. 90—92; მისივე, ავტობიოგრაფია (1923 წ.) — გ. შარაძე გრიგოლ ფერაძე. — უცხოეთის ცის ქვეშ. წაგნი შეორე. თბ., 1993, გვ. 395. პირველი ინფორმაცია გრიგოლ ფერაძის მოწამებრივ სიკვდილზე ქართულ ემიგრანტულ გამოცემაში. 1952 წ. ეკუთვნის ცნობილ რუსთველოლოგ ვიქტორ ნოზაძეს („ამბული“, III, №5, ბუენოს აირესი). საქართველოში პირველი საგანგებო წერილი მას მიუძღვნა ოსებ მეგრულასემ (გაზ. „სამშობლო“, 24.X.1969). ამ უკანასკნელს ეკუთვნის სტატიაც გრიგოლ ფერაძის შესახებ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. X, თბ., 1986, გვ. 261). დიდი დაშახურება გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში მიუძღვით პოლონელ მკვლევარებს ლენჩევსკის (*M. Lenczewski* Ksiadz prof. dr archymandrita Grzegorz Peradze. - „Wiadomości Polskiego Autokefalicznego Koscioła Prawoslawnego“ შემდგ.: (WPAKP), IV/2, Warszawa, 1974, გვ. 61-67; მ. ლენჩევსკი. მოძღვარი. პროფესორი. დოქტორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. — ურნ. „ჯეორი ვაზისა“, №2,

გრიგოლ ფერაძე დაიბადა 1899 წლის 31 აგვისტოს სოფ. ბაკურციხეში (სიღნაღის მაზრა), მღვდლის ოჯახში. 1913 წ. დაასრულა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1918 წ. – სასულიერო სემინარია. 1919 წ. ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო შეწყვიტა სწავლა. 1921 წ. კელაქ დაუბრუნდა უნივერსიტეტს. იმავე წლის ნოემბერში საქართველოს საკათალიკოსოს სინოდის დადგენილებით გრიგოლ ფერაძე თეოლოგიური განათლების მისაღებად გერმანიაში გაიგზავნა.

1922 წლის 12 მაისს გრიგოლ ფერაძე ბერლინის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. თეოლოგიასთან ერთად სწავლობდა ბერძნულსა და აღმოსავლურ (ებრაულ, სირიულ, არაბულ, კობტურ, სომხურ) ენებს. დაეუფლა ლათინურს, გერმანულს, ინგლისურს, ფრანგულს და ცოტა მოგვიანებით (1933 წლისთვის) – პოლონურს. იცოდა ძველი სლავური და რუსულიც. მისი მასწავლებლები იყვნენ ა.ფონ კარნაკი, ა.დაისმანი, კ.პოლი, კ.ბროკელმანი და ბ.მაისნერი. ბერლინის

თბ., 1983, გვ. 39–41) და განსაკუთრებით პენრიკ პაპროსკის 1986 წ. პოლონეთში დაიბეჭდა მისი ერთელი სტატია არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის შესახებ (WPAKP, XVI/3–4, Warszawa, გვ. 7-27), რომელიც ითარგმნა ფრანგულად F.Lhoest-სა (Henryk Paprocki. L'Archimandrite Grigol Peradze. - "Revue des Études Géorgiennes et Caucasiennes. №4. 1988. გვ. 199–230) და ქართულად — განსვენებულ ზურაბ ჭავჭავაძის მიერ (პენრიკ პაპროსკი. არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე. — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 27.VI. 1987; იგივე სტატია ის: ზ.ჭავჭავაძე, ლიტერატურათმცოდნეობა. კრიტიკა. პუბლიცისტიკა. თარგმანი. თბ., 1983, გვ. 311-333). პაპროსკის კიდევ ერთი სტატია გრიგოლ ფერაძეზე. (იხ. "Vox Rectum". Warszawa, 1988) ქართულად თარგმნა ეურნალისტმა ნანა გელაშვილმა (გაზ. „ერი“, 26.V. 1991); გარდა ამისა, აქვე დაეასახელებთ ქართველი ავტორების სხვა წერილებსაც: გ. ფორდანიას მოძვე პოლონეთის მიწაზე — გაზ. „სახალხო განათლება“, 12.VIII.1964; ანონიმი. გრიგოლ ფერაძის დაბადების 85 წელი. პოლონეთის უნივერსიტეტის პროფესორი. ცხოვრება და მოღვაწეობა. — ჟურნ. „ეკვარი ვახისა“. №2, თბ., 1983, გვ. 38; ა.მელია. შამა გრიგოლ ფერაძის ტრავმატული სიკვდილის 40 წლისთავის გამო. — ჟურნ. „გუმბატი“. №4. პარიზი, 1985, გვ. 62-65; №7, 1985, გვ. 60—63; №12, 1987, გვ. 83-84; ნაპაუაშვილი. გრიგოლ ფერაძე. — ჟურნ. „ეკვარი ვახისა“, №3, თბ., 1988, გვ. 37-38; რ.დავითაშვილი. ვახის კამერიდან — უკვდავებაში. — გაზ. „კომუნისტი“, 17.VIII, 1991; გ.შარაძე. მეცნიერის თვალსაწიერი — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 17.VII. 1987; მისივე გრიგოლ ფერაძე. — უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი მეორე. თბ., 1993, გვ. 377-396. რ.ფერაძე. გაზეთ „ერის“ რედაქციას. — გაზ. „ერი“, 17.VII. 1991. დ.ბუბუკაშვილი. თავი ჭირსა არ დამირიდად. გრიგოლ ფერაძის ცხოვრების 85 წლისთავი. — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 17.VI. 1994. და სხვა. აქვე დავეხებით, რომ გ. ფერაძის ცხოვრების ამსახველი საინტერესო მასალები (მათ შორის მისი სიგამაწვილისა და სიკაბუკის წლების ჩანაწერები, ნაწარმოებები, დღიურები...) დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

უნივერსიტეტში მიიღო თეოლოგიის კანდიდატის ხარისხი.

1925 წლის 29 მაისს გრიგოლ ფერაძე გადავიდა ბონის უნივერსიტეტში, სადაც პ.კალეს, ა.ბაუმშტარკისა და ჰ.კოუსენის ხელმძღვანელობით სწავლობდა რელიგიის ისტორიას და იღრმავებდა აღმოსავლური ენების ცოდნას. 1926 წლის მაისიდან 1927 წლის აპრილამდე იმყოფებოდა ბრიუსელში და სწავლობდა ბოლანდისტებთან პ.პეეტერსის ხელმძღვანელობით.

1927 წლის 12 დეკემბერს გრიგოლ ფერაძეს ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა ქართული ბერობის ისტორიაზე დაწერილი ნაშრომისათვის: „Geschichte des georgischen Mönchtums von ihren Angägen bis zum Jahre 1064. Ein Beitrag zur Geschichte der orientalischen Mönchtums“.

1927-1932 წლებში გრიგოლ ფერაძე ბონის უნივერსიტეტში ჯერ ქართული და სომხური ენების ლექტორად მუშაობდა, შემდეგ კი ქართულ-სომხური ფილოლოგიის პრეპატ-დოცენტად. 1933 წელს სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტმა დიონისე ვალედინსკიმ ის ვარშავის უნივერსიტეტში მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტზე მიიწვია პატროლოგიის პროფესორად. ამ თანამდებობაზე გრიგოლ ფერაძე დაპატიმრებამდე მოღვაწეობდა.

ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას გრიგოლ ფერაძე კარგად უხამებდა სასულიერო მოღვაწეობას. 1929 წელს პარიზში დააარსა წმ. ნინოს სახელობის ქართული ეკლესია. 1931 წლის 18 აპრილს ბერად აღიკვეცა ლონდონის წმ. სოფიას ბერძნულ საკათედრო ტაძარში. იქვე, 19 აპრილს, ეკურთხა დიაკვნად, ხოლო 25 მაისს კი – მღვდლად პარიზის წმინდა სტეფანეს სახელობის ბერძნულ საკათედრო ტაძარში. გრიგოლ ფერაძე განდა პირველი წინამძღვარი წმ. ნინოს სახელობის ეკლესიისა, სადაც პირველი წირვა აღასრულა 1931 წლის 31 მაისს. 1931-1934 წლებში პარიზში მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა სამრევლო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“.

1934 წლის 5 იანვარს, ლონდონში, წმ. სოფიას საკათედრო ტაძარში გრიგოლ ფერაძე არქიმანდრიტად აკურთხეს. იმავე წლის მაისში პოლონეთის მიტროპოლიტი დიონისეს დავალებით ღუბლინის ეპისკოპოსმა საბამ ის მიტრით შეამკო. მიუხედავად იმისა, რომ ვარშავაში ცხოვრობდა, გრიგოლ ფერაძე ემსახურებოდა პარიზის ქართულ მრევლს, სააღდგომო, საზაფხულო და საშობაო არდადეგებს პარიზში ატარებდა. მისი უკანასკ-

ნელი ხელმოწერა ქართული ეკლესიის სამეტრიკო წიგნში 1939 წლის 6 იანვარს გეხდება.

გრიგოლ ფერაძე იყო არაერთი პოლონური და საერთაშორისო სამეცნიერო და სასულიერო საზოგადოებისა და ორგანიზაციის წევრი, თანამშრომლობდა მრავალ სამეცნიერო ჟურნალთან (*Der Orient, Le Muséon, Die christliche Welt, Oriens Christianus, Georgica* და სხვ.). მისი გამოკვლევები რეცენზირებული და შეფასებულია ცნობილი მეცნიერების აბაუმშტარკის, მ.თარხნიშვილის, გ.დეეტერსის, რ.ჟანენის და სხვათა მიერ.

გრიგოლ ფერაძე ხშირად კითხულობდა მოხსენებებს სამეცნიერო კონფერენციებზე და სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში (პარიზი, ვენა, ღუბლინი, ოქსფორდი...) ბევრს მოგზაურობდა და მისი სამეცნიერო მივლინებები ავსტრიაში, იტალიაში, რუმინეთში, საბერძნეთში, ინგლისსა თუ სირია-პალესტინაში მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენებით დაგვირგვინდა. მაგალითად: სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში გამოავლინა პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ხელნაწერი, რომელსაც აღრე სომხურად მიიჩნევდნენ; ათონის მთაზე – დიდი მოწამეების ანტონის, იოანეს და ევსტათის წამების ბერძნული ვერსია; ავსტრიის ბიბლიოთეკებში – ფფის ეპისკოპოსის დიონისე არეოპაგელის აპოკრიფული მიმართვის ქართული ვარიანტი, მოციქულების – პეტრესა და პავლეს მოწამებრივ სიკვდილზე; ლაიპციგის უნივერსიტეტში – იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპების ე.წ. ტიშენდორფისეული ნუსხა და სხვა.

1942 წლის 4 ან 5 მაისს გრიგოლ ფერაძე გესტაპომ დააპატიმრა ვარშავაში. დაპატიმრების უშუალო მიზეზი გახდა ის, რომ ენმარებოდა და იფარავდა ფაშისტების მიერ ღვენილ ებრაელებს. გრიგოლ ფერაძე მოათავსეს პავიაკის ციხეში, შემდეგ კი გადაიყვანეს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც 1942 წლის 16 დეკემბერს, 16 საათსა და 45 წუთზე დაიღუპა. ერთი ვერსიით, მეცნიერი ნებაყოფლობით შევიდა გაზის საკანში მრავალშვილიანი პოლონელი პატიმრის ნაცვლად. მისი სახელი ამოტვიფრულია ომში დაღუპულ უნივერსიტეტის პროფესორთა მემორიალურ დაფაზე, აგრეთვე ომში დაღუპულ მართლმადიდებლური ეკლესიის მოღვაწეთა მემორიალურ დაფაზე ვარშავის წმ. იოანე კლემაქსის სახელობის ეკლესიის კედელზე.

გრიგოლ ფერაძის შრომების დიდი ნაწილი დაწერილია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და პოლონურ ენებზე (იხ. ქვემოთ, მისი შრომების

ბიბლიოგრაფია). მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ ფერაძე ემიგრაციაში იმყოფებოდა და უცხოეთში, მხელად ხელმისაწვდომ ორგანოებში იბეჭდებოდა, მისი სამეცნიერო შრომები (ყოველ შემთხვევაში, მათი ნაწილი მაინც) საქართველოში აღრევე გახდა ცნობილი. მათ იცნობდნენ და იმოწმებდნენ უკვე აკად. ივანე ჯავახიშვილი (ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 329--332, 334, 319--312) და აკად. კორნელი კეკელიძე (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 25, 137, 553...), მაგრამ მთლიანად მისი მეცნიერული მემკვიდრეობა ჩვენში, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ არ არის შეფასებული. ამის გამო დაკმაყოფილებით პოლონელი მკვლევრის, გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფის ჰენრიკ ჰაპროსკის მოკლე შეფასებით (თარგმანი ზ. ჭავჭავაძისა): „გრიგოლ ფერაძე მარჯვედ უხამებდა ერთმანეთს სამეცნიერო და პოპულარიზატორულ მოღვაწეობას. მისი ენციკლოპედიური წერილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო პოპულარული სტატიების უმრავლესობა იბეჭდებოდა პოტსდამში გამოშვებულ ორთვიურ ჟურნალში „დერ ორიენტ“, და პოლონურ სამეცნიერო პერიოდიკაში – „ესნოდ-ორიენტ“ და „პოლსკა სტრონიცა სლოვა“. მისი წმინდა სამეცნიერო მოღვაწეობა რამდენიმე პრობლემას შეეხებოდა. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ძეგლების გამოცემა. გრიგოლ ფერაძემ გერმანულად თარგმნა „შობის განჩინება“ იერუსალიმური წარმომავლობის ქართული კანონარიდან (VII ს.); ქართულად გამოოსცა ბესარიონ გაბაშვილის უცნობი ლექსი და „წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ქრონიკა“; ქართულიდან პოლონურად თარგმნა ქართული აპოკრიფული და მონოფიზიტური სახარება და ტიმოთესადმი მიწერილი დიონისე არეოპაგელის აპოკრიფული ეპისტოლე. მანამდე ფრანგულად თარგმნა წმ. პეტრე მოციქულის ლიტურგიის ქართული ვერსია.

გრიგოლ ფერაძე დიდ ყურადღებას უთმობდა კატალოგების გამოქვეყნებას. ფართო საზოგადოებას მან გააცნო ინგლისში დაცული ქართული ხელნაწერები; პილიგრიმთა რელაციები ქართველი მონაზვნების შესახებ წმინდა მიწაზე, ეკვთიმე ათონელის მოღვაწეობა, ავსტრიაში დაცული ქართული ხელნაწერები და ძველი ქრისტიანული ლიტერატურის ქართული თარგმანების კატალოგი, რაც წარმოადგენდა გერმანულ ენაზე შესრულებულ ადაპტაციას კეკელიძის მიერ ქართულ ენაზე გამოქვეყნებული შრომისა „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“.

სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებული თავდაპირველი გამოკვლევები შეეხებოდა ქართულ მონაზვნობას, შემდგომი პერიოდისა – ლიტურგიას. აქ ვგულისხმობთ ორ ფუნდამენტურ გამოკვლევას წინაბიზანტიუ-

რი ლიტურგიკული ქართული ძეგლების შესახებ. პირველი მათგანი წმ. იაკობის ლიტურგიის ქართულ ვერსიას ეხებოდა და დაწერილი იყო გრაცის კოდექსზე დაყრდნობით. გრ. ფერაძემ გამოთქვა საინტერესო ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ქართული ტექსტი თარგმნილია არა ბერძნულიდან, არამედ სირიულიდან. თავდაპირველად, ქართული ეკლესია ანტიოქიის ეკლესიას ექვემდებარებოდა. ქალკედონის კრებამდე (451 წ.) ანტიოქიას ექვემდებარებოდა აგრეთვე იერუსალიმის ეკლესიაც, რაც ქართულ ქრისტიანობას პალესტინურ ტრადიციას უკავშირებდა. გრ. ფერაძის მეორე გამოკვლევაში კი აღნიშნულია, რომ ქართულ ხელნაწერებში დაცულია კოზმან იერუსალიმელის საშობაო სტიქარონი და იოანე დამასკელის „გალობანი წმიდისა ეპიფანესი“, რომელთა ბერძნული ორიგინალები დაკარგულია.

გრიგოლ ფერაძეს აქვს აგრეთვე შრომები, რომლებშიც შესწავლილია ძველი ქართული ლიტურატიურის ისტორიის, ქართულ ენაზე სახარების თარგმნის, ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხები.

მრავალრიცხოვანი რეცენზიები, რომლებსაც აქვეყნებდა გრიგოლ ფერაძე, მისი ავტორის არაჩვეულებრივი ერუდიციის ნათელი დადასტურებაა. ხშირად იგი აესებდა და აზუსტებდა მცდარ თვალსაზრისებს. მისი ის მოღვაწეობა, რომელსაც შეიძლება პოპულარიზატორული ეუწოდოთ, აგრეთვე შეიცავს მრავალ მნიშვნელოვან ცნობას, ჰიპოთეზას და დებულებას, რომლებიც საქართველოს წარსულის, ქართული ეკლესიის ისტორიის, ქართული წარმართობის სხვადასხვა ასპექტს აშუქებენ. იგივე უნდა ითქვას მის მოხსენებებსა და სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიშებზეც.

გრიგოლ ფერაძე ახალგაზრდა გარდაიცვალა. მას ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა. არ დასცალდა „სამი ლიტურგიის წამების“ ბერძნული ვერსიისა და დიონისე არეოპაგელის ნაწარმოებებზე ცნობილი უძველესი აპოკრიფების პოლონურად თარგმნა. ვერ შეასხა ხორცი ვერც თავის სასუკვარ ოცნებას – დაეწერა პატროლოგიის ისეთი სახელმძღვანელო, რომელშიც მთელი სისახესით იქნებოდა განხილული საგნის პრობლემატიკა, მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრის მართლმადიდებელი, კათოლიკე და პროტესტანტი მკვლევარების შემკვიდრების გათვალისწინებით“.

უკანასკნელ ათწლეულში ქართულად ითარგმნა გრიგოლ ფერაძის რამდენიმე სტატია. ხელახლა დაიბეჭდა ზოგიერთი მისი ქადაგება (იხ. ბიბლიოგრაფია №№72, 74, 80, 81...). ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ქართულ თარგმანს ჩვენში გრიგოლ ფერაძის ყველაზე უფრო პოპულარულ-

ლი და ციტირებული ნაშრომისა „An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as revealed in the Writings of non-Georgian Pilgrims“ (Georgica. A Journal of Georgian and Caucasian Studies. №4-5, Hertford, 1937 გვ. 181-264), რომელიც ეხება საქართველოს ისტორიის ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს – პალესტინაში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს.

ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში აისახა ის დიდი ყურადღება და ინტერესი, რასაც ქართული ფეოდალური საზოგადოება ამ საეკლესიო მიმართ იჩენდა, მაგრამ ცნობები მათ შესახებ მარტო ქართულ წყაროებს არ შემოუნახავს. პალესტინაში ყოველწლიურად მრავალი უცხოელი ქრისტიანი პილიგრიმი და მოგზაური ჩადიოდა. ბევრი მათგანი დაწვრილებით აღწერდა პალესტინას, ქრისტიანთა წმინდა ადგილებს, იქ აგებულ უმნიშვნელოვანეს ეკლესია-მონასტრებს და ამ საეკლესიო და-ცულ რელიკვიებს, ასახელებდა ქრისტიან ხალხებს, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონდა. პილიგრიმთა ჩანაწერებში სხვადასხვა ეროვნებისა და მიმდინარეობის ქრისტიანთა შორის საკმაოდ ხშირად იხსენიებიან ქართველებიც.

უცხოელი მოგზაურებისა და პილიგრიმების ინფორმაციას პალესტინაში ქართველი ბერებისა და მათი ეკლესია-მონასტრების შესახებ უკვე XIX–XX ს-ების დასაწყისში მიაქციეს ყურადღება მკვლევარებმა (ტ.ტობლერი, ალ.ცაგარელი, რ.ჟანენი...), მაგრამ გრიგოლ ფერაძე იყო პირველი, რომელმაც პალესტინის ქართული საეკლესიო შესასწავლად საგანგებოდ იმ დროისათვის (XX ს-ის 30-იანი წლები) თითქმის მაქსიმალური სისრულით და კეთილსინდისიერებით მოიხმო უცხოელ პილიგრიმთა შრომები და სრულიად გარკვეული კუთხით – ქართველებთან დაკავშირებით განიხილა ისინი. გამოავლინა პილიგრიმთა მრავალი ჩანაწერი პალესტინის ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ და მათ საფუძველზე დაწერა გამოკვლევა, რომელიც დოკუმენტური სიზუსტით, პირუთვნელად წარმოაჩენს ქართველთა მოღვაწეობას პალესტინაში V საუკუნიდან XIX საუკუნემდე.

გრიგოლ ფერაძის წინამდებარე ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში უცხოელ პილიგრიმთა ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერების ნაწყვეტები დალაგებულია ქრონოლოგიურად – V-დან XIX საუკუნემდე, მეორე ნაწილში გაანალიზებულია ისინი. მდიდარმა ინფორმაციამ საშუალება მისცა მკვლევარს შეესწავლა ქართველთა სტატუსი წმი-

ნდა მიწაზე და წარმოეჩინა პრივილეგიები, რომლებითაც ჩვენი წინაპრები სარგებლობდნენ იქ თურქების გაბატონებამდე (1517 წ.). მან თანამიმდევრულად განიხილა ქართული ეკლესია-მონასტრებისა და ქართველების მდგომარეობა პალესტინაში X საუკუნემდე, ლათინთა ბატონობის დროს, XII-XIX საუკუნეებში, გამოავლინა უძველესი ცნობები წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ, გვიჩვენა პერიოდები, როცა ქართველთა გავლენამ იქ თავის ზენიტს მიაღწია (აიუბიანთა და განსაკუთრებით, მამლუქთა ბატონობის დროს) და შემდეგ კი თანდათან დაცემა დაიწყო (თურქების გაბატონების შემდეგ).

გრიგოლ ფერაძე პალესტინაში ქართველთა გავლენის შესუსტებას მართებულად უკავშირებს საქართველოს პოლიტიკურ დაშლას და ქვეყნის გაღატაკებას, როცა ქართველებს საშუალება აღარ ჰქონდათ, მათ ეკლესია-მონასტრებზე შეწერილი გადასახადები ეხდათ თურქებისათვის, ქრთამები ეძლიათ კორუმპირებული თურქი მოხელეებისთვის. ამის გამო ვეღარ შეძლეს შეენარჩუნებინათ ზოგიერთი მონასტერი (მაგალითად, იოანე ნათლისმცემლისა, რომელიც ფრანცისკელებმა დაისაკუთრეს). საყურადღებოა მეცნიერის დაკვირვება იმის თაობაზე, რომ პალესტინაში ქართველთა გავლენის დაქვეითებაში უარყოფითი როლი ითამაშეს ბერძნებმა, რომლებიც კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ თურქეთის ქვეშევრდომები გახდნენ. პალესტინაში თურქების მოსვლასთან ერთად გაძლიერდა ბერძენი პატრიარქის ძალაუფლება. საპატრიარქოს ორგანიზაცია იერუსალიმში ხელში ჩაუვარდა ბერძნებს, რომლები-სთვისაც მიუღებელი იყო იქ სხვა მეტოქე მართლმადიდებელთა გავლენა. ისინი შეეცადნენ, უკანონოდ დაპატრონებოდნენ ქართველთა საგანებს. დაიწყო დიდი და ტრაგიკული ბრძოლა, რომელიც XIX ს-ის შუა ხანებამდე გაგრძელდა და დასრულდა იმით, რომ ქართველთა მნიშვნელოვანი და მდიდარი რელიგიური დაწესებულებები თავიანთი მეტოქეებითა და მიწებითურთ ბერძნებს ჩაუვარდათ ხელში.

გრიგოლ ფერაძემ უცხოელ პილიგრიმთა ჩანაწერების საფუძველზე დაწერილებით განიხილა წმინდა საფლავის ბაზილიკის ქართული სამლოცველოების, იერუსალიმისა და, საერთოდ, პალესტინის სხვა მხარეთა ქართული ეკლესია-მონასტრების ისტორია, დააზუსტა წლები, როცა ქართველები ფლობდნენ მათ, დაასახელა ზოგიერთი ისეთი საგანე, რომელსაც ქართველები გარკვეულ ხანებში ფლობდნენ (მაგ. პრეტორიუმი) და რომელსაც არ იცნობს ქართული წყაროები. მან კრიტიკულად განიხილა

ბერძნული საპატრიარქოს „ოფიციალური“ მოხსენება პალესტინის ქართველ ბერთა კოლონიების შესახებ და უჩვენა მისი ტენდენციურობა. მკვლევარმა სათანადო შეფასება მისცა, აგრეთვე, ზოგიერთი პილიგრიმის ცნობებს, რომლებშიც უარყოფითი შეფასება ეძლევა ქართველ ბერთა მოღვაწეობას. მის მიერ მოტანილი მასალა კარგად უჩვენებს, რომ ქართველები წმინდა მიწაზე „რინდული ზნითა და სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. დაცემის პერიოდში, დაცემა კი უდიდესი ტრაგედია იყო მათ ცხოვრებაში და მათი ერის ისტორიაში, ღირსეულად ეჭირათ თავი და პილიგრიმებთან სრულებით არ ამქლავნებდნენ თავიანთ ტანჯვას... იქცოდნენ ისე, როგორც შეეფერებოდა ჭეშმარიტ შეილებს ძლიერი და კულტურული ერისას, რომლის რელიგია და საეკლესიო ცოდნა უკიდურესად მყარი და უცვლელი იყო“.

გ. ფერაძემ თავი მოუყარა იმ მრავალრიცხოვან სახელს, რომლებითაც ევროპელი პილიგრიმები იცნობდნენ ქართველებს, განიხილა მათი თვალსაზრისი ტერმინ *Georgia*-ს წარმომავლობაზე; დამატების სახით თავის გამოკვლევას დაურთო პალესტინის ქართული წარწერები, რომელთა ნაწილის გამოვლენაც გრიგოლ ფერაძის დამსახურებაა.

გრიგოლ ფერაძემ თავის ნაშრომში არაერთხელ განაცხადა, რომ სურდა, დაეწერა გამოკვლევების შემდეგი ნაწილიც: „ქართული მონასტრები პალესტინაში ქართული (და ბერძნული) წყაროების მიხედვით.“ (იხ. აქვე, გვ. 25, შენ. 5, გვ. 115, შენ. 355, გვ. 127, შენ. 386) სამწუხაროდ, ამ ამოცანის განხორციელება აღარ დასცალდა.

გრიგოლ ფერაძე ასახელებდა და იყენებდა მრავალ წყაროს სხვადასხვა ევროპულ ენაზე, რომლებიც გაფანტულია ევროპის წიგნთსაცავებში და რომელთა დიდი ნაწილიც დღეს ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. რუსული პუბლიკაციების გადამოწმებამ დაგვარწმუნა, რომ ზოგჯერ გრიგოლ ფერაძე შეგნებულად ტოვებდა მოგზაურთა და პილიგრიმთა აღწერების სხვადასხვა დეტალს, რომლებიც არ ესადაგებოდა მისი შრომის კომპოზიციას, მაგრამ რომლებიც თავისთავად ავსებენ ჩვენს ცოდნას ამა თუ იმ საგანის შესახებ. როდესმე, როცა დადგება აუცილებლობა უცხოეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების უფრო მასშტაბური შესწავლისა, გრიგოლ ფერაძის მიერ ციტირებულ წყაროებთან ხელახლა მისვლა აუცილებელი იქნება. ამ მხრივ მისი ნაშრომი კარგი გზამკვლევის როლს შეასრულებს.

გრიგოლ ფერაძის ნაშრომის გამოცემიდან (1937 წ.) ნახევარ საუკუ-

ნეზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე დაიბეჭდა სხვადასხვა პილიგრიმის თხზულება, რომლებშიც ასევე შეიძლება მოვიძიოთ საინტერესო ცნობები პალესტინაში მოღვაწე ქართველებისა და მათი ეკლესია-მონასტრების შესახებ.² პალესტინის ქართული საეანეების ისტორიის ცალკეულ საკითხებზე არაერთი მონოგრაფიული გამოკვლევა და სტატია დაიწერა როგორც ქართული, ისე უცხოური, მათ შორის აღმოსავლური (არაბული, ოსმალური...) ნარატიული და დოკუმენტური წყაროების საფუძველზე.³

2 მაგალითად, 1493 წელს იერუსალიმში მყოფი ჩეხი მოგზაურის J. Haselajnsky-ის ცნობები — *K. Petráček. Die Äthiopier in Jerusalem in den tschechischen Reisebeschreibungen des XV und XVI Jhdts. — Archiv Orientalní. 26/3. Praha, 1958, გვ. 357* და შმდ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე (ისევე, როგორც ადრე) გამოცემული პილიგრიმულა ლიტერატურა შეიძლება მოვიძიოთ *J.D. Purvis-ის* მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაში: *Jerusalem. The Holy City. Philadelphia, 1988, გვ. 293-301.* იქვე (გვ. 303-319) დასახელებულია ლიტერატურა იერუსალიმის ქრისტიანული ეკლესიებისა და თემების შესახებაც. ბიბლიოგრაფია, სამწესაროდ, არ არის სრული. გასაოცარია, რომ მასში გ.ფერაძის ნაშრომი შეტანილი არაა.

3 სრული ბიბლიოგრაფიის მოტანა აქ შეუძლებელია. დავასახელებოთ მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან ნაშრომს, რომელნიც ასაკლ შუქს ფენენ პალესტინის ქართული საეანეების ისტორიას: კაკეკელიძე. ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში. — ენისკის მოამბე. ტ. XIII, 1943. იგივე იხ. კაკეკელიძე. ეტაუფები. ტ. IV. თბ., 1957. გვ. 202-216. გამეტრეველი. იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის (XI—XVIII სს). თბ., 1962; მისივე. შუბანის უდაბნო. XI საუკუნის უცნობი სამწერლობო კერა პალესტინაში. — მრავალთავი. V. თბ., 1975, გვ. 22-44; მისივე. Ier. 14 ხელნაწერის ანდერასის გაგებისათვის. — მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. №4. 1984, გვ. 79—81; ლ.შენაბდე. ბევლი ქართული კულტურის ცენტრები. II. თბ., 1980. ი.დავიდი. ქართული პალესტინიანა. — ნაწერები. I. თელ-ავივი—იერუსალიმი. 1976, გვ. 227-339; ცაბულაძე. სულიმან-კანუნის პუქები იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანცისკანელთათვის გადაცემის თაობაზე. — მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. I. 1985, გვ. 123-136; მისივე. ოსმალური სტაგლები იერუსალიმისა და სინის ქართული კოლონიის ისტორიისათვის — მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №1. 1987, გვ. 90—97; XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ (აღ-უშარი, აღ-მუჰიბი, აღ-კალკაშანდი). არაბულიდან თარგმან, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ.გომოიფიშვილმა. თბ., 1988; ოსალაძე. გ.ბენ ორენი. ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით. — თბ., 1991; ვ.ცაფერისი. იერუსალიმის წმინდა ჯუჯის მონასტერი. — ფურნ. „რელიგია“, №6-7. 1993. გვ. 96—910; გ.ჯაფარიძე. XIV ს. არაბი ენციკლოპედისტი იერუსალიმის ჯუჯის მონასტრის შესახებ. — მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. №3. 1985, გვ. 179—186; *B.Abu Manneh. The Georgians in Jerusalem in the Mamluk Period. — XXI Deutscher Orientalistentag vom 24 bis 29 März, 1980, im Berlin.*

მიუხედავად ამისა, გრიგოლ ფერაძის წინამდებარე ნაშრომი ინარჩუნებს თავის დიდ მეცნიერულ ღირებულებას. მას გვერდს ვერ აუგლის ვერც ერთი მკვლევარი, ვინც პალესტინის ქართული სიძველეებით დაინტერესდება.

გრიგოლ ფერაძის წინამდებარე ნაშრომის ქართულ ენაზე გამოცემის იდეა ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში ჩამოყალიბებულ საქართველო-პალესტინის ურთიერთობათა შემსწავლელ ჯგუფს. ამ იდეის ხორცშესხმა დღევანდელ უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში შესაძლებელი გახდა ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდის ხელმძღვანელობის (ირ. აბულაძე, ზ.ბოკუჩავა, თ.ჩხაიძე) უკიდურესი ძალისხმევითა და თავდადებათ⁴.

გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფი პენრიკ პაპროსკი გამოთქვამდა სურვილს, რომ აუცილებლად თავმოყრილიყო და ერთიანად გამოცემულიყო

Wiesbaden, 1983, გვ. 163-167 (ახ. ჩენი გამოსაზრება ამ ნაშრომზე — ქართველები იერუსალიმში ახლად აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით. გას. „ლიტერატურული საქართველო“. 15.II.1985); იხილეთ, The Georgians in Jerusalem in the Mamluk Period. — Egypt and Palestine. A Millennium of Association (868-1948). Ed. By A. Cohen and G. Baer. Jerusalem. New York. 1984, გვ. 102-111. A. Economopoulos. Fresh Data Resulting from the Excavation in the Church of the Monastery of the Holy Cross at Jerusalem. — Actes du Xe Congress International d'Archeologie Chretienne, Thessalonique, 28 Septembre — 4 Octobre 1980, vol. II, Citta del Vaticano, Thessalonique, 1984, გვ. 378-390; A.-D. v. den Brincken. Die "Nationes Christianorum Orientalium" im Verständnis der lateinischen Historiographie. Köln-Wien, 1973, გვ. 103-125 (Georgier). პალესტინაში აღმოჩენილი ახალი ქართული წარწერების შესახებ იხ.: M. Tarchuisvili. Le iscrizioni musive del monastero di Bir el-Qutt. წიგნში: P. Virgilio Corbo. Gli scavi di Kh. Siyar el-Ghanam (Campo dei Pastori) e i Monasteri dei dintorni. Gerusalemme, 1955, გვ. 135-139 (მისი ქართული თარგმანი წიგნში: ვ.ჩაჩანიძე. პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში. თბ., 1974, გვ. 92-98). მთარხნისმიერი ახლად აღმოჩენილი ქართულთა მონასტერი ბეთლემში. — ბედი ქართლისა. XVI, პარიზი, 1954, გვ. 12-17; გ. წერეთელი. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან. თბ., 1968; გ.მიქაძე. იერუსალიმის უცნობი საამშენებლო წარწერა. ქართული წყაროთმცოდნეობა. III თბ., 1968, გვ. 236-241; გ.გაგოშიძე. ქართველ მლოცველთა წარწერები იერუსალიმის უფლის საფლავის კარიბჭეზე. — მაცნე. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1.1992, გვ. 134-148

4 გრიგოლ ფერაძის ამ ნაშრომის გამოცემის დროს გათვალისწინებულია მისი ის ნაწილობრივი ქართული თარგმანები (ხელნაწერში), რომლებიც სხვადასხვა დროს შესრულდა კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ღირეკციისა და ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდის დაკვეთით.

უდროოდ გარდაცვლილი მეცნიერის გაფანტული და ხშირად ძნელად ხელმისაწვდომი პუბლიკაციები და რომ ეს იქნებოდა პატივის მიგება საქართველოს იმ დიდი შვილისადმი, რომელიც განგებამ ვარშავაში, ხოლო შემდეგ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მოიყვანა.

გრიგოლ ფერაძის ამ ნაშრომის პუბლიკაცია ქართულ ენაზე მინერგავს იმის იმედს, რომ ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდის ხელმძღვანელობა შეძლებს წარმატებით გადაჭრას ეს ამოცანაც და უკვდავოს გრიგოლ ფერაძის ნათელი ხსოვნა.



ქართული გამოცემის სქოლიოებში საჭიროების შემთხვევაში, კვადრატულ ფრჩხილებში დაზუსტებულია გ. ფერაძის მიერ დასახელებული ზოგიერთი ნაშრომის სათაური, გამოცემის ადგილი და წელი; დამატებით დასახელებულია ძველი და ახალი ლიტერატურა და მოტანილია გ. ფერაძისგან განსხვავებული ახალი თვალსაზრისები ამა თუ იმ საკანესთან დაკავშირებით.

გონა ჯაფარიძე



შ ე ს ა ვ ა ლ ი

პალესტინის ქართველ ბერთა კოლონიების ისტორია ქართული კულტურის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფურცელია. წმინდა მინასთან საქართველოს ურთიერთობის დასაწყისი საქართველოში ქრისტიანობის ჩასახვის თანადროულია. ლეგენდები იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ეს ისტორია ქრისტეს მოსვლიდან იწყება.

ქართველები ენერგიასა და ფულს არ იშურებდნენ, რომ წმინდა ადგილებისთვის კარგად მოეწოდებინათ. მათ ბევრი საკუთარი მონასტერი ჰქონდათ, მათვე ეკუთვნოდა გოლგოთაც — მთელი საქრისტიანოს უწმინდესი ადგილი. წმინდა მინაზე საქართველოს სრული გამგებლობის ხანა საქართველოს ოქროს ხანას — X—XII საუკუნეებს ემთხვევა. აყვავების სხვა მცირე პერიოდი ქართულ მონასტრებს გვიან შუა საუკუნეებშიც ჰქონდა. კავკასიური წარმოშობის ეგვიპტელი მამლეუქების ნყალობით, მაგრამ წმინდა მინაზე თურქების ბატონობის დამყარების შემდეგ (1517 წლიდან) ქართველთა ძლიერება თანდათანობით შესუსტდა. საქართველოსა და რუსეთის ამკარა მეგობრულმა ურთიერთობამ საგრძნობლად გააღიზიანა თურქები, რომლებმაც დაიწყეს ქართველი ბერების დევნა და შევიწროება მძიმე გადასახადებით, მათი მონასტრების გაყიდვა ფრანცისკელ ბერებზე. არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ ეს იყო საქართველოს სულიერი ცხოვრების რღვევის ხანაც. პალესტინის ბერთა აყვავებული კოლონიებიდან XIX საუკუნის შუა ხანების შემდეგ ერთიც კი აღარაა შემორჩენილი.

პალესტინის კოლონიების ისტორია ამავე დროს

საქართველოს პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურის ისტორიადა. ეს კოლონიები გახლდათ წყარო როგორც თარგმნილი, ისე ჩვენი ორიგინალური უდიდესი ლიტერატურული მარგალიტებისა. დღემდე იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში მრავალი ძველი ქართული ხელნაწერია დაცული, ისინი ჯერ ცაგარელმა აღწერა, ხოლო მოგვიანებით რ.პ. ბლეიკმა¹.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი თავი ჩვენი წარსული ისტორიისა ნაკლებად არის გამოკვლეული; ამ საკითხზე მხოლოდ ერთი შრომაა გამოცემული 1888 წელს². მონოგრაფიები ცალკეული მონასტრების შესახებ არ არსებობს. ცაგარელი თავის ნიგნში ქართული წყაროებიდან ამოღებულ ფაქტებს დაეყრდნო, მაგრამ ამ ნიგნის გამოცემის შემდეგ ახალი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოვლინდა. ქართულ წყაროებს არ შეუძლიათ მოგვცენ მთელი მასალა, რომ ნათელი მოეფინოს ქართველ ბერთა ისტორიას. მათ უნდა დაემატოს პილიგრიმული ლიტერატურიდან მოხმობილი ფაქტები. ზემოხსენებულ შრომაში ცაგარელს გაცნობიერებული აქვს პილიგრიმთა მიერ წმინდა ადგილების აღწერათა მნიშვნელობა, მაგრამ იგი არ უღრმავდება საკითხს³. ქართული კულტურის ისტორიის კვლევის სწორედ ამ მნიშვნელოვანი ხარვეზის შევსებაა წინამდებარე ნარკვევის მიზანი.

ჩვენი ნაშრომის პირველ ნაწილში მე მოვიყვან ნაწყვეტებს პილიგრიმული ლიტერატურიდან, რომლებიც

1 ჯერის მონასტრის ქართული ხელნაწერებიდან (რომელთაგან შოლკვა 1820 წ. იქ 400 ნახა) (იხ. აგრეთვე ქვემოთ, გვ. 68-69, 1846 და 1858 წლების ნაწყვეტები), 147 ხელნაწერი აღწერეს: ცაგარელმა — *A. Cagareli*. Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае. - ППС, вып. X (т. IV, 1), 1888, გვ. 143-192 და მოგვიანებით ბლეიკმა — *R. Blake*, Catalogue des Manuscrits Géorgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque à Jérusalem. - La Revue de l'Orient Chrétien. Paris, 1922-23, t. III (XXIII) N. 3-4, გვ. 345-413; ბლეიკმა ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში 164 ქართული ხელნაწერი აღმოაჩინა (საწიწკაროდ, მე შემოძლია მხოლოდ პირველი ოცდაცამეტის ზუსტი აღწერა შემოკთავაზით. სხვა ხელნაწერები აღწერილი იქნება ROC-ის მომდევნო ტომებში).

2 ეს გახლდათ პროფესორ ცაგარელის მნიშვნელოვანი ნაშრომი. ქართულ და რუსულ ენებზე არსებობს რამდენიმე პოპულარული აღწერა პალესტინის ქართველ ბერთა კოლონიებისა, მაგრამ ისინი ძირითადად ცაგარელის ნაშრომს ეყრდნობიან და ამ საკითხს ახალს არაფერს მატებენ. იხ. მუჯანაშვილი, პატრიარქი კირონი, ან ნატროშვილი, ილია ფერაქე და სხვები.

3 *A. Cagareli*. დასახ. ნაშრ., გვ. VIII.

პალესტინის ქართული კოლონიების საკითხს ეხება. რასაკვირველია, მესმის, რომ პილიგრიმულ ლიტერატურას აქ სრულად ვერ შემოგთავაზებთ⁴. რომელიმე ადგილზე პილიგრიმული ლიტერატურის სრული კოლექციის ნახვა შეუძლებელიცაა. ის არ გააჩნია მსოფლიოს არც ერთ ბიბლიოთეკას, თვით სახელგანთქმულ ბრიტანეთის მუზეუმსაც კი. ამას გარდა, ამ ლიტერატურის უდიდესი ნაწილი გამოუცემელია და ძვეს, როგორც აღმოუჩენელი განძი, არა მხოლოდ ევროპის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, არამედ აგრეთვე კერძო კოლექციებში, რაც მას კიდევ უფრო ხელმიუწვდომელს ხდის. უფრო მეტიც, პილიგრიმული ლიტერატურა თითქმის ყველა ენაზეა და თითოეული მათგანის ცოდნას ერთ ადამიანს ვერ მოსთხოვ.

ასეთი მასალის შეკრება მთელი სამეცნიერო ინსტიტუტის ან საზოგადოების საქმე გახლავთ და არა ერთი კაცისა, რადგანაც სჭირდება მრავალი წინასწარი კვლევა, მოგზაურობა და გაუთავებელი ძიება ბიბლიოთეკებში. უკანასკნელი ათი წელი მე (დროგამოშვებით) ქართველ ბერებზე პილიგრიმულ ლიტერატურაში არსებულ ყოველგვარ მასალას ვაგროვებდი. ამ ხნის განმავლობაში საშუალება მომეცა, რამდენჯერმე ვყოფილიყავი ინგლისში და შემესწავლა პილიგრიმული ლიტერატურა ბრიტანეთის მუზეუმში. ამას გარდა, პარიზსა და ლაიპციგში (პალესტინის გერმანული საზოგადოების ბიბლიოთეკაში) ხანმოკლე ყოფნისას შესაძლებლობა მქონდა, გამეგრძელებინა შეგროვება ჩანაწერებისა ქართული მონასტრების შესახებ. 1936 წლის ზაფხულში წილად მხვდა დიდი ბედნიერება, ვსტუმრებოდი წმინდა მინას. სწორედ ამ მოგზაურობის

4 პრაქტიკულად ყველა პილიგრიმმა, ვინც კი წერა-კითხვა იცოდა, თავისი პილიგრიმობა აღწერა. სამწუხაროდ, გასულ საუკუნეში ტ-ტობლერის, პენის, შაინერის, რაინზოლდ რერიხტის, რიანტის, პოპადოპულო-კურაშევის და მრავალი სხვა მეცნიერის მიერ ასეთი წარმატებით წამოწყებული საქმე პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აღარ გაგრძელდებულა. ამ მკვლევარებმა საკმაოდ ნათლად დაამტკიცეს, რომ ეს მასალა თეოლოგიური მეცნიერების სრულად განცალკევებული დარგია.

ვინაიდან ვარშავაში შესაძლებლობა არა მაქვს, მოვიძიო პირველწყაროები, რათა შევამოწმო წლების მანძილზე შეკრებილი ჩანაწერების სისწორე, სამწუხაროდ, იბუღებული ვარ, გამოტოვო ზოგიერთი მათგანი, რომელთა სიზუსტეშიც ეჭვი მეპარება. შეიძლება ოდესმე კვლავ მომეცეს საშუალება, ვიუმუშაო ერთ-ერთ დიდ ევროპულ ბიბლიოთეკაში, და მაშინ ეს გამოტოვებული ჩანაწერები შემოწმებული იქნება და გამოქვეყნდება.

დროს გადავწყვიტე, გამომეკეცეყნებინა ჩანანერების ჩემი კრებული.

ნაშრომის მეორე ნაწილში გთავაზობთ საქართველოზე და აგრეთვე პალესტინაში მოღვაწე ქართველებზე პილი-გრიმთა ნაწერებში არსებული ცნობების კვლევითი სამუ-შაოს შედეგს. ეს ნაწერები მნიშვნელოვანწილად ავსებენ ჩვენი ცოდნის ხარვეზს საქართველოს ყოფასა და საქარ-თველოს ისტორიაზე.



ნაწილი პირველი


ნაწყვეტები პილიგრიმული ლიტერატურიდან საქართველოსა და პალესტინის ქართველ ბერებზე

X საუკუნემდე პალესტინის ქართული მონასტრების შესახებ ძალზე მწირი ცნობებია შემორჩენილი⁵. მე მხოლოდ ექვს მათგანს მივაკვლიე ამ პერიოდის უცხოურ ლიტერატურაში:

1. V საუკუნის შუა ხანები. პეტრე იბერი, მაიუმის ეპისკოპოსი:

„შემდგომად ამისა, წმ. პეტრემ შეარჩია აგრეთვე [ერთი] ადგილი ასაშენებლად სიონის წმინდა ეკლესიის ზემოთ, იმ კოშკის ახლოს, რომელსაც დავითის სახელი ჰქვია და იქ ააგო მონასტერი, დღემდე ცნობილი იბერთა მონასტრის სახელწოდებით. მონასტერი მდებარეობს ხელმარცხნივ, თუ წახვალთ ზემოხსენებული კოშკის მეორე კარიბჭიდან

5 აქ განგებ არაფერს ვამბობ საქართველოსა და წმინდა მიწის ურთიერთობაზე. საქართველოს განმანათლებელი წმინდა ნინო საქართველოში იერუსალიმიდან მოვიდა. რუფუსმა, resp. მისმა წყარომ — გელასიუსმა ქართველთა გაქრისტიანების ამბავი იერუსალიმში ქართველთა უფლისწულ ბაკურისგან გაიგო. ქართველი პატრიარქის კირიონ პირველის ემისრები იერუსალიმში შეხვდნენ პაპ გრიგოლ დიდის დელეგატებს. ამ საკითხებს შეეხები ჩემი გამოკვლევის მეორე ნაწილში: „Georgian Monasteries in Palestine according to Georgian Sources“, გვერდს ეუკლი აგრეთვე ბესების პრობლემატურ საკითხს, რომლებსაც ძირითადად წმ. თეოდოსის მონასტრიდან ვიცნობთ. ზოგიერთი მკვლევარი მათ ქართველებად მიიჩნევს. იხ. ППС, №11. XLIV, 1896, გვ. 110 [იხ აგრეთვე: კ კაკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. B. ვინ იყვნენ ბესები? — ეტრუფები. I. თბ., 1956, გვ. 89—98 — გ.ჯ.].



სიონის წმინდა ეკლესიისკენ⁶.

2. III-VI საუკუნეები.

1932 წლის სექტემბერში გათხრების დროს დღევანდელ ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის შენობის ადგილზე აღმოჩნდა ძველი სასაფლაო, სადაც ბერძნულწარწერიანი საფლავის ქვა იპოვეს. საფლავის ქვა ამჟამად იერუსალიმში, პალესტინის მუზეუმშია დაცული. მისი წარწერა ამოიკითხა ჯ.პ. ილიფმა: „პირადი საფლავი (სამუელ) ქართველთა ეპისკოპოსისა და [იქაური?] მონასტრისა, რომელიც მათ (ე.ი. ქართველებმა) დავითის კოშკში შეიძინეს (ან სადაც ხშირად დადიოდნენ)“⁷.

3. VI საუკუნის პირველი ნახევარი. წმინდა საბა განწმენდილის (გარდ. 531 წ.) ანდერძი:

ამ ანდერძიდან ვიგებთ, რომ ქართველებს ჰქონდათ საკუთარი ეკლესია წმ. საბას მონასტერში, კედრონის ხეობაში⁸.

6 *Richard Raabe. Petrus der Iberer, ein Charakterbild zur Kirchen und Sittengeschichte des V. Jahrhunderts, Leipzig, 1895, გვ. 46* (სიროული ტექსტი) [სიროული ტექსტის ქართული თარგმანი იხ. აგრეთვე: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965, გვ. 277—278].

7 *J.H. Iliffe. Cemeteries and a "monastery" at the Y.M.C.A. in Jerusalem. — Quarterly of the Department of Antiquities in Palestine. vol. IV, Nos. 1-2.* ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაშრომი. ცალკე გამოცემაზე, რომელიც მე მაქვს, სამწუხაროდ არც თარიღია მითითებული და არც გამოცემის ადგილი [გამოცემის ადგილი და წელია: London, 1934, — გ.ჯ.], გვ. 70—80; განსაკუთრებით გვ. 78.

8 *А. Дмитриевский. Типика, 1. Киев, 1895, გვ. 222-24, ეგრძნობა სინას №1096 ხელნაწერს.*



4. VI საუკუნის მეორე ნახევარი. იმპერატორი იუსტინიანე (527-565):

პროკოფი [კესარიელის] მიხედვით, დაახლოებით 560 წ. იუსტინიანემ „აღადგინა იბერთა ეკლესია იერუსალიმში და ლაზთა ეკლესია იერუსალიმის უდაბნოში“⁹.

5. VII საუკუნე.

VII საუკუნის სომეხ პილიგრიმს მოხსენიებული აქვს: „გოგარენთა (ე.ი. ქართველთა) მონასტერი“, „წმ. იოანეს მონასტერი აღდგომის კარიბჭის მახლობლად. ის ამჟამად ქართველებისაა“¹⁰. აღბანელთა კუთვნილი სამი სხვა მონასტერი ახლა სარკინოზების ხელთაა“¹¹.

6. IX საუკუნის დასაწყისი.


808 წ. ვკითხულობთ: „ზეთის ხილის მთაზე ოთხი ქართველი ბერი ცხოვრობს. გეთსიმანიაში, განცალკევებულ კლდეტან სამი განდევნილი ცხოვრობს: ბერძენი, სირიელი და ქართველი“¹².

⁹ Procopius. The Buildings of Justinian. Tr. by Aub. Stewart and annotated by C.W. Wilson and Professor Hayter Lewis. -PPTS, vol. II. London, 1888, გვ. 147 [შდრ. გეორგიკა, ტ. II, გვ. 223. პროკოფი კესარიელის ცნობაში ეკლესიების ნაცვლად დასახელებულია მონასტრები — გვ.].

¹⁰ P. Leon Alishan. Deux descriptions arméniennes des lieux saints de Palestine. — AOL, 1884, გვ. 396—97. VII საუკუნეში პროინცია გოგარენე-გუგარქო-გუგარეთი უკვე გაქართველებული იყო. K.Kekelidze. Die Bekehrung Georgiens zum Christentum. — Morgenland. Heft 18, Leipzig, 1928, გვ. 23 და შდრ. [გუგარქო-გოგარენის შესახებ იხ. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ., 1977, 146-153. *Д.Л. Мухелишвили. Из исторической географии восточной Грузии. Тб., 1982, გვ. 5-15—გვ.]*

¹¹ Alishan. დასახ. ნაშრ.

¹² Commemoratorium de Casis Dei vel Monasteriis. Ed. Titus Tobler. — T. Tobler. Descriptiones Terrae Sanctae ex Saeculo, VIII, IX, XII et XV. Leipzig, 1874, გვ. 79.



X საუკუნიდან კი ინფორმაცია მატულობს და ჩვენ ვხედავთ, რომ „1050 წ. გოლგოთას ნაწილი მიიღო ქართველთა მეფემ ბაგრატ კურაპალატმა, რომელმაც იქ ქართველი ეპისკოპოსი დანიშნა“¹³.

1106-7 წწ. რუსი პილიგრიმი ილუმენი დანიელი:
„ჯურის მონასტერი ეკუთვნის იბერიელებს“¹⁴.

1108 წ. ქართველი მეფის ქერივი მონაზვნად აღიკვეცა იერუსალიმის ქართულ მონასტერში¹⁵.

13 ვანერი, გვ. 14. დამოწმებულია: [*Archdeacon Dowling. The Georgians in Jerusalem*] *Palestine Exploration Fund, Quarterly Statement, London, October, 1911, გვ. 185*. [დავლინტი წერს, რომ ეს მოხდა XI ს-ის შუა ხანებში, მაგრამ თავის წყაროს არ ასახელებს. ის, ვფიქრობთ, ეყრდნობოდა ა.ცაგარელის ნაშრომს „Памятники грузинской старины“... გვ. 44, სადაც აღნიშნულია, რომ XI ს-ის შუა ხანებში, როცა ჯურის მონასტერი წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის ცენტრი გახდა, მისი ილუმენი იმავე დროს იყო გოლგოთას ილუმენიც. ა.ცაგარელი წერს (დასახ. ნაშრ. გვ. 112): „უძველესა, რომ ბაგრატ IV და მარიამი იღუბდნენ მონაწილეობას გოლგოთას აღდგენაში დაახლოებით XI ს-ის შუა ხანებში“ — გ.ჯ.].

14 Житие и хожение Даниила, русские земли игумена. Под ред. А.М. Веневитинова. — ППС, вып. III (1) [1885], გვ. 82-3. ამ მნიშვნელოვანი აღწერის მხოლოდ სამი ხელნაწერიღა შემორჩა. იგი ეყრდნობა იბერთა დედათა მონასტრის ორ ხელნაწერს (იქვე, გვ. 83, №14). 1102-3 წლებში ზეგულფი ჯურის მონასტრის შესახებ წერს: „წმინდა ჯურის ეკლესია მდებარეობს იერუსალიმის დასავლეთით, დაახლოებით ერთი მილის. მანძილზე, იმ ადგილზე, სადაც წმინდა ჯუარი მოიჭრა. მონასტერს დიდ პატივს სცემდნენ და ძალზე ღამაზი იყო, მაგრამ წარმართებმა მოაოხრეს, თუმცა ძალიან არ დაუნგრევიათ, მხოლოდ მის გარეშემო მდებარე შენობები და სენაკები გაანადგურეს“. იხ. *Rev. Canon Brownlow, PPTS, vol. IV, 1893, გვ. 21* [Путешествие Зевульфа в Святую землю. ППС, вып. IX (т. III, 3), 1885, გვ. 282 - გ.ჯ.]. სამწუხაროდ ზეგულფი არ ასახელებს ვის ეკუთვნოდა მონასტერი.

15 ამ ქართველი მეფისა და მისი „ქერივის“ შესახებ იხ. *Z. Avalishvili. The Cross from Overseas. — Georgica, vol. I, Nos. 2-3, 1936, გვ. 10-11*. ანსელუსის (აფგილობრივი კილიკიეზე — ანსი) წერილის შესახებ იხ. იქვე, გვ. 9-11, ხოლო მასზე ლიტერატურა იხ. იქვე, გვ. 5 შენ. 1.



1121-22 წწ. „მამამადიანები აგროვებენ 600-ათასიან ჯვარს და ლაშქრობენ ქართველთა მეფის დავითის წინააღმდეგ. მათ სურო გაანადგურონ საქართველო, რათა თავისუფლად დაიმორჩილონ იერუსალიმი და ანტიოქია¹⁶.

1170 წ. უცნობი პილიგრიმი:

„ჯვრის მონასტერი იერუსალიმის გარეთ ქართველებს ეკუთვნის“¹⁷.

1173 წ. ბენიამინ ტუდელელი:

(იერუსალიმი) „სასვლა ხალხით. ამ ხალხს მამამადიანები უწოდებენ იაკობიტებს, სირიელებს, ბერძნებს, ქართველებს და ფრანკებს“¹⁸.

1178 წ. „იერუსალიმის მეფე ბაღდუინ IV (1173-1185) ქართველთა ჯვრის მონასტერს ჩამოართმევს ზვარს და გადასცემს წმ. საფლავის ეკლესიის კანონიკებს“¹⁹.

1180 წ. ეაკ დე ვიტრი, იერუსალიმის ლათინი პატრიარქი:

16 ისინი, საბედნუროდ დაამარცხა მეფე დავითმა, რომელსაც მხოლოდ 80 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა. *Gallerii Cancellarii Bella Antiochena*, ed. de Riant, გვ. 130—31. მთელი ლიტერატურა იხ. ზ. ავალიშვილი, გვ. 66-7, შდრ. იქვე, გვ. 73.

17 *Theodorici Libellus de Locis Sanctis editus circa A.D. 1172— cui accedunt breviores aliiquot Descriptiones Terrae Sanctae*. Ed. T. Tobler. St. Gallen. Paris, 1865, გვ. 125.^v

18 *Marcus Nathan Adler. The Itinerary of Benjamin of Tudela*, London, 1907, გვ. 125. [მთარგმნელი ქართველების შესატყვისად იყენებს Georgian-ებს. ბენიამინ ტუდელელის თხზულების ებრაული ტექსტის 1897 წ. გამოცემაში შესაბამის ადგილზე წერია გორგარუნები, ხოლო 1926 წ. გამოცემაში — გურჯები — ა. დავიდი. ქართული პალესტინიანა. — ნაწერები, I. თელ-ავივი-იერუსალიმი. 1976, გვ. 271—გ.ჯ.]

19 უანენი, გვ. 34. *А. Попов. Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев*, ч. II, СПб., 1903, გვ. 167.



„აღმოსავლეთში არის აგრეთვე კიდევ ერთი ქრისტიანი ხალხი. ეს ხალხი დიდი მებრძოლი, ომში მამაცი, ტანად ძალოვანი და ძლევამოსილია, ჰყავს ურიცხვი მეომარი, შიშის ზარს სცემს სარკინოებს, თავდასხმებით ხშირად დიდ ზიანს აყენებს სპარსელებს, მედიელებს,²⁰ და ასირიელებს, რომელთა საზღვრებზეც სახლობს ურწმუნო ხალხებით გარშემორტყმული. ამ ხალხს *Georgian*-ებს (ქართველებს) უწოდებენ, რადგანაც განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობა და ეთაყვანება წმინდა გიორგის, ვინც თავის მფარველად და მედროშედ მიაჩნია ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში და პატივს სცემს ყველა სხვა წმინდანზე მეტად. [ქართველები] საღვთო წერილს ბერძნულად კითხულობენ და საეკლესიო საიდუმლოებებს ბერძნულად ასრულებენ. მათ სამღვდელოებას მრგვალი ტონზურები აქვს, ერისკაცებს კი — ოთხკუთხა. უფლის საფლავთან მოსალოცად მომავალნი წმინდა ქალაქში დროშებგაშლილნი შემოდიან და ხარკს არავის უხდიან. სარკინოები წყენინებას ვერ უბედავენ, რადგანაც შინ დაბრუნებულთ შეუძლიათ, შური იძიონ თავიანთ მეზობელ სხვა სარკინოებზე. ქართველთა წარჩინებულ ქალებს ამორძალთა დარად რაინდებივით ომში იარაღი აქვთ ასხმული. ქართველები ძალზე აღშფოთდნენ და დაემუქრნენ დამასკოს გამგებელ კორადინს, რადგანაც მან არად ჩააგდო მათი სურვილი და იერუსალიმის კედლების დანგრევა ინება იმ დროს, როდესაც ლათინებს დამიეტასთვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული. თმა და წვერი თითქმის ერთ წყრთამდე აქვთ მოზრდილი და თავზე ქუდები ახურავთ²¹.

²⁰ ალბათ მიდიელები.

²¹ Jacques de Vitry. The History of Jerusalem. PPTS, vol. XI, 1896, გვ. 83-4 (დამასკოს გამგებელ კორადინუსში ალბათ ნურ ად-დინი იფულისხმება. დამიეტას ალყა შემოარტყეს 1169 წ. მისი მეფობის (1154-1174) ვაჟს.— ინგლისური გამოცემის რედაქტორის შენიშვნა). [თარიღი ვაჟ დე ვიტრის ინფორმაციისა, რომელსაც გ. ვერაძე



1185 წ. იოანე ფოკას პილიგრიმოზა წმინდა მიწაზე²²:

„წმინდა საბას თემში არის ორმოცი ღვთითშემოსილი მამაკაცი, რომელთაგან ექვსი უშუალოდ ღმერთთან საუბრობს... მეხუთე ესპანელია“²³.

„წმ. გერასიმეს მონასტერში (იორდანეს უდაბნო) ცხოვრობს მოხუცი ბერი („ესპანელი“), რომელსაც მრავალი სასწაული მიეწერება.

„იმავე უდაბნოში, წმ. ოქროპირის მონასტერში კიდევ ერთი ესპანელი ცხოვრობს“.


„ჯვრის მონასტერი“, ესპანელ ბერთა მონასტერი“.

„უშუალოდ გეთსიმანიის შემდეგ, არა უშორეს ისრის გასროლის

გეაწედის, არაზუსტია. ასევე არაზუსტია ინგლისური გამოცემის რედაქტორის შენიშვნაც. ესეც ვიტრი აქრას (და არა იერუსალიმის) ეპისკოპოსი იყო 1216-1228 წლებში. წმინდა მიწა მან 1228 წ. დატოვა (A. Ponoz. დასახ. ნაშ. გვ. 116). კორადინი არის დამასკოს აუზიანი გააგებელი აღ-მაჰლიქ აღ-მუაზნაში (1218-1227). იერუსალიმის კედლები მან დაანგრევინა 1219 წ. მარტში. ამ დროს მეხუთე უკარონული ღაშქრობის მონაწილეებს აელვა ბქონდათ შემორტყმული (1218 წლიდან) დამიეტასთვის, რომელიც ეგვიპტის გასაღებად იყო მიწნეული. ესეც ვიტრი მონაწილეობდა დამიეტას გარემოცვაში; ეს გარემოცვა 1219 წ. ნოემბერში დამიეტას აღებით დასრულდა. — გ.ჯ.-].

22 The Pilgrimage of Joannes Phocas into the Holy Land, from the Leo. Allutus edition. Tr. by Aub. Stewart. PPTS, 1889, გვ. 22, შუნ. 6. გვ. 24, 27, 30 [*Иоанн Фока*. Сказание вкратце о городах и странах от Антиохии до Иерусалима, также Сирии, Финикии и святых местах Палестины, конца XII в. Под ред. И. Троицкого. - ППС, вып. XXIII (т. VIII, вып.2), 1889, გვ. 45, 46, 50, 52— გ.ჯ.-].

23 ეს არის ბერძნული „იბერ“-ის, ქართველის არასწორი თარგმანი [აქ და შემდეგ ასტიუარტის ინგლისურ თარგმანში ბერძნ. *Ἰβηρ* შეცვლილია „ესპანელით“. იოანე ფოკას თხზულების რუსულ თარგმანში, ისევე როგორც მის თანმხლებ ბერძნულ ორიგინალში, ყველგან არის ივერი, ივერიელი — გ.ჯ.-].



მანძილისა, დგას შენობა, რომელსაც ეწოდება „ქვაბი“²⁴. ის აგებულია კლდეზე, ოთხკუთხა ფორმით და ორი შუბის სიმაღლეზე; პირამიდასავით ვიწროვდება ძირიდან წვერამდე. აქ თავისი ნებით გამოკეტილა იბერიელი ბერი და ზრუნავს საკუთარი სულის დახსნაზე“.

1187 წ. სალადინის მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ:

„მოვიდა აგრეთვე ქართველთა ელჩი იმ სალოცავი ადგილების თაობაზე, რომლებსაც ეს ხალხი იერუსალიმში ფლობდა და რომლებიც სურდა მოვლილი ჰქონოდა. ქართველები ჩიოდნენ, რომ ჩამოართვეს [ისინი] და სულთანს სთხოვდნენ, მოწყალება მოელო მათზე, ბრძანება გაეცა, დაებრუნებინათ ეს ადგილები მათთვის, ვისიც იყო“²⁵.

1187 წ. სალადინი ქართველებს აძლევს წმ. ნიკოლოზის მონასტერს²⁶.

24 ბერძნულად მას ჰქვია *Kukumos*. იხ. ППС, вып. XXIII, გვ. 276.

25 Saladin (Salah-ed-din) by *Beha-ed-din*, PPTS, XIII, 1897, გვ. 384 [სალადინის — იგივე სალამ ად-დინის მემატიანის, ბაბა ად-დინ იბნ შადადის (გარდ. 1234 წ.) თხზულების არაბულ ორიგინალში (ბაბა ად-დინ ბ. შადადად ან-ნაჯადორ ას-სულტანიმა ეა ლ-მაბასინ აღ-მუსუქიმა. სირათ სალამ ად-დინ / სულთნის გასართობი ამბები და ოსუფოს ღირსებები. სალამ ად-დინის ცხოვრება. აღ-კაპირა, 1964, გვ. 234) ნათქვამია, რომ ქართველთა ელჩი, რომელიც ეგვიპტის სულთანის ბანაკში ქ. რაშალაში (პალესტინა) პიჯირის 588 წ. 21 მა'ბანს (1. IX. 1192 წ. მივიდა, „შეხო საკითხის მათი (ქართველების/აღ-ქურჯე) მონასტრებისა (ად-დიმარათ) და [საქველმოქმედო] ნაგებობების ('იმარათ) შესახებ, რომლებიც მათ აქვთ იერუსალიმში. და იჩივლეს (ქართველებმა) იმის თაობაზე, რომ ისინი წაართვეს მათ და ითხოვეს გულმოსწყალება სულთანისა — ალლახის წყალობაც იყოს მათზე — რათა დაებრუნებინათ ისინი მათი (ქართველების) წარმომადგენლებისასთვის (წყუბა). — გ.ჯ.].

26 *Popadopulo-Kerumeus*, III, გვ. 27. ჩემთვის გაურკვეველია, წმ. ნიკოლოზის რომელი მონასტერი იგულისხმება აქ: წმ. ნიკოლოზის მონასტერი იერუსალიმში, თუ ჯერის მონასტერი, რომელსაც აგრეთვე წმ. ნიკოლოზის მონასტერიც ეწოდებოდა. ამ მონასტრების ისტორიის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 99, 110-11.



1187 წ. *La Citez de Iherusalem*: „ჯერის მონასტერი ქართველებს (*Jorjans*) ეკუთვნის“²⁷.

1207-8 წწ. „ქართველები უთაცხვო მემორია ილაშქრებენ ურწმუნოთა წინააღმდეგ და უკვე დაიპყრეს 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი. ისინი გაათავისუფლებენ წმინდა ქალაქს და ყველა ურწმუნოს (მაჰმადიანს) დაიპირსიანებენ“²⁸.

1217 წ. მაგისტრი თეოფაროუსი ქართველებს მკაობსუ აღგვიღესე ასახელებს:


„სირიელები, ლათინები, იაკობიტები, ქართველები, სომხები, ბერძენები, ნესტორიანები“²⁹.

1219 წ. „სირიელები, ეთიოპელები, სომხები, ქართველები (*Georgianos*) და აზიის სხვა ქრისტიანები იერუსალიმში ცხოვრობდნენ

27 *La Citez de Iherusalem*, ed. T. Tobler - *Descriptiones terrae sanctae*, etc. გვ. 216-218. დასაბუთო არსებობს რამდენიმე ანონიმური აღწერილობა, რომლებიც თარიღდება XII სუკუნით და გამოცემულია ასტორტის მიერ. — *Anonymous Pilgrims (eleventh to twelfth century)*. Tr. by Aub. Stewart. PPTS, vols. I-VIII. „ჯერის მონასტერი ქართველთა ხელთა“ (იქ. VI, გვ. 11).

28 ანტიოქიიდან ბუჩინოში გაგზავნილი წერილიდან — *Regesta Regni Hierozolimitani (MXCXI-MCCXCI)*. ed. Rh. Röhrich (Oenipont. 1893, გვ. 233-4 გვ.) დამოწმებულია ავალიზილის მიხედვით (გვ. 151-2, 137-8). რომელიც მოუთხოვს მიხელ ლატერატურას [აქ მოტანილია ნაწყვეტი ფრანგი რაინდის დე ბუას წერილიდან. წერილის ტექსტის ქართული თარგმანი, შესრულებული აკ. ურუშაძის მიერ იხ. გამანანძე. პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბ., 1974, გვ. 27-28; წერილის ანალიზი იხ. თანატროშვილი გ. ვაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, №2, 1974, გვ. 168-189 — გვ.].

29 *Magistri Thimari iter ad terram Sanctam anno 1217*. Ed. T. Tobler. St. Gallen, 1851, გვ. 68.



დიდი რაოდენობით“³⁰

1231 წ. ერნული:

„ჯვრის მონასტერი ქართველებს ეკუთვნის“³¹.

1253-4 წ. „ჯვრის მონასტერი ეკუთვნის იბერიელებს (ესე იგი ქართველებს)“³².

1280 წ. ბურხარდი სიონის მთიდან:

„ვინ მოთვლის რამდენი ბერი თუ მონაზონი (მოდის იერუსალიმში) საქართველოდან, დიდი და მცირე სომხეთიდან, ქალდეადან, სირიიდან, მედიიდან, სპარსეთიდან, ინდოეთიდან, ეთიოპიიდან, ნუბიიდან, ნაბათეადან, ან რამდენი მარონიტი იაკობიტი, ნესტორიანი, ბერძენი, სირიელი და სხვა სექტელი დადის დღეს ამ მიწაზე ას ან ორასკაციან ჯგუფებად“³³.

1280 წ. მონღოლების ბრძოლა მამლუქთა წინააღმდეგ:

„აღმოსავლეთში არის აგრეთვე ქრისტიანთა მოღვაძე. იქ არიან სომხები, ბერძნები, სარტყლის ქრისტიანები, ნოთორმები“³⁴, იაკობიტები,

30 Testimonio minore de quinto bello sacro e chronici occidentalibus. Ed. Rh. Röhricht. PSOL, III, Geneva, 1882, გვ. 276.

31 Itinéraires Français, XI-XIII, Geneva, 1882. PSOL, séries géographiques, III, par Henri Michelaud et Gaston Raynaud, გვ. 45.

32 [Краткий рассказ о святых местах Иерусалимских и страстях господя нашего Иисуса Христа и других безымянного написанный в 1253-4 г. издан А.И. Пападопуло-Керамевсом и перев. Г.С. Дестунисом] - ППС, вып. XI, 1895, გვ. 14.

33 PPTS, XII, 1896 (Tr. by Aub. Stewart), გვ. 2.

34 აღმათ ნესტორიანები.



ქართველები და ინდოელები; ყველა ეს ხალხი იტანჯება ურწმუნოთა სასტიკ უღელქვეშ³⁵.

„1280 წელს ქრისტიანები შეუერთდნენ მონღოლებს ეგვიპტელების წინააღმდეგ [საბრძოლველად]. [ლაშქარში] იყო: 50 ათასი მონღოლი, 30 ათასი ბერძენი, ქართველი, სომეხი და ფრანკი“³⁶.

1299 წ. „მონღოლთა ხანმა ყაზანმა გაილაშქრა თავრიზიდან ეგვიპტელთა წინააღმდეგ 1299 წ. 16 ოქტომბერს. მასთან გაერთიანებულნი იყვნენ მეფეები სომხეთისა (ქეთუმი), საქართველოსი (დავითი)³⁷ და კვიპროსისა“.

„ჩვენ აგრეთვე პახიმერისგან ვგებულობთ, რომ ყაზანს თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიის ქრისტიანები თავიანთი ჯვრიანი დროშითურთ“³⁸.

1300 წ. ოქტავ ეპიფანელი:


„1300 წელს იერუსალიმის ქრისტიანებმა შეძლეს ედღესასწაულათ აღდგომა. ყაზანმა სომხეთის მეფეს ის მიწები დაუბრუნა, რომლებიც მას სულთანმა წაართვა. თავის ძმას სირია მისცა, ხოლო

35 AOI, I, 1881, გვ. 354.

36 იქვე, გვ. 639, ბარ ჰებრეუსის (*Barhebraei. Chronicon Syriacum.* ed. P. Bedjan. Paris, 1890, გვ. 592) მიხედვით მათ შორის იყო 5 ათასი ქართველი.

37 იქვე, გვ. 643; ვარაუდობენ, რომ ეს ქართველი მეფე დავითი ბერად შედგა და სახელად მიიღო იოანე [ყაზანს ამ ლაშქრობაში თან ახლდა მეფე გახტანგ III — გ.ჯ.].

38 იქვე, გვ. 645, №50. გამოცემა, რომელსაც ეკურდნობით, განხორციელდა ბონში, ტ. II (თარიღის გარეშე), გვ. 457.



ქართველებს — იერუსალიმი³⁹,

1200-1308 წწ. ბერძნული საპატრიარქოს „ოფიციალური“ ანგარიში ქართველების შესახებ:

“ქართველები პალესტინაში დაახლოებით 1200 წელს მოვიდნენ მამლუქებისა და ჩერქეზების შემწეობით. ისინი დიდად დაეხმარნენ ბერძნულ საპატრიარქოს, რისთვისაც ბერძნებმა ჯერ წმ. ნიკოლოზის მონასტერი უბოძეს, მოგვიანებით კი — ჯვრის მონასტერი. ვინაიდან ქართველნი ძალზე ბევრი იყვნენ, ჩვენგან მიიღეს წმ. იაკობის, წმ. იოანე ღვთისმეტყველის, წმ. თევდორეს, წმ. დემეტრეს, წმ. თეკლას, წმ. ეკატერინეს მონასტრები, ხოლო 1308 წელს — გოლგოთა“⁴⁰.

1305 წ. ალ-მალიქ ან-ნასირ მუჰამადის მმართველობის დროს ჯვრის მონასტრის ეკლესია ქრისტიანებს წაართვეს, „მაგრამ ჰიჯრის 705/24.VII. 1305 — [24.VII.1306 — გ.ჯ.] წ. მოვიდა ელჩი ქართველთა მეფისა. მისი თხოვნით ეკლესია ქრისტიანებს დაუბრუნეს“⁴¹.


1335 წ. იაკობ ვერონელი, ავგუსტინელი ბერი:

„ნუბიელთა სამლოცველოს ახლოს (წმ. საფლავის ეკლესიაში)

39 დასახ. ნაშრ., გვ. 75 [დაწერილებით ამ აზრების შესახებ იხ.: დ.გოთოლფიშვილი. საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საეროაშორისო ურთიერთობების შექმნე XIII-XIV საუკუნეებში. — მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. I, 1978, გვ. 108-9 გ.ჯ.]

40 ბერძნული ჟურნალი „Nec Sion“, ტ. XI, იერუსალიმი, 1910, გვ. 132-4.

41 Henry Sauvaire. Histoire de Jérusalem et de l'Hebron, Paris, 1876, გვ. 173; იხ. აგრეთვე Vincent, Jérusalem. Recherches de Topographie, d'Archéologie et d'Histoire, t. III, Paris, 1926, გვ. 978 [დამატებით იხ.: XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ.გოთოლფიშვილმა. თბ., 1988, გვ. 33-40. — გ.ჯ.]



არის ქართველთა მეორე სამლოცველოც⁴²; „ქართველ ბერებს მერვე ადგილი უკავიათ“⁴³; „ქართველი ბერები ცხოვრობენ ჯვრის მონასტერში“⁴⁴; „ქართველებს აქვთ საკუთარი საკურთხეველი ბესალემის ბაზილიკაში, აკლდამის გარეთ“ (იქ, სადაც ქრისტე იშვა)⁴⁵.

1336 წ. გილელმუს ბალდენსელელი:

„სარანდარიონის მთა ქართველებს ეკუთვნის“. „ქართველმა ბერებმა ვიღუპელმ ბალდენსელელი ძალზე სტუმართმოყვრულად მიიღეს“⁴⁶.

1347 წ. ლუდოლფ ზუდჰაიმი:

„ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეეღვევიან საფლავის ქვის უმცირეს ნატებსაც კი“⁴⁷.

42 ROL, III, 1895, Die Pilgerfahrt des Augustinermönch Jacob aus Verona. Ed. Rh. Röhricht, გვ. 191.

43 "Franciscani, secundo Greci, tercio Nubiani, quarto Abessini et sunt nigri sicut Nubiani, quinto Nestoriani, sexto Maronite, septimo Jacobite, octavo Georgiani, იქვე, გვ. 197-8.

44 იქვე, გვ. 222

45 იქვე, გვ. 219.

46 თუმცა იგი უაღრესად ფანატიკური (და არც ერთადერთი) კათოლიკეა. *Guilielmus de Baldensel. Hodoeporicon ad Terram Sanctam - Henricus Canisius. Antiquae lectione, V, Ingolstadt, 1604, გვ. 131 (გერმანულად).*

47 Ludolphus de Sudheim de itinere terre sancte, AOL, 1884, გვ. 353; ის ქართველებს მეექვსე ადგილს მიუჩენს: „de Grecis, Surianorum, Nubianis, Indorum, Armenis, Georgianis, Nestorians, Jacobites, Maronitis de rito Coptorum, de Ysynis (შესაძლოა, აბისინიელები) de Maronitis. იქვე, გვ. 369; „Si quis de nocte vult videre sepulchrum dei Georgianis custodibus unum venecianum denarium et intrat iterato et altera die omnes complentur exire“. იქვე, გვ. 354.



1366 წ. „კვიპროსის მეფემ სომეხმა პეტრე ლუსიანიანმა დაიპყრო აღექსანდრია, რომელიც ეგვიპტეშია, და დახოცა იქ მცხოვრები ყველა მაჰმადიანი და სარკინოზი. მისი წარმატების გამო სომეხები იერუსალიმში გათავხედდნენ. მოქრთამეს ისინი, ვისაც ძალაუფლება ჰქონდა, გოლგოთას დაეპატრონენ და მოახერხეს მისი შენარჩუნება რამდენიმე წლით“⁴⁸.

1370 წ. არქიმანდრიტი აგრეთენოსი:

„იერუსალიმში არის იბერიული და სირიული მონასტრები“⁴⁹.

„ღვთისმშობლის ეკლესიაში წმინდა საფლავის მარჯვნივ დგას იბერიელთა საკურთხეველი“⁵⁰.

„იმ ადგილზე, სადაც მოჭრეს ხე, რომლისგანაც გააკეთეს ჯვარი, დგას იბერიელთა მონასტერი“⁵¹.

„იერუსალიმის მთავარ ქუჩაზე, ქალაქის ბოლოს, სამ საფეხურს ჩავყავართ დაბლა. აქ არის პრეტორიუმი (ბერძნულად *Phulaki*). წმინდა საკურთხეველი ამ ადგილზე ეკუთვნის იბერიელებს და აქ იბერიელთა წირვები სრულდება“⁵².

„წმინდა საფლავის ეკლესიაში, საფლავში, სადაც სამი ჯვარი

48 ეს ცნობა ძალზე საინტერესოა და უაღრესად მნიშვნელოვანი გოლგოთას ისტორიასთან დაკავშირებით. *Архимандрит Леонид. Три статьи к русскому палестиноведению* - ППС, вып. XVI (т. VI, 1), 1889, გვ. 6-7.

49 *Хождение архимандрита Агрефения обители Пресв. богородица, около 1370 года.* - ППС, вып. XLVIII, 1896, გვ. 9. სამწუხაროდ, ამ მონასტერთა სახელები მითითებული არ არის.

50 იქვე, გვ. 10.

51 იქვე, გვ. 13-14.

52 იქვე, გვ. 5.



აღმოჩნდა, ოცდაცხრა საფეხური ეშვება დაბლა და ძირში დგას ქვის დიდი სვეტი, საიდანაც მუდმივად ცვარი მოჟონავს. წმინდა საკურთხეველი აქ იბერიელებს ეკუთვნის. კიდევ ათი საფეხურით დაბლა არის ადგილი, სადაც დედოფალმა ელენემ სამი ცხედარი აღმოაჩინა. აქაც იბერიელთა საკურთხეველია⁵³.

„გოლგოთას ძირში ქართველთა სამლოცველოა, ხოლო გოლგოთაზე სომხები სწირავენ“⁵⁴.

„წმ. საბას ლავრაში — გამოქვაბულში, სადაც ბარბაროსებმა ორმოცი ბერი დახოცეს, დგას იბერიელთა ეკლესია“⁵⁵.

1384 წ. ლიონარდო ფრესკობალდი:

„ჯვრის მონასტერში სომხები ცხოვრობენ“⁵⁶.

1391 წ. დიაკვანი ეგნატე:

„ქართული წირვა იმართება გოლგოთაზე, სადაც ადამის თავის ქალა ძევს. გოლგოთას ძირში იბერიელთა მიწაა და იბერიელთა წირვები იმართება. ფრანკები თავის წირვებს ქართველთა შემდეგ ასრულებენ“⁵⁷.

„ღვთისმშობლის წმინდა საფლავზე (გეთსიმანია) წირვას ქართველები ასრულებენ“⁵⁸.

53 *Хождение архимандрита Агрэфения*, გვ. 5


54 იქვე, გვ. 3.

55 იქვე, გვ. 18.

56 *Viaggio di Lionardo di Nic. Frescobaldi, fiorentino in Egitto e in Terra Santa, Parma, 1845* — გამოქვეყნდა სერიაში *“Scelta di elegantissimi scrittori italiani antichi e moderni”*, LXVI, გვ. 120.

57 *Архимандрит Леонид. Иерусалим, Палестина и Афон по русским паломникам XIV–XVI веков. — Чтения общества истории и древностей России. Январь–март, №7, М., 1871*, გვ. 6.

58 იქვე, გვ. 10.



XIV საუკუნის დასასრული:

„გოლგოთას მთა იბერიელებს ეკუთვნის“⁵⁹.

„ჯვრის მონასტერი იბერიელთა მონასტერია“⁶⁰.

1389--1405 წწ. ეგნატე სმოლენსკელი:

„ქართველები ასრულებენ წირვას გოლგოთას მთაზე, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს და სადაც ადამის თავის ქალა ძეგს; მათ შემდეგ წირვას ასრულებენ ვენეციელები. გოლგოთას მთის ძირში იბერიელთა მიწაა, სადაც იბერიელები თავიანთ წირვას ასრულებენ“⁶¹.

„ეგესოქიანიაში, ღვთისმშობლის წმინდა საფლავსე, მარჯვენა მხარეს, ქართველები ასრულებენ თავიანთ წირვას“⁶².

1420 წ. დიაკვანი ზოსიმე:

„ჯვრის მონასტერი იბერიელებს ეკუთვნის“⁶³.

„იქიდან ჩვენ წავედით იბერიელთა მონასტერში, სადაც მოიჭრა ხე; რომელსაც ეწერა, რომ ჯვარი ყოფილიყო“⁶⁴.

1421 წ. იოანე პოლონერი:

„წმინდა საფლავის ცკლესიეს გარეთ, ეზოში, არის ოთხი სამლოცველო... მესამე ამავე მხარეს (წმინდა საფლავის ხელმარცხნივ)

59 [Описание Святых мест безымянного, конца XIV в.]. С Предислов. А.И. Пападопуло-Керамевса и перев. Г.С.Дестуниса (греческий и русский текст). - ППС, вып. XXVI, 1890, გვ. XVI. 12, თარგმანი, გვ. 13-23, 15.

60 იქვე, გვ. 21.

61 Хождение Игнатия Смольнянина. Под ред. С.В. Арсеньева. - ППС, вып. XII, 1857, გვ. 19.

62 Хождения Игнатия Смольнянина, 207

63 იხ. არქიმანდრიტი ლეონიდე, გვ. 24.

64 იქვე, გვ. 27.



წმ. იოანე ნათლისმცემლისაა. მესამე სამლოცველო ქართველებს ეკუთვნის“⁶⁵.

„იერუსალიმის ეპისკოპოსის ქუჩაზე ღვ. წმ. ზაქარიას სახლი, რომელიც ქართველებს ეკუთვნის, და იქ არას წმ. იოანე ნათლისმცემლის ღამაზი სამლოცველო“.⁶⁶

„იეოსაფატის ველზე ოცდარვა ნაბიჯს რომ გაივლი და ორმოცდარვა საფეხურით დაბლა ჩახვალ, იგას ღამაზი ეკლესია, სადაც დიდებული ქალწული მარიამის საფლავია. პირველი საკურთხეველი წმინდა საფლავის გვერდით ეკუთვნის ზომიერს მკორე, ბნელი თაღის ქვეშ — ქართველებს ...“⁶⁷. იქიდან (ე.ი. სახლიდან, სადაც დაიბადა წმ. იოანე ნათლისმცემელი) გადადიხარ სხვა მონოქურთმიან ეკლესიაში, რომელიც ქართველებს ეკუთვნის; მას ჯერის ეკლესიას უწოდებენ, რადგან ქრისტეს ჯერის ხე იქ მდგარა და იქ გაზრდილა“⁶⁸.

1422 წ. „გოტფრიდ ბულონელის საუკლავი ქართველთა სამლოცველოშია“⁶⁹.

1436, 1440 წწ. გეორგ პფინტცინგი ქართველებს მეშვიდე ადგილზე


65 John Poloner's Description of the Holy Land. Tr. from Tobler's text by Aub. Stewart. PPTS, VI, 1894, გვ. 4.

66 იქვე, გვ. 16.

67 იქვე, გვ. 7.

68 იქვე, გვ. 23. ტობლერის მიხედვით ეს პილგრაჟობა აღსრულდა 1422 წ. იხ. *Tobler. Descriptions, etc.*, გვ. 497.

69 *Super sepulchrum germani sul luxa ostium e dextris in Capella Georgianorum sculpia est hoc prosa: "hic lacet inclitus dux Godfridus de Bullon qui totam istam terram acquirivi, culus anima regent in Christo". - Epitome bellorum sacrorum in Palestina. - Canisius. Antiquae Lectiones, გვ. 255. [გოტფრიდ ბულონელის საუკლავის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 63, შენ. 164. — გ.ჯ.].*



იხსენიებს წმინდა საფლავის ეკლესიაში.⁷⁰

1440 წ. პანს და პეტერ როტი:

„მარიამ მაგდალინელის სამლოცველო (წმინდა საფლავის ეკლესიაში) ეკუთვნის ქართველებს (*Cursy*)“⁷¹.

1451 წ. მღვდელმონაზონი ვარსონოფი:

„ჯვრის მონასტერი ეკუთვნის იბერიელებს“⁷².

1461 წ. ლუი დე როშეშუარი:

„ქართველებს აქვთ საკუთარი ანბანი. მათ ეკუთვნის საკურთხეველი გოლგოთას ქვემოთ და ადგილი, სადაც ჯვარი ნახეს“⁷³.

„წმინდა ჯვრის ლამაზი ეკლესია ეკუთვნის ქართველებს“⁷⁴.

1461 წ., უილიამ მამაცი, ტიურინგიის ლანდგრაფი:

„მიწის ნაპრალის ახლოს, სადაც ჯვარი იპოვეს, დგას საკურთხეველი, რომელიც ისევე, როგორც სამლოცველო გოლგოთას მთის

70 წმინდა საფლავის ეკლესიაში ყოველდღიურად მრავალი ახალი წირვა იმართება. პირველად წირვას ინდოელები მართავენ, რომლებიც წმ. თომას მიმდევრები არიან, შემდეგ იაკობიტები, ლათინები, სარკინოზები (სირიელები), სომხები, ქართველები (*Kurgy, Georgites*), ნესტორიანები (მარონიტები). პუნტცინგის ნაშრომი Rh. Röhrich-ისა და Heinrich Meissner-ის რედაქციით დაიბეჭდა წიგნში "Deutsche Pilgerreisen nach dem hl. Land". Berlin, 1881, გვ. 92.

71 Pilgerreisen der Basler Hans und Peter Rot. Hrsg. von Bernouilli. იხ. ცალკე ამონაბეჭდი „Beiträge zur vaterländischen Geschichte“-დან, I, Basle, 1882, გვ. 46.

72 Хождение священноиннока Варсонофия ко святому Граду Иерусалиму в 1456 и 1461-1462 гг. - ППС, вып. 45, 1896, გვ. 13.

73 [Journal] de voyage à Jérusalem de Louis de Rochecouart, Ed. par C. Couderc. ROL, I, 1893, გვ. 255-56.

74 იქვე, გვ. 258.



ბირში, სირიელებს ეკუთვნის. აქ ისინი არასწორად ასრულებენ წირვას, თითქმის ისე, ბერძნებს რომ აქვთ წესად. როგორც ამბობენ, ქართველები მოაქცია წმ. გიორგიმ⁷⁵.

1464 წ., ზებალდტ რიტერი (უფროსი):

„წმინდა საფლავის ეკლესიაში... უპირველესად ფეხშიშველა ბერებს ეკუთვნის წმინდა საფლავი და ღვთისმშობლის ჩვენი სამლოცველო. სპარსეთის *Jorsy*-ებს⁷⁶ ეკუთვნის წმ. ელენეს სამლოცველო, რომელიც დგას იქ, სადაც წმინდა ჯვარი აღმოჩნდა“.

„წმინდა ჯვარი, გვირგვინი, მახვილი და სამსჯვალე⁷⁷ აღმოჩნდა კლდის ნაპარალში. აქ დგას საკურთხეველი, რომელიც ეკუთვნის სპარსეთის ქართველებს (*Jorste*)“⁷⁸.

„წმინდა ჯვრის მონასტერი ეკუთვნის იოანეს ქვეყნის ქრისტიანებს. აქ არის აგრეთვე ქალწულ ბარბარეს ხელი“⁷⁹.

75 აქ აშკარა შეცდომაა: ქართველების მაგივრად დასახელებულია სირიელები. შდრ. ლუი დე როშეშარი (წინა ნაწყვეტი). *Pilgerfahrt des Landgrafen Wilhelm des Tapferen von Thuringen zum hl. Lande*. Hrg. von J. Kohl. Bremen, 1868, გვ. 117.

76 ესე იგი ქართველებს *Das Reisebuch der Familie Rieter*, (Bibliothek d. lit. Ver. Stuttgart, CLXVIII). Hrg. von Rh. Röhrich und H. Meissner, Gübingen, 1884, გვ. 18.

77 შესაძლოა სამსჯვალეები.

78 იქვე, გვ. 20. ტ.ტობლერის განცხადებით (იგი წყაროს არ მიუთითებს) სამლოცველო, სადაც ჯვარი აღმოჩნდა „XVI საუკუნის დასაწყისში ქართველებს ეკუთვნოდა“. იხილეთ მისი *Golgotha*, გვ. 317.

79 წაკითხეთ: *Land of Johann* (ე.ი. John) – *Land of Jhohan*-ის ნაცვლად ეს მას ნიშნავს, რომ ქართველებს იერუსალიმში იცნობდნენ მათი მეფის დავითის სახელით, რომელიც მოგვიანებით ბერად შედგა და სახელად მიიღო იოანე. ამ დავითმა დიდი როლი შეასრულა იერუსალიმის განთავისუფლებაში და ეს ქალაქი მას საჩუქრად მისცა ჰონდლბახი ხანმა გახანმა 1300 წელს. იხ. 1280, 1299, 1300 წლების ცნობები: *Ein Pilgerbüchlein, Reise nach Jerusalem*. - *Herrig's Archiv für Neure Sprachen*, t. KL, Braunschweig, 1867, გვ. 313 [შდრ. იემოი, გვ.35, შენ. 37 – გ.ჯ.].



„წმინდა საფლავის ტაძარში სხვადასხვა ჯურის ქრისტიანები არიან: კათოლიკეები, ბერძნები, იოანეს და *Jevduny*-ს (?) მიწის ქრისტიანები, სომხები, სარტყლის ქრისტიანები და კიდევ სამი ეროვნება, რომელთა სახელები დამავიწყდა“⁸⁰.

1465-1466 წწ. ვინმე ვასილი:

„იბერიელთა მონასტერი წმ. ნიკოლოზისა; აქ მოუჭრიათ ხე ჯურისათვის. ამ ეკლესიაშია წმინდა წამებულის წმ. ბარბარეს ხელი“⁸¹.

„დიდ ეკლესიაში წმინდა საფლავის ახლოს წირავენ ბერძნები, იბერიელები, სერბები, ფრანკები, სირიელები, იაკობიტები, მელქიტები, კოპტები და ნესტორიანები“⁸².

1479 წ. ზებალდტ რიტერი (უმცროსი):

„წმინდა საფლავის ეკლესიაში არიან ფეხშიშველა ბერები, ბერძნები და ქართველები (*Georgites*), რომელთაც იცნობენ აგრეთვე *Jorsy*-ს სახელითაც. მათ ეკუთვნის გოლგოთას წმინდა მთაც და აგრეთვე სასატირელი სამლოცველო გოლგოთას მთის ძირში“⁸³.

1479—1480 წწ. იოჰან ტუხერნი ნიურნბერგიდან:

„წმინდა საფლავის ეკლესიაში ქართველებს (*Jorsy*) ეკუთვნის ის ადგილი, სადაც წმინდა ჯვარი აღმოჩნდა. ქართველებს ეკუთვნის გოლგოთას მთაც, რომელიც გადაეცათ მხოლოდ 1475 წელს. მათია აგრეთვე სამლოცველოც გოლგოთას მთის ძირში, იქ, სადაც კლდეში, მარჯვნივ ნაპრალი გადის. ამ სამლოცველოს ღვთისმშობლისა და წმ.

80 იქვე, გვ. 316.

81 *Хождение Василия гостыя*. - ППС, вып. VI, 1884, გვ. 9.

82 იქვე, გვ. 10.

83 იხილეთ ზემოთ, 1464 წ. ცნობა.



იოანე მახარებლის სახელი აქვია⁸⁴.

1480—1483 წწ. ფელიქს ფაბრი:

„ქართველები (*Georgians*), რომელთაც აგრეთვე ნუბიელებს ეძახიან, ხოლო უფრო ხშირად იცნობენ, როგორც სარტყლის ქრისტიანებს, წმინდა მიწაზე ძალზე დაშორებული მხარეებიდან მოდიან. ისინი მეომრები გახლავთ და თავიანთ ქალებსაც მეომრებად წვრიანიან. ქრისტიანები არიან, მაგრამ აქვთ ისეთივე შეცდომები, როგორც ბერძნებს“⁸⁵.

„წმინდა საფლავის ეკლესიას, ასე რომ ვთქვათ, აქვს სამი: შესასვლელი... მეორე შესასვლელი ისაა, რომელსაც პატარა ეზოდან ტაძრის პირველ კვაბში მივყავართ. შესასვლელი ჭიშკრით იხურება და ურღულით იკეტება: ამ კარის გასაღებები ამჟამად ლათინი მინორიტების ძმობას ეკუთვნის, მაგრამ რაჟღენიმე წლის წინათ მათ ქართველები ფლობდნენ“⁸⁶.

„წმინდა ფერის მონასტერი ქართველ ბერებს ეკუთვნის... მათ აგრეთვე მოგვიტანეს ჩვენ წმინდა ბარბარეს მკლავი, რომელსაც ვემსახვიეთ“⁸⁷.


„ისინი დიდი ხანი არაა — მხოლოდ იხუთმეტი წელიწადია — რაც ამ წმინდა ადგილს (გოლგოთას მთა) ფლობენ, რადგან ძღვენი მიართვეს ეგვიპტის მეფეს — სოლდანს, რომელმაც იქიდან სომხები

84 Reisebuch, I, გვ. 663. [ტუხერნის ცნობათუ. რომელიც დაიბოწა ცაგარულს. ქართველებს ეკუთვნოდათ აგრეთვე მართაი მადედალქელის სამლოცველო. *Исаеи*. დასახ. ნაშრ. გვ. 58 — გვ. 1.

85 *The Wanderings of Felix Fabri*. Tr. by Aub. Stewart. - PITS, VII-VIII, I, 1897, გვ. 435.

86 იქვე, გვ. 407.

87 იქვე, II, გვ. 1.



გამოდევნა და მათ მაგიერად ქართველები შეუშვა. მათ ეკუთვნის აგრეთვე წმინდა ჯვრის აღმოსენის ადგილი და გამოქვაბული, სამლოცველო გოლგოთას მთის ძირში, სადაც იერუსალიმის ლათინი მეფეები ასვენია⁸⁸.

1483 წ., იოჰანი, სოლმის გრაფი:

„არის კიდევ ერთი ხალხი, იერუსალიმიდან შორს მცხოვრები, რომლის სამეფოც კასპიის მთებამდე გადაჭიმულა. ეს მამაცი და მძლავრი მოდგმაა. ჰყავს რაინდები და მრავალი მეომარი — ომის დროს. ამიტომაც მეზობლებს: სარკინოზებს, სპარსელებს, მიდიელებს და ასირიელებს მათი ეშინიათ. თუმცა ამ ხალხს გარშემო ურწმუნოები არტყია, ეს არ აშინებს; პირიქით, მეზობელი ხალხები (ვდილობენ, არ გააღიზიანონ. მათ *Georgian*-ებს (ქართველებს) უწოდებენ, გიორგის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველად აურჩევიათ. ბევრი მათგანი ცხოვრობს იერუსალიმში და ფლობს მრავალ წმინდა ადგილს, კერძოდ გოლგოთას მთას და ნაპარალს, სადაც ჯვარი იდგა. აქ მათ საკურთხეველი უდგათ და ერთი მათგანი ყოველთვის იქ არის ჩაკეტილი, რათა ეს ადგილი დაიცვას. მათ კიდევ ეკუთვნის ანგვლსთა ეკლესია⁸⁹ რომელიც დგას ეპისკოპოს ანას სახლის ადგილზე. ბერძნების მსგავსად ქართველებიც მწვალებ⁹⁰ არიან. ისინი დროშებგაშლილნი მოემართებიან იერუსალიმში და კან ისე ბრუნდებიან, ხარკს არავის უხდიან. სარკინოზები ვერ უბ⁹¹ კენ ხელყოფას, რადგან შიშობენ, რომ ... არაონობის! ... რთველები შურს იძიებენ მათ მეზობელ

88 The Wanderings of Felix Fabri. I, გვ. 407; წმინდა ქალწულის საფლავი: „საკურთხეველი, რომელიც ველაზე ახლოს დგას საფლავთან, სომხებს ეკუთვნის; შემდეგი საკურთხეველი ბნელი თაღის ქვეშ, ქართველებს ეკუთვნის“. იქვე I, გვ. 468 [ლათინი მეფეების საფლავების შესახებ იხ. ქვემოთ. გვ.63, შენ. 164 — გ.ჯ.].

89 კურსივი ჩესია.



სარკინოზებზე. ომში საქართველოს წარჩინებული ქალებიც მონაწილეობენ, რომლებიც ამორბალებით ხმარობენ იარაღს. წმინდა კანონებისა და საღვთო წერილის [კითხვისას] იყენებენ ბერძნულს, სხვა დროს — სარკინოზულს ან ქალდეურს“⁹⁰.

1483-4 წწ. პანს ვერლი ფონ ციმბერი:

„(წმინდა საფლავის) ტაძარში ბევრი სხვადასხვა ქრისტიანია, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, განსხვავებული რწმენისა და სექტისა... არიან ბერძნები, იაკობიტები, ქართველები (*Georgits*), ინდოელები, აბისინიელები, ნუბიელები, სომხები და რომაელები ან ლათინები“⁹¹.

1484 წ. გრაფი ფილიპ ლუდვიგ პანაუ—მიუნცენბერგიდან:

„გოლგოთას მთაზე, სადაც წმინდა ჯვარი იდგა და კლდეში ნაპრალი გაჩნდა, დგას ლამაზი ეკლესია, რომელიც ეკუთვნის ქართველებს (*Corsen*)“⁹²

„წმინდა ჯვრის ეკლესია ეკუთვნის ქართველებს (*Kerchen*);⁹³ აქ ნახათ წმ. ბარბარეს ხელს“⁹⁴.

1490 წ., ეან დე კუმარმუა:

„წმინდა საფლავის ეკლესიაში შვიდი განსხვავებული სექტაა:


90 Bewehrtes Reisebuch des Helligten Landes, Nürnberg, 1659, გვ. 167.

91 Reisebuch, I, გვ. 272.

92 Die Jerusalemfahrten des Grafen Philip Ludwig von Hanau, Münzenberg, 1484, und Rheinhard von Hanau, 1550. Hrsg. von Rh. Röhrichl. - Zeitschrift des Vereins für Hessische Geschichte und Landeskunde, t. XXVI, 1891, გვ. 102.

93 იქვე, გვ. 106. ისინი არ შეიძლება იყვნენ ბერძნები, როგორც ეს პაუნა რედკატორს (იქვე, შენიშვნა 1), კინაიდან შათ პქვათ *Krychen*. იქვე. გვ. 109

94 იქვე.



პირველნი ლათინელები არიან, რომელთაც წმინდა საყლაღე აქვთ, შემდეგ ქართველები, რომლებაც ფლობენ გოლგოთას, აგრეთვე სარტყლის ქრისტიანები, ინდოელები, იაკობიტები, ბერძნები და სომხები“⁹⁵.

1493 წ. ჰაინრიხ ფონ ზედლიცი: „ანახ სახლი, სადაც ეკლესია ეკუთვნის ქართველებს (Kirchen)“.⁹⁶

„ანახ სახლი, სადაც ეკლესია ეკუთვნის ქართველებს (Kirchen)“. „ეკლესია, რომელიც იერუსალიმსა და ზაქარიას⁹⁷ სახლს შორის არის, იქ, სადაც ჯერის ხე იღვა, ეკუთვნის ქართველებს“⁹⁸. „ქართველები (Kirchen) გოლგოთას მთაზეც არიან“.⁹⁹

1494 წ. Jorsii-ებს (ქართველებს), რომელთაც აგრეთვე Georgitte-ბს ეძახიან, ეკუთვნის ადგილი, სადაც ჯვარი აღმოაჩინეს, აგრეთვე გოლგოთას წმინდა მთაც. ისევე როგორც სამლოცველო გოლგოთას მთის პირში. ამ სამლოცველოს სახელი ეწოდა ღვთისმშობლისა და წმ. იოანეს მისედევი¹⁰⁰.

95 | J. Cucharmoy. Le saint voyage de Hierusalem, ou petit traité de voyage de Hierusalem...]. Reproduction d'après l'édition de Lyon, 1530 par le comte de Mary, SOL, Geneva, 1889, გვ. 12.


96 ტ. ტობლერის მიხედვით წმინდა ანგელოსების ეკლესია (T. Tobler, Topographie, I, გვ. 367) 1507 წ. უნდა ყოფილიყო ქართველების ხელთ, მაგრამ იხ. სოლმის გრაფის იოჰანის 1483 წ. ცნობა. ამ წელს ეკლესია უკვე ქართველების ხელთ იყო; უნდა ვუარაუდოთ, რომ ის Kirchens-ში გელისძობს ქართველებს და არა ბერძნებს. Die Jerusalemfahrt der Heinrich von Seelitz, ZDPV, XVII, 1894, გვ. 195.

97 ე. ი. აინ-ქარია.

98 იქვე, გვ. 282.

99 იქვე, გვ. 278.

100 Eine Pilgerfahrt in das hl. Land im Jahre 1494. Hrsg. von.. Theodor Schön. - Mitteilungen des Institutes für Österreichische Geschichtsforschung. Bd. XIII, Heft 3 (ცალკე ამონაბეჭდი თარიღის გარეშე), გვ. 5.



„გურულებს ეკუთვნის წმ. ელენეს სამლოცველო. იქ ისინი ცხოვრობენ და წირვას ასრულებენ“¹⁰¹.

1493-4 წ. დანიელი, ეფესის მიტროპოლიტი:

„იბერიელებმა ააშენეს პატარა სამლოცველო გოლგოთაზე“¹⁰².

„ჩვენ აგრეთვე ვესტუმრეთ ჯვრის მონასტერს, რომელიც იბერიელებს ეკუთვნის“¹⁰³.

1498 წ. საქსონიის პერცოგი ჰაინრიხ ღვთისმშობელში:

„წმინდა საფლავის ეკლესიაში შვიდი სხვადასხვა სექტაა: უპირველესად ჩვენი (ე.ი. ლათინების) რწმენისა, შემდეგ *Jorsii*-ებისა (ქართველებისა), რომელთაც იცნობენ აგრეთვე, როგორც *Georgitte*-ბს. მათ ეკუთვნის ადგილი, სადაც წმინდა ჯვარი ნახეს, აგრეთვე გოლგოთას მთა, რომელიც მათ ახლახან მისცეს“¹⁰⁴.

1496-9 წწ., რაინდი არნოლდ ფონ ჰარფი:

„მთის ძირში არის გოლგოთა, სადაც ადამის თავის ქალა აღმოჩნდა. ეს სამლოცველო ქართველ ქრისტიანებს ეკუთვნის“¹⁰⁵.

„ქართველებს (*Georgytes* ან *Jorsy*) ეკუთვნის სამლოცველო, სადაც

101 იქვე, გვ. 6. დასავლეთ საქართველოს მხარის გურიის მოსახლეობა.

102 [*Даниил, Митрополит Ефесский. Рассказ и путешествие по святым местам. Перев. с объясн. Г. Дестуниса. Греч. и русские тексты.* - ППС, вып. VIII, 1894, გვ. 38.

103 იქვე, გვ. 50.

104 *Die Jerusalemfahrt des Herzogs Heinrich des Frommen, von Sachsen Hrsq. von Rh. Röhricht, ZDPV, XXIV, 1901, გვ. 13.*

105 შესაძლოა იგულისხმება ღვთისმშობლისა და წმ. თანე მახარებლის სამლოცველო. *Die Pilgerfahrt des Reiters Arnold von Harff. Hrsq. von Dr. E. von Grootte, Köln, 1860, გვ. 172, შენ. 6.*



წმინდა ჯვარი აღმოჩნდა, აგრეთვე გოლგოთას მთა და სამლოცველოც გოლგოთას მთის ძირში, რომელსაც სახელი ეწოდა ღვთისმშობლისა და წმ. იოანეს მიხედვით“¹⁰⁶.

„წმინდა საფლავის ეკლესიაში ქრისტიანთა შვიდი სექტაა. ესენია: ფრანცისკელები, ბერძნები, ქართველები (*Georgytes* ან *Jorsy*), იაკობიტები, ინდოელები, სირიელები და სომხები“¹⁰⁷.

„წმინდა ჯვრის მონასტერში სახლობენ ბერძენი ბერები, რომელთაც იცნობენ როგორც *Coleuri* – ს“¹⁰⁸.

XV საუკუნის მეორე ნახევარი.

„გოლგოთა ეკუთვნის ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებს“¹⁰⁹.

XV საუკუნე.

ფრანკესკო სურიახო, შესაძლოა 1485 წ.: „წმინდა საფლავის ეკლესიაში არიან: 1. ფრანცისკელები. 2. მარონიტები, კათოლიკეები

106 იქვე, გვ. 175.

107 იქვე.

108 იქვე, გვ. 163; ე.ი. *Καλογυροι*. ერთი ინფორმაცია უაღრესად საინტერესოა: ქრისტიან სირიელებს, იაკობიტებს, *Jheoriani*-ებს [ქართველებს] და აბისინიელებს სწამთ, რომ ადამა დაარღვია თაბორის მთის კანონი და ეს მოხდა იქ, სადაც ანგელოსები გამოაცხადებენ მეორედ მოსვლას.

109 [Душеспасительный рассказ о “Святом гробе” – Восемь греческих описаний св. мест XIV, XV и XVI вв. издал А.И. Пападопуло-Керамевс, с русским переводом И.В. Безобразова] – ППС, вып. LVI, 1903, გვ. 164: იერუსალიმში სხვა მონასტრებიცაა: წმ. იოანე ნათლისმცემლის, წმ. გიორგის, წმ. დემეტრეს, წმ. ნიკოლოზის, იოანე ღვთისმეტყველის, წმ. ბასილ დიდის, მთავარანგელოს მიხეილის, წმ. ეკატერინეს, წმ. ეფთუიმეს, წმ. თეკლასი. ეს მონასტრები ეკუთვნის მართლმადიდებელ ქრისტიანებს — იქვე, გვ. 167 (საწყუხაროდ, ეს მართლმადიდებელი ქრისტიანები ერთმანეთისაგან არ არიან განსხვავებულნი).



და მართლმადიდებლები. 3. ბერძნები. 4. ქართველები (*Gorziani*), აბისინიელები, კოპტები, იაკობიტები, სირიელები, სომხები, ნესტორიანები“¹¹⁰.

„იერუსალიმში ქართველები ანუ იბერიელები ცხოვრობენ წმ. იოანე მახარებლის ეკლესიაში, წმ. გიორგის ეკლესიასა და წმინდა საფლავის ეკლესიის ტაძანებში“¹¹¹.

„ქართველებს უკავიათ ძალიან ლამაზი ჯვრის მონასტერი“¹¹².

„თითქმის დღემდე ქართველებს (*Zorgians*) ეკუთვნოდა სვიმეონ წინასწარმეტყველის ეკლესია. ამჟამად (*al presenta anno*, წელს) მათ იგი დატოვეს“¹¹³.

XV საუკუნის დასასრული.

„წმინდა საფლავის ეკლესიაში არიან აგრეთვე: 1. ლათინები — სიონის მთის ღვთისმოსავი ძმები. 2. ბერძნები. 3. ქართველები (*Georgians*), 4. სომხები. 5. იაკობიტები, სირიელები, მარონიტები, ნესტორიანები და აბისინიელები“¹¹⁴.

XVI საუკუნის დასაწყისი.

„გოლგოთა ქართველებს ეკუთვნის. ისინი მართლმადიდებელი


110 Francesco Suriano saeculo XV. Ed. Girolamo Golubowich. Milan, 1900, გვ. 64. *Tobler, Bibliographia...*, გვ. 58.

111 იქვე, გვ. 74.

112 იქვე, გვ. 132.

113 იქვე, გვ. 132, №2. ამ მონასტერს ჰქვია აგრეთვე კატამონი [ეს ცნობა, როგორც თავად გუგრაძე წერს ქვემოთ (გვ.110, შენ. 334) თითქოს XVI ს-ის პირველი ნახევრისაა — გ.ჯ.].

114 *Wie unsere deutsche Vorfahren gegen Ausgang des XV. Jahrhunderts, nach Jerusalem walfahrteten, das heilige Land*, 56. Jahrgang. Köln, 1912, გვ. 271.



ქრისტიანები არიან¹¹⁵.

„გოლგოთას ძირში ლამაზი ეკლესია დგას. იქ საკურთხეველის თაზე რვა კანდელია, ხოლო საკურთხეველის უკან — თორმეტი. ეს ეკლესიაც ქართველებს ეკუთვნის“¹¹⁶.


1507 წ. (24 ნოემბერი). მ.ბაუმგარტენი:

„ქართველები (*Georgians*) აღმოსავლეთის ხალხია, ძალზე მედგარი და მეომარი ერი. სახელი ქართველთა წმინდანის მიხედვით ჰქვიათ, რომელსაც ისინი თავიანთ მფარველად და შემწედ აღიარებენ და რომელსაც ყველაზე მეტად სცემენ თაყვანს. ქართველები ამბობენ, რომ მათი სამფლობელოები კასპიის მთებს ემიჯნება. ეს ხალხი თუმცა გარშემორტყმულია სარკინოზებით... როცა იურსალიში წასვლას გადასწყვეტენ, ისე მიემართებიან, ვითარცა ოშში, აღმებმოფრიალენი. არც ბაჟს იხდიან, არც ხარკს და ასე შედიან ქალაქში. მათი წარჩინებული ქალები ამორძალების მსგავსად ხმარობენ და ატარებენ იარაღს. რწმენის ძირითად დოგმებში ბერძნულ ეკლესიას ეთანხმებიან. კაცები თმას არ იკრეჭენ და წვერს არ იპარსავენ. მათ სასულიერო პირებს შრგავალი ქუდი ახურავთ, ერისკაცებს კი — ოთხკუთხა.. (წმინდა საფლავის) ტაძარში აქვთ ჯვრის აღმოჩენის სამლოცველო; სამლოცველოები აქვთ გოლგოთას მთაზე და რამდენიმე სხვა ადგილზეც. ბერძნულ ენაზე წირავენ, მაგრამ ყველა სხვა საქმიანობის დროს სარკინოზთა ენაზე ლაპარაკობენ“¹¹⁷.

115 [О граде Иерусалиме и окрестностях его земле обетованной]. Восемь греческих описаний св. мест XIV, XV и XVI вв. Издал А.И. Пападопуло-Керамевс с русским переводом П.В. Безобразова. - ППС, LVI, 1903, გვ. 243.

116 იქვე, გვ. 244.

117 Travels of M. Baumgarten. in Churchill's Collection of Voyages and Travels, vol. I, London, 1732, გვ. 418.



„ლათინები, სირიელები, ქართველები (*Georgiani*), იაკობიტები, ეთიოპელები, სომხები“ (ეს ერები არიან წმინდა საფლავის ეკლესიაში)¹¹⁸.

1507 წ.

„წმინდა საფლავის ეკლესიაში ქართველებს ეკუთვნის ჯვრის აღმოჩენის სამლოცველო, აგრეთვე გოლგოთას მთაც; უფრო მეტიც, სიონის მთაზე წმინდა ანგელოსების ეკლესია, რომელიც მდებარეობს მღვდელმთავარ ანას სახლის ადგილზე. ქართველები წირავენ ბერძნულად. ჩვეულებრივ საუბარში სარკინოზთა და ქალდეურ ენებს იყენებენ“¹¹⁹.

1507 წ., პერცოგი ფრიდრიხ II ლიგნიცელი და ბრიგელი:

„ქართველებს (*Jorschittes*) ეკუთვნის გოლგოთას მთა; იქ შშვენიერი სამლოცველო დგას“¹²⁰.

„გოლგოთას მთასთან თავისუფლად შეიძლება მისვლა. მის კალთებზე და მწვერვალზე... ქართველთა (*Jorschittes*) ბევრი საცხოვრებელია“¹²¹.

„წმინდა საფლავის ეკლესიაში შემდეგი ქრისტიანები არიან: ფეხშიშველა ბერები, ბერძნები. ქართველებს (*Jorschittes* ან *Georgittes*) უკავიათ მესამე ადგილი წმინდა ჯვრის აღმოჩენის ადგილი

118 იქვე, გვ. 419.

119 *Georgii, Prioris Gemnicensis Ord. Cart. Ephemeris Terrae Sanctae II* (Anno Domini 1507) de Thesanos anecdotorum novissimus II, a Bernardo Pezio OSB. (Augustae Vindelicorum et Graeci, 1721), გვ. 551.

120 *Pilgerfahrt des Herzogs Friedrich II von Liegnitz und Brieg nach dem hl. Lande und Descriptio Templi Domini von Philippus de Aversa.* - ZDPV, I, Leipzig, 1878.

121 იქვე, გვ. 183.



და აგრეთვე გოლგოთას მთის მფლობელობაში. ამ მთას ისინი პირველად დაუწოდებენ 1475 წ¹²². უფრო მეტიც, სამლოცველო გოლგოთას მთის ძირში (ღვთისმშობლის და იოანე მახარებლის სამლოცველო) მათ ეკუთვნის¹²³.

„აქედან შშვენიერ მონასტერში მივედით, რომელსაც წმინდა ჯვრის ეკლესია ეწოდება. აქ იდგა ხე, რომლის ზრო ჯვრისთვის გამოიყენეს. უფრო მეტიც აქ წმ. ბარბარეს ხელსაც უჩვენებენ. ჩვენ აქ ვნახეთ ზარები, ერთადერთი მთელს ამ მიწაზე. ამ მონასტრის ბერები წმ. პავლეს რწმენისა არიან“¹²⁴.

[1395- გ.ჯ.]— 1517 წწ. „წმინდა გოლგოთა, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს, კლდეზე მდებარეობს. აქ ორი ეკლესიაა. ერთი მწვერვალზე, მეორე დაბლა. ზევით ის ადგილია, სადაც ქრისტე აცვეს ჯვარს, ქვევით კი ის ადგილი, სადაც ადამი დაკრძალეს¹²⁵. ორივე ეკლესია ქართველებს ეკუთვნის“¹²⁶

„იერუსალიმის გარეთ არის წმინდა ჯვრის მონასტერი, მონასტერი ლამაზი და დიდია და მრავალი სენაკი აქვს. მას ქართველები ფლობენ“¹²⁷.

122 გოლგოთას მთა ეკუთვნოდა ქართველებს უკვე 1308 წლამდე. იხ. ამ წლის ცნობა, გვ. 36; აგრეთვე ქვემოთ, გვ. 91-92.

123 ციტირებულია: *Tobler. Golgotha*, გვ. 292, რომლის მიხედვითაც ქართველებმა მიიღეს გოლგოთა 1479 წლამდე; იქვე, გვ. 384-5, შენ.1.

124 იქვე, გვ. 199.

125 სხვა ვერსიით — მელქისედეკის დაკრძალვის ადგილი (ППС, LVI, 1903, გვ. 244).

126 [Рассказ об Иерусалиме и Святой горе Синае. Восемь греческих описаний св. мест...]. - ППС, LVI, გვ. 143.

127 იქვე, გვ. 151.



1519 წ. იან ვანტი:

„წმინდა საფლავის ეკლესიაში შვიდი სხვადასხვა ქრისტიანული თემია: ლათინების, ბერძნების, სირიელების, სომხების, ნესტორიანების, იაკობიტების, ქართველების (*Georgians*) და ინდოელებისა. იერუსალიმში ბევრი ქართველია, ისინი მრავალ წმინდა ადგილს ფლობენ, კერძოდ გოლგოთას მთას იმ ადგილითურთ, სადაც ჯვარი იდგა. (აგრეთვე) მათ ეკუთვნის ეკლესია ანას სახლის ადგილზე“¹²⁸.

1521 წ., „ქართველებს (*Corsy*) ეკუთვნის გოლგოთას მთა“¹²⁹.

„წმინდა ჯვრის მონასტერში ცხოვრობენ სხვადასხვა ქრისტიანები, რომელთაც ეწოდებათ *Gophty*“¹³⁰.

1523 წ. ფილიპ ფონ ჰაგენი:

„წმინდა ჯვრის მონასტერი ეკუთვნის ქართველებს (*Jorgans*), რომლებიც კარგი ქრისტიანები არიან“¹³¹.

1542 წ. ნიკოლოზ ანაგნოსტი:

„ამ ადგილზე, სადაც ღვთისმშობელი და წმ. იოანე ღვთისმეტყველი იდგნენ და ჯვარცმულ ქრისტეს უმზერდნენ, ქართველები ასრულებენ წირვას“¹³².

128 Eine Pilgerreise nach Jerusalem im Jahre 1519 vom Rechtsanwalt und Notar Weissweiler. - Das Heilige Land, XLI, Köln, 1897, გვ. 114.

129 *Rh. Röhricht*, Zwei Berichte über eine Jerusalemfahrt. - Zeitschrift für die deutsche Philologie, XXV, 1 (გამოცემის ადგილი და თარიღი მითითებული არ არის). [გამოცემის წელი: 1892 წ. - გ.ჯ.], გვ. 182.

130 იქვე, გვ. 190; შესაძლოა, შეცდომაა.

131 *Conrady*, Vier rheinische Palästina-Pilgerschriften des XIV. XV. und XVI. Jahrhundert. Wiesbaden. 1882, გვ. 268.

132 *Николай Анагност*. Заметка о Святом Гробе. - ППС, LVI, 1903; „ამ ადგილზე არის აგრეთვე ადამის თავის ქალა, სამი ჭაბუკისა და მუღუსისდგეის



1550 წ. გრაფი რაინჰარდ ფონ ჰანაუ:

„წმინდა საფლავის ეკლესიაში არიან: ლათინები, ბერძნები, სირიელები, აბისინიელები, კოპტები, ქართველები (*Gorziani*), სომხები“¹³³.

1558-1561 წწ. ვაჭარი ვასილი პოზნიაკოვი:

„გოლგოთა ეკუთვნის იბერიელ ქრისტიანებს: ისინი მართლმადიდებლები არიან. იბერიელთა ილუმენი და იკონომოსი გაღვლილი (სხვა ვერსიებით გაღვლილი, გაღიეული) უელის კანდელებს“¹³⁴.

„ქრისტეს საფლავის თავზე ორმოცდასამი კანდელი ანთია. მათი ზეთით შეესება მხოლოდ წმინდა საფლავის იკონომოსს გაღვლს შეუძლია“¹³⁵.

1559 წ. „თურქეთის მთავრობამ ქართველები აიძულა, მონასტერი *della Colonna* (აქ იგულისხმება იოანე ღვთისმეტყველის, ანუ სალვატორის, მაცხოვარის მონასტერი) ფრანცისკელებისათვის მიეყიდათ“¹³⁶.

საფლავები. — გვ. 177; „გოლგოთაზე ქართველები წირავენ იქვე ფრანკებსაც აქეთ თავიანთი საკუროხეველი“ (იქვე, გვ. 178).

133 იქვე, გვ. 155-6.

134 *Позняков, Василий*, купец. Хождение по святым местам Востока. Под ред. X.M. Лопарева. - ППС. вып. XVIII, 1887, გვ. 35.

135 იქვე, გვ. 33.

136 *Ferdinando Massimiliano*. Storia di Gerusalemme, t. II, Rome, 1857, გვ. 412; მაგრამ ქართველებმა მონასტერში ფული არ აიღეს (იხ. აგრეთვე ქვემოთ ამ მონასტრის ისტორია, გვ. 100-101) [*della Colonna* არის აჟუდის, იგივე სვეტის (სუეტის) მონასტერი აღგომის ეკლესიაში, საკუროხეველის ახლოს. ოსმალო სულთნის ბრძანება ამ მონასტრის ფრანცისკელებისთვის გადაცემის შესახებ გამოიცა 1558 წ. 13 ნოემბერს, ხელახლა — 1561 წ. იანვარში. სვეტისა და იოანე ღვთისმეტყველის მონასტრები, ჩანს, სხვადასხვაა — ცაბულაძე, სულეიმან კანუნის პუქმები



1561 წ. იაკობ ვორმსერი:

„წმინდა საფლავის ეკლესიაში ცხრა ქრისტიანი ხალხია: ფეხშიშველა ბერები, ბერძნები, ნესტორიანები, კოპტები ანუ იაკობიტები, სირიელები (*Georgians*), სომხები, ქართველები, რომელთაც თავიანთი სამლოცველო აქვთ გოლგოთას მთაზე, მარონიტები“¹³⁷.

1562 წ. ალბრეხტი, ლოვენშტაინის გრაფი:

„წმინდა საფლავის ეკლესიაში ცხრა ხალხია: ფეხშიშველა ბერები, ბერძნები, ქართველები (*Gorgi*), რომელთაც ეკუთვნის ადგილი სახელად თხემი (*Locus Calvaria* [ე.ი.გოლგოთა — გ.ჯ.]), სადაც წმინდა ჯვარი და სხვა ორი ჯვარი იდგა, აბისინიელები, სომხები, მარონიტები. ამ ხალხთაგან ორი — სახელდობრ, ლათინები და ნესტორიანები პაპს ემორჩილებიან¹³⁸; სხვები, პირიქით, დამოუკიდებელი არიან“¹³⁹.

1489—1571 წწ. ესპანელი ფრანცისკელი:


„წმინდა საფლავის ეკლესიის გარშემო ცხოვრობენ წარმომადგენლები ყველა ქრისტიანი ხალხისა, რომელთაც აქ თავიანთი განსაკუთრებული ადგილები და კანდელები აქვთ. პირველი არიან წმ. ფრანცისკის ბერები, მეორენი — ბერძნები, მესამენი — სირიელები,

იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანცისკანელებისთვის გადაცემის თაობაზე. — მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №2, 1986, გვ. 123-167, 132; არის საბუთი მათი ოჯივეობის შესახებაც. იხ. იცხაკ დავიდი. ქართული პალესტინა, გვ. 302—გ.ჯ.]

137 *Reisebuch*, გვ. 412; შდრ. აგრეთვე ბოფლის ბიბლიოთეკის №34 ხელნაწერი.

138 ალბათ მარონიტები.

139 *Reisebuch*, გვ. 363.



მეთოხენი — იაკობიტები, მეხუთენი — ქართველები¹⁴⁰.

„ჩვენ შეეძვლით გვენახა სახლი, სადაც დაიბადა იოანე მახარებელი და სადაც ახლა ქართველების ეკლესიაა. აქ შეიძლება ნახო რკინის ჭიშკარი, რომელიც ადრე ქალაქის ძველ კედელში იყო და სადაც გაიარა წმ. პეტრემ, როცა საპატიმროდან გაათავისუფლეს“¹⁴¹.

1573 წ. ლეონჰარდ როიხვოლფენი:

„საუცხოო ქალაქ ტრაპიზონიდან, რომელიც ევქსინის ზღვაზეა, იწყება ქართველთა ქვეყანა. იგი გადაჭიმულია აღმოსავლეთით, ვიდრე სომხეთამდე. ქართველები კეთილნი და უბრალონი არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა ძლიერი და შეუპოვარი მეომრები გახლავთ. თავიანთ წმინდანთა შორის ყველაზე მეტად რაინდ წმ. გიორგის ეთაყვანებიან, რომელსაც ისე უყურებენ, როგორც მფარველსა და შემწეს ომის დროს; ამიტომ სახელწოდება [*Georgians*] მისი სახელიდან მიიღეს. ქართველთა ვაჭრები ხშირად მოდიან უზარმაზარი ქარავნებით აღეპოში... სხვების მსგავსად ჰყავთ თავიანთი პატრიარქები და ეპისკოპოსები, რომლებიც, მართალია, უკვე ერთმანეთთან დაობენ ზოგიერთ საკითხზე, მაგრამ მაინც ბერძნების შეცდომებსა და მოძღვრებებს მისდევენ.

იერუსალიმში აქვთ თავიანთი ადგილები, სადაც გალობენ და წირვას ასრულებენ, კერძოდ, გოლგოთას მთის ეკლესიაში ჩვენი მეუფის იესო ქრისტეს საფლავის ახლოს, იქ, სადაც იგი პირველად წარუდგა

140 A Spanish Franciscan's narrative of a journey to the Holy Land. Translated from the sixteenth-century Latin MS. in his possession and edited with notes, by Harry Charles Luke. London, 1927, გვ. 30.

141 იქვე, გვ. 32 ჩემი ასრით ეს ცნობა შედგენილია 1551 წლამდე. ის წმ. იოანე მახარებლის მონასტერი, აქვე გვ. 100. ხელნაწერი დაუთარილებელია. ის დაწერილია ენციკლოპედია მერ კვიპროსის ოკუპაციის (1489 წლიდან— 1571 წლამდე) დროს.



მარიამ მაგდალინელს მებაღის სახით თავისი აღდგომის შემდეგ¹⁴².
„იაკობიტებს, რომლებსაც აგრეთვე იცნობენ, როგორც *Gosty* - ს,¹⁴³
აქეთ ეკლესია ქართველთა სამლოცველოს მახლობლად“.

1583 წ. ნიკ. ქრისტ. რაძივილი:

„გოლგოთას მთაზე ორი დიდი საკურთხეველია, მარცხნივ კი —
რამდენიმე პატარა; ეს წმინდა ადგილები ეკუთვნის ქართველებს,
რომლებიც შავ ზღვასთან ცხოვრობენ“¹⁴⁴.

„ჯვრის მონასტერი, რომელსაც ბერძნები მთავარანგელოზის
[მონასტერს] ეძახიან, ქართველებს ეკუთვნის; აქ არის მათი
ეპისკოპოსის სამყოფელი“¹⁴⁵.

1584 წ., ვაჭარი ტრიფონ კორობეინიკოვი:

„იერუსალიმში ცხოვრობენ შემდეგი ქრისტიანები: ბერძნები,
სირიელები, სერბები, იბერიელები, რუსები, არაბები, იტალიელები
(აღბათ ლათინები)“¹⁴⁶.

„იბერიელ ბერს გოლგოთაზე — იბერიელი ეპისკოპოსის ეპიფანეს
სამყოფელში — ასი ოქრო მივეცი“¹⁴⁷.

142 *Reisebuch*, გვ. 633; ჩემი აზრით აქ სამი სხვადასხვა სამლოცველოა
ნახსენები: გოლგოთას სამლოცველო, საფლაოსა და იმ ადგილოს, სადაც მარიამ
მაგდალინელს ქრისტე გამოეცხადა.


143 აღბათ მონაწილეობის კოპტები, თუ ეს შეცდომა არ არის.

144 *Hierosolymitani peregrinatio illustrissimi domini*, N.Ch. Radziwill,
Brunsberg, 1614, გვ. 52-3.

145 იქვე, გვ. 98.

146 იხ. ლეონიდე, გვ. 41.

147 იქვე, გვ. 60. ეპისკოპოსი ეპიფანე, აღბათ გოლგოთას ქართული მონასტრის
წინამძღვარი, ამ დროს იქ არ იმყოფებოდა. ტრიფონი იხსენიებს წმინდა ჯვრის მონასტერს
(„მივეცი თორმეტი ოქრო“ იქვე, გვ. 62) და მეტოქე, წმ. ნიკოლოზის მონასტერს
(„მივეცი ოცი ოქრო“, იქვე). სამწუხაროდ, მუდომებლთა ვინაობა არ იხსენიება.



1586 წ. „გოლგოთაზე ორი საკურთხეველია და იქ ქართველები წირავენ“¹⁴⁸.

„ღვთისმშობლის საფლავი — მარმარილოს ორმოცდაათი საფეხური მიემართება დაბლა და უკანასკნელ საფეხურზე არის ქართველთა საკურთხეველი. ის შედარებით უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე ბერძნებისა“¹⁴⁹.

„წმინდა ჯვრის მონასტერი, რომელიც ყოველთვის ქართველებს ეკუთვნოდა, მათ მიერვეა აშენებული. იქ სამას ორმოცდახუთი შესანიშნავი სენაკი და თორმეტი სამლოცველოა. ვის ძაღუძს ასეთი სამლოცველოების აშენება დღეს“¹⁵⁰.

„[იერუსალიმის] აღმოსავლეთით არის დამასკოს კარიბჭე. კარიბჭის გადაღმა აგრიპას ველზე სასაფლაოა, სადაც ქართველები თავიანთ მიცვალებულებს კრძალავენ“¹⁵¹.

1593-4 წ. ტრიფონ კორობეინიკოვი:

„გოლგოთაზე ქართველ ბერებს სამასი ოქრო მივეცით, ხოლო პატრიარქის თითოეულ ბერს, ვინც ქართველებისთვის იღწვის, ორი ოქრო“¹⁵².


148 ППС, LVI, გვ. 195.

149 იქვე, გვ. 211.

150 იქვე, გვ. 221.

151 იქვე, გვ. 223 [რუსულ ორიგინალში ასეა: აგრიპას ველზე „хоронят грузин и там кладбище“ — გ.ჯ.]. შდრ. აგრეთვე *Iliffe*. დასახ. ნაშრ., აქვე გვ. 26, §2. კალესები იერუსალიმში: ნათლისმცემლის, წმ. იაკობის, წმ. დემეტრეს, წმ. გიორგის, წმ. თეოდორე ტირონის, წმ. ბასილის, წმ. ნიკოლოზის, წმ. მიხეილის, წმ. იოანე ღვთისმეტყველის, წმ. ეკატერინეს, წმ. ანას, წმ. თეკლას, წმ. ეფთვიმეს, ღვთისმშობლის კალესა (იქვე, გვ. 206). სამწუხაროდ, მუღობედლა ენაობა მითითებული არ არის.

152 [*Коробейников, Трифон. Хождение по св. местам Востока (1593—1594) под ред. X.M. Лопарева*]. - ППС, вып. XXVII, 1889, გვ. 97.



XVI საუკუნის დასასრული:

„გოლგოთა იბერიელებს ეკუთვნის“¹⁵³.

„იბერიელთა წმინდა ჯვრის მონასტერი სამას ორმოცდახუთი სენაკით“¹⁵⁴.

1602-1603 წწ. მარტინუს სეუსენიუსი:

„სამლოცველო ქრისტეს დილეგი ეკუთვნის ქართველებს“¹⁵⁵.

„გოლგოთას მთა: ეს სამლოცველო ყველაზე ღამაზია და ეკუთვნის ქართველებს; მათ იქ ორმოცდაათი კანდელი უნთიათ და ნებას რთავენ ლათინებს წირვა შეასრულონ ამ ადგილზე“¹⁵⁶.

„სირიელების, კოპტების, სომხების, იაკობიტების, აბისინიელებისა და ქართველების სამლოცველოები“¹⁵⁷.

„წმინდა ჯვრის ეკლესია ქართველებს ეკუთვნის“¹⁵⁸.

„იერუსალიმში ბევრი ქართველი ცხოვრობს, მათ ეკუთვნის გოლგოთას მთა და ეკლესია, სადაც ქრისტეს ჯვარი იდგა; იქ არის საკურთხეველი, სადაც ერთ-ერთი მათგანი ყოველთვის არის ჩაკეტილი, რათა თვალყური ადევნოს მას. მათ ეკუთვნის აგრეთვე წმინდა ანგელოსების ეკლესია, რომელიც დგას იმ ადგილზე, სადაც იდგა

153 Три греческие безымянные проскинитария XVI в. Изд. с предисловием А.И. Пападопуло-Керамевсом и перев. Г.С. Дестунисом. - ППС, вып. XLVI, 1896 გვ. 46.

154 იქვე, გვ. 60. მეორე აღწერაში აღნიშნულია: „წმინდა ჯვრის იბერიული მონასტერი 365 სენაკით“ (იქვე, გვ. 87), ხოლო მესამეში: „გოლგოთა იბერიელებს ეკუთვნის“ (იქვე, გვ. 112); „წმინდა ჯვრის მონასტერი ეკუთვნის ქართველებს და მას აქვს 365 სენაკი (იქვე, გვ. 122).

155 *Martinus Seusenius. Reise in das hl. Land von Ferd. Müller.* - ZDPV, XXVI, 1903, გვ. 38.

156 იქვე, გვ. 39.

157 იქვე-გვ. 43, წმინდა საულაის ეკლესიაში.

158 იქვე, გვ. 47.



მღვდელმთავარ ანას სახლი. ეს ქართველები იცავენ ბერძნულ წესს. როდესაც იერუსალიმში წმინდა ადგილების სანახავად მოემართებიან, დროშებგაშლილნი შემოდიან და ბაეს არ იხდიან. ისინი ბერძნულად სწირავენ“¹⁵⁹.

1608-1634 წწ. „როდესაც პატრიარქი გადის, ისინიც გადიან. ყველა მათგანი მიდის თავისი ხალხის სანახავად და მათ წმინდა ცეცხლს, უნაწილებს. ასევე აკეთებს, აგრეთვე, ერთ-ერთი იბერიელიც“¹⁶⁰. „ჯვრის მონასტერი იბერიელებს ეკუთვნის“¹⁶¹.

1613 წ. ჰანს იაკობ ამანი — ციურისის მოქალაქე:

„ჩვენ წავაწყდით ბერძენი ბერების მიერ დაკავებულ მონასტერსა და ეკლესიას, რომლებიც დგას ველზე... ეს წმინდა ჯვრის მონასტერია“¹⁶².

1615 წ. „*Le pèlerin véritable de la Terre Sainte*“:

„ქართველი ბერების მშვენიერი მონასტერი, რომელსაც პქვია

159 იქვე, გვ. 57.

160 აპოტომაც წმინდა საფლავის სამლოცველოში, წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის ვედრების ცერემონიაზე, ისევე როგორც პატრიარქი, ჩაკეტილი იყო ქართველი. *Проскинитарии по Иерусалиму и прочим святым местам безымянного, между 1608—1634 г. Изд. в первый раз с предисловием А.И.Пападопуло—Керамсаем и переводом на русский язык Г.С.Дестунисом.* - ППС. I, III, 1900, გვ. 43. [ქართულ ლიტერატურაში წმ. ცეცხლის გარდამოსვლის დღესასწაული აღწერილი აქვს პ.კონტოშვილს — მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ. ტფ. 1901, გვ. 36-52— გ.ჯ.].

161 იქვე [გვ. 71].

162 *Jacob Aman Bürger zu Zürich. Reise in das Gelobte Land. 2 Auflage. Zürich, 1630, გვ. 176.*



წმინდა ჯვრის მონასტერი¹⁶³.

„პალესტინის დასავლეთელი მეცეების გოტფრიდ ბულონელის და მისი ძმის ბალდუინის საფლავები წმ. იოანე მახარებლის ქართულ სამლოცველოშია“¹⁶⁴.

„ქართველები წირვას ბერძნულ ენაზე ასრულებენ. ჩვეულებრივ ისინი ლაპარაკობენ ქალდეურ, არაბულ და სპარსულ ენებზე“¹⁶⁵.

„წმ. იაკობის ეკლესია და მონასტერი სომხებს ეკუთვნის, თუმცა ისინი ძველად ესპანელმა¹⁶⁶ მეფემ ააგო თავისი ქვეყნის პილიგრიმებისათვის“¹⁶⁷.


163 Le pèlerin véritable de la Terre Sainte, Paris, 1615, გვ.41, 386.

164 იქვე, გვ. 287 (იხ. აგრეთვე ზემოთ: 1422 წ. კანისოსისა (გვ.46, შენ 69) და 1480—1483 წ. ფუბარის (გვ. შენ 88) ცნობები. წმ. იოანე მახარებლის სამლოცველო პილიგრიმთა მიერ სხვადასხვა სახელით იხსენიება (იხ. ქვემოთ, გვ.95, 63). ის შედოდა წმინდა საფლავის ტაძრის ბაზილიკის სამლოცველოთა რიცხვში. ამავე ტაძრის კომპლექსში შედის აღდგომის ეკლესიაც. გილომ ტაროსელის მიათიებით გოტფრიდ ბულონელი (გარდ. 1100 წ.) და მისი ძმა ბალდუინ I (გარდ. 1118 წ.) სწორედ აღდგომის ეკლესიაში დაკრძალეს (A.Понос. Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев. ч. I. СПб, 1903, გვ. 420; აგრეთვე S. Runciman. A History of the Crusades. vol. I. Penguin Books. N.D. N.P. გვ. 314; vol. II, Cambridge, 1957, გვ. 106); ვიქტორობ, ზემოდასახელებული პილიგრიმები აკონკრეტებენ გილომ ტაროსელის ზოგად მითითებას ლათინ მეფეთა დარბაზის ადგილზე შესაძლოა უკვე არსებობდა ლათინთა სამლოცველო, რომელიც მოგვიანებით გადავიდა ქართველთა ხელში, ანდა ეს სამლოცველო შემდეგ აშენდა. 1808 წ. აღდგომის ეკლესიაში ხანსარი განდა. ბერძენმა ნაატარეს აღდგენითი სამუშაოები, რომელთა დროსაც ლათინ მეფეთა სამარხების კვალი გაქრა (იხ. A. Понос. დასახ ნაშ., გვ. I, გვ. 420). — გ.ჯ.1.

165 იქვე.გვ. 293.

166 იგულისხმება „იბერიელი“. სამწუხაროა, რომ პილიგრიმები ერომანთში ურევენ აღმოსავლეთის იბერიელებს (ქართველებს) და დასავლეთის იბერიელებს (ესპანელებს).

167 იქვე.გვ. 308.



XVII ს-ის დასაწყისი:

„ჯვრის მონასტერი ქართველებს ეკუთვნის“¹⁶⁸

1634 წ. ვასილ გაგარა:

„წმინდა ჯვრის აღმოჩენის მონასტერში ქართველი ბერები ცხოვრობენ“¹⁶⁹.

1646 წ. კრისტოფ ფიურერს ფონ ჰაიმენდორფი:

„ქართველ ბერებს ეკუთვნის გოლგოთას მთა; ისინი ბერძნულ წესებს იცავენ. ბერძენი ბერების მსგავსად მუქი ნაცრისფერი ანაფორები და შავი მოსასხამები აცვიათ და შავი კუნკულები ახურავთ“¹⁷⁰.

1651 წ. გაბრიელი, ნაზარეთის არქიეპისკოპოსი:

„წმინდა ქალაქ იერუსალიმში ბევრი მონასტერი და ეკლესიაა. სხვა ეკლესია - წმ. ნიკოლოზისა. იქ ქართველი ბერები ცხოვრობენ“¹⁷¹.

„იერუსალიმის გარეთ არის ადგილი, სახელად კალონი, სადაც ლოთმა სამი ხე დარგო. იქ ქართული მონასტერი დგას. ქართველი

168 Проскинитарий по Иерусалиму и прочим святым местам [Безымянного начала XVII века], изданный в первый раз, с предисловием и русским переводом, П.В. Безобразовым. вып. LIV, 1901, გვ. 48. „გოლგოთას მთის ძირში არის ღრუი ნათლისცემლის ეკლესია, რომელიც ეკუთვნის მართლმადიდებლებს“ (იქვე, გვ. 35).

169 ლეონიდე, გვ. 73.

170 *Christ. Fürers von Haimendorff Ritters. Reisebeschreibung. Nürnberg, 1646, გვ. 194.*

171 Повесть о святых и богопроходных местах святого града Иерусалима, приписываемая Гавриилу, Назаретскому архиепископу. Под ред. С.О. Долгова. - ППС, LI, 1900, გვ. 9 (გაბრიელის ავტორობა საკამათოა).



ბერები ძალზე ღვთისმოსავნი არიან. თვითონ მუშაობენ თავიანთ მინდვრებსა და ზვრებში, ყველა უცხოელს იღებენ და ეხმარებიან“¹⁷².

1651 წ. დიაკვანი იოანე:

„წმ. ნიკოლოზის მონასტერი — ქართული მეტოქია“¹⁷³.

„ჯვრის მონასტერი; იქ ქართველი ბერები ცხოვრობენ“¹⁷⁴.

1649—1653 წწ. არსენ სუხანოვი:

„ღვთისმშობლის სამლოცველო (წმინდა საფლავში). ქრისტე აქ დაატუსაღეს. ეს სამლოცველო ახლა ბერძნებს ეკუთვნის, მაგრამ ერთ დროს ქართველებისა იყო“¹⁷⁵.

„სამლოცველო, სადაც ქრისტეს ჯვარი იპოვეს. იგი იბერიელებს ეკუთვნოდა, მაგრამ ახლა ადგილი, სადაც იღო ქრისტეს ჯვარი, ბერძნებისაა, მეორე ნახევარი [ადგილისა] კი — ფრანცისკელებისა“¹⁷⁶.

„წმინდა საფლავის ეკლესიაში აღდგომის შემდგომ ორშაბათს სადღესასწაულო წირვა გაიმართა. ნაზარეთის, ბეთლემის, ტრანსიორდანიის, ჰებრონის, სერბეთის (დუბნიციდან) და ქართველმა მიტროპოლიტებმა მონაწილეობა მიიღეს წირვაში“¹⁷⁷.

1688 წ. „წმინდა ჯვრის მონასტერი ეკუთვნის შვეალებელ ქრისტიანებს, რომელთაც ეწოდებათ ქართველები (Georgians)“¹⁷⁸.

172 იქვე, გვ. 21-2.

173 ლეონიდე, გვ. 89. იხ. აგრეთვე ზეითი, გვ. 59, შენ. 147.


174 იქვე გვ. 93.

175 Проскинитарий Арсения Суханова. Под ред. Н.И. Ивановского.- ППС. вып. XXI, 1889, გვ. 155.

176 იქვე, გვ. 157.

177 იქვე, გვ. 88.

178 Relation nouvelle et exacte d'un voyage à la Terre Sainte, ed. par Pierre de la Vigne, Paris, 1688, გვ. 103.



1700 წ., პენრიკ მონდრელი:

„(წმინდა საფლავის) ტალანებში, ეკლესიის გარეშემო, ისევე როგორც უფრო მცირე შენობებში, იყო სენაკები, სადაც ბერები ჩერდებოდნენ ხოლმე და აქ ქრისტიანი ერების მეტი ნაწილი ეხმარებოდა ბერთა მცირერიცხოვან ჯგუფებს. თითოეულ ჯგუფს ჰქონდა თურქების მიერ გამოყოფილი თავისი უბანი. ესენია: ლათინები, ბერძნები, სირიელები, სომხები, აბისინიელები, ქართველები (Georgians), ნესტორიანები, კოპტები, მარონიტები და ა.შ. ამრიგად ვხედავთ, რომ ადრე ყველა მათგანს ჰქონდა გამოყოფილი ადგილი ეკლესიაში, მაგრამ თურქების სიხარბისა და ძალდატანების წყალობით მათ ვერ შეძლეს ამ უბნებისთვის ხარჯების გაღება და ოთხი მათგანის გარდა [ეს ადგილები] ყველამ დათმო. ამჟამად იქ მხოლოდ ლათინები, ბერძნები, სომხები და კოპტები არიან“¹⁷⁹.

1717 წ., ფრანც ფერდინანდ ტროილოელი:


„იერუსალიმში ზოგიერთი ქართველი (Georgians) ცხოვრობს. მათ აქვთ თავიანთი სახლები და ეკლესიები, სადაც წირვებს ასრულებენ“¹⁸⁰.

1726 წ. ვ.გ. ბარსკი:

„ 6.XI. 1726 წ. ვესტუმრეთ წმინდა ჯერის მონასტერს, რომელიც იბერიელ მეფე ტატიანს აუშენებია. მონასტერი ძალიან ძველია... მონასტერში ორას ოცი სენაკია. იქ შესვლა სამი კარიბჭიდან შეიძლება. ორი მათგანი რკინისაა, ერთი კი ხისა. ეკლესიაში იბერიელი მეფეების

179 *Henricus Maundrel*. Ganz neue Reisebeschreibung nach dem gelobten Lande. Hamburg, 1706, გვ. 95; ერთი ცნობით, ეს მოგზაურობა მოხდა 1697 და არა 1700 წ. (იხ. *Paulus*. Sammlung der merkwürdigsten Reisen in den Orient. I: Jena, 1792, გვ. 90).

180 *Francis Ferdinand von Troilo*. Orientalische Reisebeschreibung. Frankfurt-Leipzig, 1717, გვ. 189.



ფრესკებია. ამ სურათების ქვეშ ბევრი წარწერაა. წარწერები ძალზე წააგავს სლავურს. მათი ამოკითხვა ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ შეძლო¹⁸¹. იატაკზე ახლაც ჩანს ეთიოპელთა მიერ დახოცილი ბერების სისხლის ლაქები. წირვის შემდეგ პატივი გვცეს და მოგვემსახურნენ უკეთესად, ვიდრე იერუსალიმის პატრიარქის ეკლესიაში“¹⁸².

1744 წ. „ჯერის მონასტერში რამდენიმე ქართველი (Georgians) ცხოვრობს“¹⁸³.

1749 წ. სერაპიონი, წმ. მატრონას მონასტრის ბერი:

„წმ. იაკობის მონასტერი უფრო მდიდარია, ვიდრე კათოლიკური ან ბერძნული ეკლესიები იერუსალიმში, მონასტერი ამჟამად სომხებისაა, მაგრამ ადრე ქართველებს ეკუთვნოდა. სომხებმა ეს მონასტერი თურქი სულთნისაგან ოყიდეს“¹⁸⁴.

ჯერის მონასტრის აღწერილობა: „ამჟამად იქ არც ერთი ქართველი არ არის. მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდა, რადგანაც ხატები და წარწერები ამ ხატების ქვეშ ქართულია; უფრო მეტიც, იქ ბევრი ქართული წიგნია. მონასტერი ამჟამად ბერძნებს უჭირავთ“¹⁸⁵.

181 ეს წარწერები ქართულ ენაზე იყო. იხ. ქვემოთ 1749 წ. ცნობა.

182 Странствования В. Григоровича-Барского по святым местам Востока с .1723 по 1747 г. I. СПб, 1800, გვ. 201-3.

183 *El Horn. Iconographie [locorum et monumentorum veterum Terrae Sanctae, accurate delineatae et descriptae a E. Horn ordinis Minorum provinciae Thuringiae (1725-1744)... adnotavit et edidit P.H. Golubovich. Romae, 1902].* გვ. 149.

184 Путник или путешествие по святой земле Матронинского монастыря инока Серапиона, 1749 года.— Чтения в императорском обществе истории и древностей российских, кн.3., отд. V, 1873, გვ. 106.

185 იქვე.გვ. 112-114.



1771 წ. რიჩარდ პოკოკი:

„წმინდა ჯვრის მონასტერს, რომელიც ბერძნებს ეკუთვნის... მას აქვს დიდებული ეკლესია“¹⁸⁶.

1820 წ. შოლცი:

„დაახლოებით 1820 წ. შოლცმა ჯვრის მონასტერში ნახა ოთხასი ქართული ხელნაწერი“¹⁸⁷.

1841 წ. „1841 წელს ჯვრის მონასტრის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი გერასიმე, საქართველოდან. იგი სამი წელი წინამძღვრობდა. შემდეგ უარი თქვა თავის საეკლესიო თანამდებობაზე, 1845 წელს“¹⁸⁸.

1846 წ. გ. ფონ ტიშენდროფი:

„ჯვრის მონასტერში უფლება მომცეს, სამახსოვროდ შემენახა ჩემ მიერ ნაპოვნი, პერგამენტზე შესრულებული ბერძნული და ქართული ხელნაწერები. აქ ცხოვრობს ოთხი ქართველი ბერი და მოხუცი მსახური ქალი. თუმცა ძალზე ადრე მივედით, მსახურ ქალს მაშინვე უბრძანეს, მოერთმია ჩიბუხი და ჭიკა ყავა სტუმრისათვის.“¹⁸⁹

1847 წ. „ნათესავი მრავალნაქები ქართველი მეფის ერეკლესი, დედოფალი თამარ მოვიდა საქართველოდან, რათა ელოცა წმინდა ადგილებში“¹⁹⁰.

186 Dr.r. Richard Pocke's Description of Mongolia and Other Lands, II, Erlangen, 1771, გვ. 69 (გერმანული თარგმანი).

187 G. von Tischendorf. Reise in den Orient, II, Leipzig, 1846, გვ. 69.

188 P.H. Themelis. The New Catalogue of the Abbots of the Monastery of the Holy Cross. - Nea Sion, იერუსალიმი, 1910, b (ბერძნულად), გვ. 128.

189 G.von Tischendorf. დასახ. ნაშრ.

190 Themelis, დასახ. ნაშრ., გვ. 128.



1858 წ. არქიმანდრიტი ლეონიდე:

„თავისი აყვავების უმაღლეს ხანაში ქართველებს ეკუთვნოდა თერთმეტი წმინდა ადგილი წმინდა მიწაზე. ჯერის მონასტერი ქართველებისა იყო XVII საუკუნის დასასრულამდე. ამ მონასტერს ჰქონდა ხუთი ეკლესია და ორასოცი სენაკი. იქ ჯერ კიდევ არის ამ მონასტრის მფარველ ქართველ მეფეთა ქართული ფრესკები. ეკლესიის ერთ ნაწილში 1858 წელს მე თვითონ ვნახე ნესტის, ჭიებისა და მორიელებისგან დაუცველი ხელნაწერების გროვა. მათ შორის აღმოვაჩინე ორი სლავური ხელნაწერი¹⁹¹. წმ. ნიკოლოზის მონასტერი იერუსალიმში ეკუთვნოდა მათ (ქართველებს). ეკლესიის კედელში, რომელიც პატრიარქების ბაღს გადაჰყოფრებს, ჯერ კიდევ არის ეპიტაფიებიანი რამდენიმე საფლავის ქვა¹⁹².


1862 წ. აბრამ ნოროვი:

„ჯერის მონასტერი დააარსა წმ. ელენემ და ის ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველებს, წმ. ბასილის ორდენის წევრებს“¹⁹³.

191 *Архимандрит Леонид*. Иерусалим, Палестина и Афон, გვ. 8-9, შენ. 7. იხ. 1391 წ. ნაწვეტი.

192 სამწუხაროდ, საფლავის ქვების ეპიტაფიებიდან მხოლოდ ერთი იქნა ამოკითხული და ის გამოქვეყნებულია ცაგარლის მიერ — ZDPV, 3-4, IV, 1881, გვ. 222-3. სამწუხაროდ, არქიმანდრიტი ლეონიდე ამ თორმეტი ქართული მონასტრიდან მხოლოდ ორს ასახელებს: წმ. ნიკოლოზის და წმ. ჯერის მონასტრებს.

193 ა. ნოროვი. მოგზაურობა პალესტინაში. თარგმანი რუსულიდან გერმანულად ცენკერისა. I. ლაიპციგი, 1862, გვ. 327 [სამწუხაროდ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ნოროვის შრომის გერმანული გამოცემის ზუსტი გერმანული სახელწოდების მოყვანა, რასაც არც გ. ფერაძე იძლევა. — გ.ჯ.]



ნაწილი მეორე

საქართველოსა და პალესტინაში ქართველ ბერებთან დაკავშირებული ფაქტების გამოსავლენად ჩატარებული პილიგრიმული ლიტერატურის კვლევის შედეგები

მრავალფეროვნება სახელმისა, რომელიც პილიგრიმში იცნობდნენ საქართველოსა და ქართველს

პალესტინის ქართული მონასტრების სწორი იდენტიფიკაციისათვის უდიდეს სირთულეს ქმნის ის, რომ პილიგრიმები ქართველებსა და მათ ქვეყანას მრავალ სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ. მიზეზი ალბათ ეს გახლავთ: საქართველო შორს იყო პალესტინიდან და პილიგრიმებს, რომლებიც მას მხოლოდ ყურმოკვრით იცნობდნენ, უძნელდებოდათ მრავალგვარი ქართული ტომობრივი სახელის განსხვავება. ამიტომ ადვილი არ არის, თავიდან ავიცილოთ გაუგებრობანი პალესტინის ქართველ ბერთა კოლონიების კვლევის დროს.¹⁹⁴

194 ქართველებს ურევნ სირიელებში. აი, მაგალითად რას წერს უილიამ მანკი 1461 წ.: „მიწის ნაპრალოან, სადაც ჯვარი იპოვეს, დგას საქართველო, რომელსაც სირიელები ფლობენ. მათ აგრეთვე აქეთ სამლოცველო გოლგოთასს მისი ძირში. ბერსენა მსგავსად შეცდომით წირავენ. როგორც თავად ამბობენ, ისინი მოაქცია წმინდა გიორგი“. აქ რომ სირიელები ქართველების ნაცვლად იხსენიებიან, ამას ადასტურებს შემდეგი გარემოება: იმავე (1461) წელს რომეშუარის თანახმად ჯერის აღმოჩენის სამლოცველო ქართველებს ეკუთვნოდა. კიდევ უფრო აბურღულია იაკობ ბერნელის (1346-47 წ.) ცნობა. იაკობ ბერნელი ერსამანეთში ურევს ქართველებს, ნუბიელებს, წმ. თომას ქრისტიანებსა და იოანეს ქვეყნის ქრისტიანებს. „იოანეს ქვეყნის წმ. იოანეს ქრისტიანები მოელი დღე გალობენ და ერთი წირვის დროს 100-ჯერ და




ქართველები იერუსალიმში არ ცდილობდნენ, ყოველი უცხოელი-სათვის თავიანთი ქვეყნის ისტორია და კულტურა გაეცნოთ, როგორც, მაგალითად, სომხები იქცეოდნენ. უფრო მეტიც, უნდა გვახსოვდეს, რომ პილიგრიმული ლიტერატურის ავტორები, მცირე გამონაკლისის გარდა, საკმაოდ გაუნათლებელი და უმეტეს წილად ძალზე თავგამოდებული კათოლიკეები იყვნენ. ასეთ ადამიანებს ქართველები ყველაზე ცუდი მწვალებლებად მიაჩნდათ და ყოველთვის იმეორებდნენ მხოლოდ

მეტად იმეორებენ ალილოუას. მათ მნიშვნელოვანი აქვთ დიდი თავისუფლება, შეუკლოთ ყოველთვის ატარონ ხელით ჯვარი, და არ მოეახოვებათ გადახადონ გადასახადი წმინდა საულაეში შესვლისას. ამის მიზეზი- ისაა, რომ თუკი მოისურვებენ, თავიანთ ქვეყანაში — ნუბიაში ნილოსის წყალი დააგებონ; მთელი ეგვიპტე გაუდაბურდება. ნუბიელებმა იციან სამი სხვადასხვა სახის ნათლობა: წინადაცვეთა, ნათლობა ცეცხლით, როცა შუბლზე ჯვარი დაიდება და ნათლობა წყლით. ტანისამოსი, რომელიც ქართველებს (*Georgites*) აცვიათ, სირიელთა ტანისამოსის მსგავსია, ოღონდ სირიელებს თეთრი თავსაბურავი ახურავთ, ქართველებს კი — შავი“. *Deutsche Pilgerreisen nach dem hl. Lande. Hrs. von Rh. Röhrich und Heinrich Meissner. Berlin, 1881. გვ. 52*

წმინდა მიწაზე წმ. თომას ქრისტიანების პრივილეგიებით სარგებლობენ ქართველები; ეს არის ეპოქა იერუსალიმში ქართველთა გამგებლობისა. შდრ. ლუდოლფ ზუდბაიმი, ზემოთ, გვ. 37: „ჯუაროსანთა შემდეგ მცირე ადგილი პალესტინაში სირიელებს ეკავათ“ (*Tobler. Golgotha, გვ. 291*). სირიელებში, ალბათ, იგულისხმებიან ქართველები: „წმინდა იაკობის მონასტერი ეგვიპტის იაკობიტებს“ (*PPTS, VI, თავი X*). ვინ არიან ეს იაკობიტები? ჩემი აზრით იაკობიტებში ქართველები იგულისხმებიან. შდრ. აგრეთვე *PPTS, V, 1891—1172 წ.* ცნობა. სახელწოდება იბერიელი რომ არასწორად იხმარეს „ესპანელის“ მნამუნელობით, ტობლერმაც აღნიშნა (*Topographie, I, გვ. 360—361, №1*): რაკი ქართველები ბერძნების მსგავსად მართლმადიდებლები იყვნენ. ბევრი კმაყოფილდებოდა იმის აღნიშვნით, რომ ისინი „მიეკუთვნებოდნენ მართლმადიდებელ ქრისტიანებს“ (იხ. ზემოთ, გვ. 50, შენ.109).

ლუდოლფ ზუდბაიმი (*PPTS, I, XII, გვ. 103*) 1350 წ. ისე აღწერს ნუბიელებს, როგორც გოლგოთას ძირში მდებარე სამლოცველოს მფლობელებს. შესასწავლა, აქ ქართველებთან დაკავშირებული იგივე შეცდომა მეორდება (იხ. ქვემოთ, ამ სამლოცველოს ისტორია, გვ. 95).



იმას, რასაც ფრანცისკელები უყვებოდნენ¹⁹⁵.

როგორც წინა ნაწყვეტებიდან ჩანს, პილიგრიმები საქართველოსა და ქართველებს სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ. ეს სახელებია: *Ibérians, Lazes, Gogarenes, Jorjans, Cursy, Avignia*¹⁹⁶, ძალთა ქვეყანა (*Land of Feminic*)¹⁹⁷, *Jorsy, Jorsites, Georgittes, Georgiani*, *Jorgani, Gorgi*, ჯორიანისანი ("of the Jorian"),¹⁹⁸ *Kurgy, Corsy*, ილანეს ქვეყნის ქრისტიანები¹⁹⁹, სატყლის ქრისტიანები („the Christians of the Cincture“)²⁰⁰, *Corsses, Kerches, Kirchens, Gorgotas*²⁰¹, *Gorziani, Jordiani*²⁰², გრიგორიანები²⁰³, *грузины*.

195 ერთი პილიგრიმის მიხედვით ქართველებს ბერძნებისა და სომხების მსგავსი რწმენა ჰქონდათ (1653-1656 წწ.), *Palestinafahrt des Ignatio von Rheinfelden, Würzburg*, გვ. 151. პერკოგი ფრიდრიხ II (1507 წ.) ჯერის მონასტრის ქართველ ბერებს წმ. პავლეს რწმენის მიმდევრებად მიიჩნევს.

196 ერნული, 1231 წ. გვ. 47: „La terre dont ils sont (des Jorians) a nom Avegie“. 1261 წ. დოკუმენტში საქართველოს ეწოდება „Avegnia, terra Georgianum“, იქვე, გვ. 95, 158.

197 „ამბობდნენ, რომ ისინი (ქართველები) მოვიდნენ ქალთა ქვეყნიდან, სადა ამორძალები ამხედრებულნი მიდნან ომში“. 1187 წ. — *La Citez de Iherusalem*, გვ. 217; *Conder. Latin Kingdom*, გვ. 222.

198 1187 წ. *La Citez de Iherusalem*, გვ. 216. იხ. ზემოთ, შენ. 196.

199 იხ. ზემოთ, გვ. 143 შენ. 79. შდრ. აგრეთვე ზ. ავალიშვილი, გვ. 150—1.

200 ლათინები ქართველებს უწოდებდნენ „სარტყლოს ქრისტიანებს“. *Conder. დასახ. ნაშრ.*, გვ. 222; „სხვა სახელით მათ (ქართველებს) უწოდებდნენ „სარტყლოს ქრისტიანებს“. ეს იმიტომ, რომ წმ. გიორგიმ თავისი სარტყლით შეპყრა ვეშაპი და მისცა ქალწულს“. 1422 წ. *Canissius*, დასახ. ნაშრ., გვ. 269.

201 „Di sotto a monte Calvario trovate Gorgotas“ — *Viaggi in Terra Santa, Napoli (Fibreno)*, 1862, გამოცემულია №396 ხელნაწერის მიხედვით, რომელიც დაცულია ბოლონიაში — della Biblioteca de Canonici Regolari di S. Salvatore. (სამწუხაროდ, არც ავტორი და არც პილიგრიმობის დრო მოხსენებული არ არის), გვ. 7.

202 XIV ს. 50-იანი წლებიდან — 60-იან წლებამდე *L. Conrady. Vier Rheinische Palestina-Pilgerschriften des XIV. XV. und XVI. Jahrhundert, Wiesbaden*, 1882, გვ. 45.

203 XV საუკუნე, *Claes von Dusen, Conrady*, იხ. გვ. 209.



ზოგჯერ ერთი და იგივე ავტორი ქართველებს სხვადასხვა სახელს უწოდებს. ესენია: *Jorschütes* ან *Georgittes*; *Jörsies* ან *Georgyttes*; *Jorsies* ან სპარსეთის *Jörsites*²⁰⁴; „გეორგიანები, რომელთაც აგრეთვე ეძახიან ნუბიელებს და რომლებიც უმეტესად ცნობილნი არიან, როგორც სარტყლის ქრისტიანები... გრიგორიანები“ (ქართველები); *Georgyls* ან *Jörsies*, *Jheoriant*²⁰⁵; *Gorziani (eo vero Iveri)* ან *Georgiani*; *Zorgiani*²⁰⁶; *Iberians* ან *Georgians*; *Jorsies* ან *Georgittes*; გურულები²⁰⁷.

პილიგრიმში სახელწოდება „Georgia“-ს შესახებ


ბუნებრივია, პილიგრიმთა ყველა განცხადებას საქართველოსთან დაკავშირებით შეუძლებელია გულისყურიანი გამოკვლევისა და კრიტიკის გარეშე დავეთანხმოთ, მაგრამ ჩანაწერებს, რომლებიც შემოწმდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის.

204 ზებალდტ რიტერი, 1464 წ. იოჰან შილტერბერგერი ქართველებს უწოდებს: *Gurscy, Kurtzy, Gursy, Gorsites, Gorgetes* – იხ. *Johannes Schilterberger. Reisen in Europa, Asien und Afrika, in des Jahren 1394–1427. Hrsg. von Carl Fried, Neumann, München, 1859.*

205 იხ. ზემოთ, გვ. შენ.150.

206 XV საუკუნე, ფრანჩესკო სურიაწო.

207 იხ. გვ.49, შენ. 101; როგორც მოთხრეს, განსვენებული პლატონ იოსელიანი (ცნობილი ქართველი ისტორიკოსი) თავის ნაშრომში „*Различные наименования грузинов*“ (СПБ, 1844) ეხება სხვადასხვა სახელწოდებას, რომელთაც უცხოელები უწოდებდნენ ქართველებსა და საქართველოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ჩემთვის მხოლოდ სათაურით არის ცნობილი.



პოლიგრამები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, უპირველეს ყოვლისა, სიტყვა „Georgia“-ს ეტიმოლოგიას. ზოგი მათგანი ქვეყნის სახელწოდებას წმ. გიორგის, ქართველთა მფარველ წმინდანს უკავშირებს. „ეს ხალხი ყველა სხვა წმინდანზე მეტ პატივს წმ. გიორგის მიაგებს. ის გამოსახულია ყველა მათ დროშაზე და განსაკუთრებული მოწიწებით ეთაყვანებიან“²⁰⁸. სხვები ამბობენ, Georgian-ები (ქართველები) წმინდა გიორგიმ მოაქცია და ამიტომ პქვიათ მისი სახელით²⁰⁹. ეს წმინდანი, შესაძლებელია, წარმოშობით ქართველია²¹⁰. მათ ეწოდებათ Georgian-ები ამიტომ რომ, „რაინდ გეორგიუსის“²¹¹, ანდა უფრო რომელიღაც მწვალებელ გიორგის²¹² რწმენის მიმდევრები არიანო. ფრანც ფერდინანდ ტროილოელი (1717 წ.) ყურადღებით იკვლევს ამ ეტიმოლოგიურ საკითხს. მან აღმოაჩინა, რომ ქვეყანას Georgia უკვე წმ. გიორგის დაბადებამდე ეწოდებოდა და სიტყვა „Georgia“-ს უკავშირებს ბერძნულ γεωργος—ს, რაც ნიშნავს „მიწისმოქმედს“²¹³.

208 Jacques de Vitry. ამ ხალხს Georgian-ებს უწოდებენ, რადგანაც ისინი განსაკუთრებულ მოწიწებით ეპყრობიან და ეთაყვანებიან წმ. გიორგის, ვისაც თავიანთ მფარველად და მედრომედ თვლიან ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში და პატივს სცემენ ყველა წმინდანზე მეტად“. იხ. ზემოთ, გვ. 30.

209 უილიამ მაშაცი, 1461 წ.: „ქართველები, როგორც ამბობენ, მოაქცია წმ. გიორგიმ“.

210 მ. ბაუმგარტენი, 1507 წ.: „Georgian-ები აღმოსავლეთის ხალხია, ძალზე მედგარი და მეომარი ერი. სახელი ქართველთა წმინდანის მიხედვით პქვიათ, რომელსაც თავიანთ მფარველად და შემწედ აღიარებენ და რომელსაც ყველაზე მეტად სცემენ თაყვანს“. წინადადება „ქართველთა წმინდანის მიხედვით“ ნიშნავს იმას, რომ წმ. გიორგი დაიბადა საქართველოში, ანდა იყო ქართველი.

211 Ignatio von Rheinfelden, Würzburg, 1667, გვ. 151. მოგზაურობის თარიღია 1653-1656 წლები.

212 ლუი დე როშეშუარი, 1461 წ. გვ. 255-256.

213 ფრანც ფერდინანდ ტროილოელის ცნობა განსაკუთრებით საინტერესოა და




ქართულთა სცატუხი პალესტინაში

ჰილიგრიმთა ცნობების საფუძველზე შეეკადრენ, პალესტინის ქართველთა ისტორიის მოკლე მიმოხილვა დაეწერათ. გარდა პროფესორ ცაგარლის შრომებისა, რომლებიც უმთავრესად ქართული წყაროების მიხედვითაა შედგენილი, აღნიშვნის ღირსია რ. ვანენის პირველხარისხოვანი ნაშრომი „*Les Géorgiens à Jérusalem*“²¹⁴, თუმცადა ის, სამწუხაროდ, დაწერილია კათოლიკური თვალსაზრისით და ამის გამო,

აქ მაკლანად მოგვყავს: „ბერის ამბობს, ისტორიის Georgian-ებს თავიანთი სახელს მამაცი გმირის, გიორგის გამო მიიღეს. ისაი თვალსაზრისი ესჯერება იმას, რომ Georgian-ები დიდ თავიანთს სცემენ წმ. გიორგის და ერთგულნი არიან მისი. ყოველ დროისაჲ აქეს მისი გამოსახულება, ნიშნად იმისა, რომ ისინი ქრისტიანულ რწმენასე მოაქცია მან და მხოლოდ მან. სინაჲდვილესი. Georgian-ებს ამ სახელს უკუყვალად ეხახდნენ მანამდე. ვიდრე წმ. გიორგი დაიბადებოდა, კინაჲდან მელა, რუსელაც იმპერატორ კლავდიუსის დროს ცხოვრობდა. ისენებს მათ თავის პირველ წიგნსა, სადაც ამ ხალხის ქვეყანას აღწერს. სხვებს სჯერათ, რომ Georgian-ებს მიწისმოქსელების სიყვარულის გამო უწოდებენ. მანამდე ესახელებოდა მათ იბერებს ეხახდნენ. რადგანაც ისინი მდ. იბერის ნაპირებზე ცხოვრობდნენ. მოგვიანებით ისინი მცირე ასიაში წავიდნენ და ქვეყანას, სადაც დასახლდნენ, იბერაა უწოდეს. სხვები, აგრეთვე აღბანელებს უწოდებენ, არა საბერძნეთის პროვინცია აღბანეთის, არამედ აღმოსავლეთის აღბანეთის მიხედვით, რომელსაც ამჟამად „Georgia“ (საქართველო) ეწოდება“ (*Francis Ferdinand von Troilo*, დასახ. ნაშრ., გვ. 188-190) [პროპონირეს მელასთან, რომელიც ზეირი წელთაღრიცხვის I სუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა. ტერმინი Georgian-ი არ ვხვდება და, საერთოდ ამ ტერმინის ეტიმოლოგია, რომელსაც ფრანც ფერდინანდ ტროილოელი გეთავაზობს, მოუღებელი ჩანს — იხ.: ზ. გელიაშვილი, მამგალობლისმეილი, გაბიჭაძე. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები ევროპულ ენებში. — საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993, გვ. 294-309; 303-4. — გ.ჯ.].

214 მე მაქვს ამ ნაშრომის ქართული თარგმანი [რენე ვანენი, ქართველები იერუსალიმში] შესრულებული ქართველი კათოლიკე მამის შალვა ვარდიძის მიერ (სტამბოლი, 1921). [ახლახან ეს ნაშრომი ქართულად ხელახლა დაიბეჭდა იხ.: ეურნ. რელიგია, №10, 1992, გვ. 3-21. — გ.ჯ.].



მიკერძობებით. ამიტომ აქ ასე კარგად მოხმობილი ისტორიული ფაქტები დამახინჯებულია. ციტირებულია მხოლოდ ის პილიგრიმები, რომლებიც კათოლიკური რწმენისა იყვნენ²¹⁵.

როგორც ვიცი, ევროპულ ლიტერატურაში არ არსებობს სხვა მონოგრაფია პალესტინის ქართული მონასტრების შესახებ. ბერთა ქართულ კოლონიებზე მოკლე ცნობების მოძიება შეიძლება პალესტინის შესახებ დაბეჭდილ სხვადასხვა მონოგრაფიაში. მათ შორის აღბათ ყველაზე მნიშვნელოვანია „*The Latin Kingdom of Jerusalem, 1099–1291*“²¹⁶. ამ ნაშრომის მიხედვით ჯვაროსანთა ბატონობის დროს ქართველებს პალესტინაში შემდეგი მონასტრები ჰქონდათ:

1. ჯვრის მონასტერი იერუსალიმის მახლობლად²¹⁷.
2. ორმოცი დღის მთის მონასტერი (*Quarantana*) იერიქონის მახლობლად¹¹⁸.
3. ქართველთა (იბერთა) მონასტერი მდ. იორდანეს ნაპირზე. სამწუხაროდ, 1185 წ. ის წყალმა წაიღო²¹⁹.
4. წმ. ოქროპირის მონასტერი იერიქონის სამხრეთით (ახლა თელ

215 „ღმერთმა ინებოს და წარსულა დიდების ხსონამ შთააგონოს ქართველებს... რათა დაიბრუნონ ის საპატიო ადგილი, რომელიც მათ უნდა ეკუთვნოდათ იესო ქრისტეს მიერ დამკარგებული ერთადერთი მსოფლიო ეკლესიის წიაღში; მხოლოდ ამ ეკლესიას შეუძლია ჯვროვნად დააფასოს იგინი და ისე მოეპყრას მათ, როგორც საკუთარ შეილებს“. — აღნიშნავს ღირსი მამა რ. ეანენი თავისი შრომის ქართული გამოცემის ფრანგულ წინასიტყვაობაში. იხ. ვარდიძე, გვ. 6.

216 Ed. by C.R. Conder. London, 1897.

217 „და ჩრდილოეთ სირიაში 60 ქართველი ბერი ცხოვრობს წმ. სვიმეონის ძეველ მონასტერში“ (იქვე, გვ. 222).

218 ორმოცი დღის მთა ეწოდა იმ ადგილის, სადაც ქრისტე მონათელის შემდეგ 40 დღე და ღამე მარხულობდა და მას ეშპაკი აცდუნებდა.

219 აქ, ისევე როგორც წმ. სვიმეონის მონასტერში, შესვეტეები ცხოვრობდნენ (იქვე).



ელ-ქურსი)²²⁰.


5. გარდა ამისა, ქართველები ბერძნებთან ერთად (კხოვრობდნენ წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში და ლათინებთან ერთად კალამონის მონასტერში²²¹.

სხვა ავტორის მიხედვით 1653-1656 წლებში „წმინდა ადგილისადმი პატავისცემის ნიშნად ბევრი მათგანი [ქართველი] (კხოვრობს იერუსალიმში და ყოველწლოურად, თურქეთის სამეფოს გავლათ, უამრავნი მიდიან საპილიგრიმოდ ჯვრებითა და დროშებით. ვერც ერთი თურქი ვერ ბედავს აწყენინოს მათ, ანდა მოთხოვოს ბაჟი. თურქებს ეშინათათ მათი, რადგანაც ისინი ძალზე მამაცი და ძლიერი მეომრები არიან“²²².

220 იქვე.

221 იქვე. C.R. Conder-ი სხვებთან ერთად იხსენიებს მნიშვნელოვან ნაშრომებს. ესენია: E. Rey: Les colonies franques de Syrie aux XII-XIII siècle, Paris, 1887; La Cité de Iherusalem (იხ. ზემოთ. 1187 წ. ნაწიეტი) და ეაკ დე ვიტრი (1180 წ.) [1216-1228 წწ. — გ.ჯ.]. E. Rey-ს მიხედვით (დახახ. ნაშრ., გვ. 93) ქართველ ბერებს ჩრდილოეთ სირიაში პეაედათ საკუთარი ეპისკოპოსი, რომელიც არ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს. მიიწეულია, რომ ორმოცი დღის მათს მონასტერი ლათინების ნაცვლად ქართველებს გადაეცა სალაიდის გამარჯვების შემდეგ. უღლებლ ბალდენსელელსა (1356 წ.) ქართველთა ბერები სახა ორმოცი დღის მათს მონასტერში. (ბერძნულად Quarantana ხარანდარიონია). უღლებლ ბალდენსელელსა შესაძლოა იქ იყო 1336 და არა 1356 წ. (იხ. იმავე წლის ქვეშ). ნაშარი, შეცდომით, ხარანდარიონს მიიწეეს 40 სეკსტიელი მარტკელის მონასტრად. იხ. II. Mapp. Исторический очерк. გვ. 118.

222 Ignatio von Rheinfelden, (Würzburg, 1667). გვ. 151. მის მიხედვით ქართველებს პქონდათ იგაე რწსენა, როგორც ბერძნებსა და სომხებს. ქართველებს არ ეშინათ არც თურქებისა და არც სპარსელების... ისინი უფლობენ დიდსა და ნოევი ქეეანას, რომელიც ვწრო უღელტეხილების გამო პრაქტიკულად მოეკლათ. ქართველებს ყოველთვის შეუხლათ ისიონ შური მამადანაწებზე, რისებეც თურქეთის ქეეშერდომები არიან, სეკი თურქები ცუდად მოეკრობიან მათ თავანათ ქეეანასში“.




ქართველთა დიდება, რაზეც ასე ბევრი დაიწერა XVII ს-ის შუა ხანებში, თანდათან გამკრთალდა და პალესტინის აღწერილობანი, რომლებიც ჩვენს დროში შეიქმნა, მხოლოდ სევდიანი გახსენება გახლავთ გამქრალი დიდებისა.

„ქართველები ერთ დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ იერუსალიმში, სადაც 12 ეკლესია და მონასტერი ჰქონდათ²²³. ამჟამად მათი ეკლესია მხოლოდ უმნიშვნელოდ არის წარმოდგენილი. სპარსელებთან, თურქებთან და კაკასიელებთან მრავალი ომის დროს ქართველთა ძლიერებამ დასუსტება დაიწყო; ამის შედეგად ბერძნები და სომხები თავად დაეპატრონენ პირველთა მდიდარ ეკლესია-მონასტრებს და ქართველებს დაუტოვეს მხოლოდ მონასტერი დაირ აღ-მუსელაბე [დაირ აღ-მუსალაბა / ჯვრის მონასტერი — გ.ჯ.]. ეს მონასტერი ქალაქბარეთ, იაფის გზაზე დგას და მას თავს აფარებს მხოლოდ რამდენიმე ბერი, რომლებიც აქ ცხოვრობენ არქიმანდრიტის მეთაურობით. მონასტრის ბიბლიოთეკაში მრავალი ქართული, სომხური და არაბული ხელნაწერია“²²⁴.

„საქართველოს ეკლესია იერუსალიმში, — წერს კარლ რიტერი, — ამჟამად წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მონასტრითა და რამდენიმე პილიგრიმით. მიუხედავად ამისა, ქართველებს ჯერ კიდევ უჭირავთ მაღალი მდგომარეობა დიდი წარსულისა და ყოფილი მნიშვნელობის

223 არქიმანდრიტი ლეონიდე იხსენიებს თერთმეტ მონასტერს (იხ. ზემოთ, გვ. 69, 1858 წ. ნაწყვეტი). საშუალოდ, ის მათ არ ასახელებს; ბერძნები ასახელებენ ცხრა ქართულ მონასტერს (1200—1308 წწ.) იხ. *Bernhard Neumann. Die Heilige Stadt und Ihre Bewöhner [in ihren naturhistorischen, culturgeschichtlichen, socialen und medicinischen Verhältnissen]*, Hamburg, Berlin. Schade, 1877, გვ. 280.

224 იქვე, გვ. 281. ნოიშან თავისი ინფორმაცია რომელიმე გაურკვეველი წყაროდან უნდა აეღო, იმიტომ, რომ იმ დროს, როგორც ეს აშკარად ჩანს 303-ე გვერდზე, წმინდა ჯვრის მონასტერი ქართველებს არ ეკუთვნოდა.




გამო. თავიანთი ძლიერების მწვერვალზე ყოფნისას ქართველებს 12 უმდიდრესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მონასტერი და ეკლესია. ჰქონდათ იერუსალიმში²²⁵, მაგრამ როცა თურქებმა ხელახლა აღიდგინეს უპირატესობა, ქართველებს ისღა დარჩათ, მხოლოდ ჰელიგროიმიზა გაეგრძელებინათ. ქართველებს აქეთ აგრეთვე ჯერის მონასტერი... სენაკების იატაკზე გაბნეულია ხელნაწერები და ხელნაწერთა ფრაგმენტები²²⁶. წმ. იაკობის ლამაზი ეკლესია და მონასტერი ადრე ქართველთა საკუთრება გახლდათ, ხოლო რაკი ისე გაღარიბდნენ, ფულს ვერ უხდიდნენ მუსლიმებს, რასაც ისინი ეკლესიისა და მონასტრის ფლობის საფასურად ძალავდნენ, ეკლესიაცა და მონასტერიც სომხებს დაუთმეს. სომხებსვე მისცეს პატარა ეკლესია სიონის მთაზე მდებარე კაიაფას სახლში (აღბათ დაახლოებით XVI საუკუნის დამდეგს), მაგრამ დაიტოვეს უფლება ყველა ამ შენობაზე. ეკლესია აიგო XI საუკუნეში. ამ ძველი მონასტრის არქივები ჯერ-ჯერობით უცნობია²²⁷.

225 Carl Ritter. Ein Blick auf Palestina und seine Christliche Bevölkerung. Berlin, 1852, გვ. 26. აქ აღწერილი პერიოდი უშუალოდ მოსდევს ლათინთა ბატონობას პალესტინაში.

226 ჩანს, იმ დროს (1852 წ.) ჯერის მონასტერი კვლავ ქართველებს ეკუთვნოდა (იხ. Ritter. დასახ. ნაშრ.).

227 იქვე, გვ. 27—8.



პალესტინის ქართული მონასტრები და ქართველი მტრები X საუკუნემდე

ქრისტიანული წელთაღრიცხვის X საუკუნემდე წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და მთელი პალესტინის ისტორია სამ მნიშვნელოვან მონაკვეთად იყოფა. ესენია: რომაული, ბიზანტიური და, ბოლოს, არაბულ-მამაჰდიანიური. ბერძნებს იმპერატორი კონსტანტინე და დედამისი ელენე იერუსალიმში თითქმის ყველა მონასტრისა და ეკლესიის ფუძემდებლად მიაჩნიათ. პალესტინის ბევრი ეკლესიისა და მონასტრის დაარსების ნამდვილი ისტორია კი რამდენადმე სხვაგვარია, მაგრამ სამწუხაროდ, იდუმალებით მოცული. არქეოლოგიური გათხრები პალესტინაში მხოლოდ საწყის სტადიაშია. ლიტერატურის სფეროში, განსაკუთრებით პროფესორების — მარისა²²⁸ და კეკელიძის²²⁹ მნიშვნელოვანი აღმოჩენების წყალობით ჩვენ ახლახან უფრო ღრმად ჩავიხედეთ ქრისტიანული პალესტინის ისტორიის სხვადასხვა ფურცელსა და მის ლიტურგიაში.

228 *Стратиг Антиох. Пленение Иерусалима персами в 614 г. изд. Н. Марра. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии т. IX. СПб. 1909; ბერძნული თარგმანი ამ შრომისა, არქიმანდრიტ კალისტოსის მიერ შესრულებული, დაიბეჭდა Nea Sion-ში, ტ. IX, 1909, გვ. 81 და შმდ: G. Graf-ის გერმანული რეცენზია — Das Heilige Land. Köln, 1923, გვ. 19—29.*

229 უსთავრესად VII ს. იერუსალიმის ცნობილი კანონარი (ტვილიხი, 1912. ქართულ-რუსულად); გერმანული თარგმანი ეკუთვნის H. Goussen-ს — Über die Georgische Drucke und Handschriften der Festordnung und den Hl. Kalendar des altchristlichen Jerusalem betreffend. München-Gladbach, 1923. გვ. 1-42; იხ. აგრეთვე: *Peradze-Baumstark. Die Weihnachtsfeier Jerusalem im siebten Jahrhundert.* — Oriens Christianus, ser. III. Leipzig, 1927. გვ. 310—318.




შემიხვევითა არ არის, რომ საქართველომ შემოინახა წარსულის ეს უძვირფასესი საგანძური. ქართული კულტურის ისტორია მჭიდროდ უკავშირდება ქრისტიანული პალესტინის ისტორიას და ქართული წყაროების გამოუყენებლად შეუძლებელია ქრისტიანული პალესტინის ისტორიის დაწერა. კიდევ რამდენი ასეთი ფასდაუდებელი დოკუმენტია დაუნჯებული ქართულ მუხუშუმებში!

ყველა, ვისაც სურს, დაწეროს პალესტინის ქართული მონასტრების ისტორია X საუკუნემდე, ინფორმაციის ნაკლებობის გარდა ორ სიძნელეს წააწყდება.

პირველი ის არის, რომ იმ ეპოქაში არ იყო ისეთი მკვეთრი განსხვავება სხვადასხვა ერს შორის, როგორც დღესაა. მეორე კი ის, რომ არ არსებობდა რელიგიური ფანატიზმი, რადგანაც მთელი ქრისტიანობა (შხედველობაში არა გვაქვს მონოფიზიტთა და ნესტორიანთა მცირე ნაწილი) შედგებოდა ერთი დიდი რელიგიური ოჯახისაგან, რომელიც ვრცელდებოდა საქართველომდე — კავკასიაში. X საუკუნემდე ღვთისმოსავი პილიგრიმები სულიერად საკმაოდ კმაყოფილნი რჩებოდნენ, თუ კი შეძლებდნენ თავისუფლად და მშვიდობიანად შეესრულებინათ ღვთისმსახურება წმინდა ადგილებში და არ აწუხებდათ, ვინ ფლობდა ამ ადგილებს, ბერძნები, რომაელები, მართლმადიდებელი. ქართველები, სირიელები თუ მართლმადიდებელი სომხები. ამას გარდა, ბევრი პილიგრიმის გეოგრაფიული ცოდნა ძალზე შეზღუდული იყო.

ეროვნული და რელიგიური ფანატიზმის მომაკვდინებელი შხამი აღმოსავლეთში ჯვაროსნებმა შემოიტანეს. მხოლოდ X საუკუნის შემდეგ ვანსხვავებთ ერთმანეთისგან სხვადასხვა ქრისტიან ხალხს, ვუწონებთ, რომ ეკუთვნიან „ჭეშმარიტ“ ეკლესიას, ანდა კიცხავთ, რომ არ ეკუთვნიან მას.

უძველესი ცნობა პალესტინაში ქართული მონასტრების შესახებ



გახდებდა V ს-ის შუა ხანებში. პეტრე იბერმა, მაიუმის ეპისკოპოსმა, ააშენა „იბერთა მონასტერი სიონის ეკლესიის ზემოთ, ეგრეთ წოდებული დავითის კოშკის მახლობლად“²³⁰. ის ამჟამად წმ. იაკობის მონასტერი და სომეხი პატრიარქის რეზიდენციაა. ქართული წყაროების მიხედვით პეტრე იბერმა ააგო აგრეთვე სასტუმრო სახლი ქართველი პილიგრიმებისათვის იერუსალიმში²³¹. იმ დროს ქართველი ბერები და პილიგრიმები ისე ბევრი იყვნენ, რომ ქართველებს, ალბათ, საკუთარი სასაფლაო ჰქონდათ იერუსალიმში. როგორც ჩანს, ქართველი ეპისკოპოსის (სამუელი?) საფლავის ქვის აღმოჩენა მიუთითებს იმაზე, რომ ქართველთა თემს იერუსალიმში საკუთარი ეპისკოპოსი ჰყავდა²³². VI ს. წმ. საბას ანდერძის მიხედვით ქართველებს საკუთარი ეკლესია ჰქონდა მის [წმ. საბას— გ.ჯ.] მონასტერში, კედრონის ხეობაში²³³. გარდა ამისა, ვიცით, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ, დაახლოებით 560 წ. აღადგინა იბერთა ეკლესია იერუსალიმში (ალბათ წმ. იაკობისა, აგებული პეტრე იბერის მიერ) და ლაზების ეკლესია²³⁴ იერუსალიმის

230 იხ. ზემოთ, გვ. 25-26: „(მონასტერი) მდებარეობს ხელმარცხნივ, თუ წახედოთ ზემოხსენებული კოშკის მეორე კარიბჭიდან სიონის წმინდა ეკლესიისკენ“. სიონის ეკლესია ფრანკისკელთა ძველი ტაძარია; პირველი კარიბჭე, იაფის კარიბჭეა და მეორე — დავითისა, ანდა სიონის კარიბჭე. ზოგიერთი მკვლევარის მიხედვით პეტრე ეპისკოპოსის მიერ აშენებული იბერთა მონასტერი წმ. იოანეს, დღევანდელი საღვაჯტორის (მაცხოვარის) მონასტერია. იხ. ქვემოთ აგრეთვე ჯურის (გვ. 97-100 წმ. იოანე მახარებლისა (გვ. 100-102) და წმ. იაკობის (გვ. 103-105) მონასტრების ისტორია.

231 Житие Петра Ивера, царевича-подвижника и епископа Майумского. V в. Грузинский подлинник издал, перевел и предисловием снабдил Н.Март. ППС, вып. XLVII, 1896, гв.14-15.

232 იხ. *Iliffe*-ს მიერ გამოფრული წარწერა ზემოთ, გვ. 26.

233 იხ. ზემოთ, გვ. 26, §3.

234 იხ. ზემოთ, გვ. 27, §4.

უღაბნოში²³⁵.


VII ს-ის სომესი პოლიტიკისგან ვიგებთ, რომ არსებობდა გოგარენთა²³⁶ და წმ. იოანეს ქართველთა მონასტერი აღდგომის ეკლესიის კარიბჭესთან²³⁷. არის IX ს-ის ორი ძალზე მნიშვნელოვანი ცნობა, რომელთა მისედვით, გმზ წ. ოახი ქართველი ბერი ცხოვრობდა ზეთისხილის მთაზე, ხოლო ქართველი განდევნილი — გეთსიმანიაში²³⁸.

235 ზოგიერთის აზრით ეს არის გურის მონასტერი, სხვები კი მიიჩნევენ, რომ მონასტერი მდებარეობს ოორდანეს უღაბნოში. იხ. აგრეთვე ზემოთ გვ. 82, შენ. 230. არსებობს 530 წ. ძალზე საინტერესო ცნობა — PPTS, 1897, გვ. 14: „ზეთისხილის მთაზე, სადაც უფალი ამადლდა ზეცაში, იქვე ახლოს, არის გამოქვაბული, სახელად *Mazi*, რომელიც განსარტებულია, როგორც „მოწაფეთა გამოქვაბული“. *D. Bernard*-ი აცხადებს (იქვე), რომ მას არ შეუძლია შემოგეთავაზოს *Mazi*-ს ან *Matsi*-ს რაიმე ახსნა“. ტობლერი მას უკავშირებს *μαζα*—ს (ქერის ნაზუკი). ძალზე საინტერესოა აღნიშნოთ, რომ *Matsi* ეხმარება ქართულ სიტყვას „მოწაფეთა“, რომელიც შეიცავს „მწ“ ბგერებს.

236 ეს შესაძლოა აღნიშნავს წმ. იაკობის მონასტერს, რომელიც გუთუნოდა იბერიელებს. იმ დროს, კაქელიძის აზრით (ი-კაქელიძე, ქართველთა მოქცევის ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები. — [მომომხილველი, წ. 1, 1926] გვ. 51) გოგარენე იყო აღმოსავლეთ საქართველოს, ე.ი. იბერიის სომხური ნაწილი.

237 ახლანდელი საღვთაგანის (მაცხოვარის) მონასტერი იხ. ზემოთ, გვ. 27, §5 ბ-6 ჯანაშვილს თავის ნაშრომში „Грузинские обители вне Грузии“ (Тифлис, 1899, გვ. 13) მოაქვს ცნობა იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენა იმპერატორმა პერაკლემ ქართველები [წმინდა] საფლავის ბაზილიკის აღსადგენად. ის იმოწიქებს რუსულ თარგმანს გეორგ ფინლეის შრომისა „Греция под Римским владычеством“ (გამოცემის ადგილი და თარიღი არ არის დასახელებული), გვ. 432, შენ.1, რომელიც, სამწუხაროდ, არ იყო ჩემთვის ხელმისაწვდომი [ფინლეის შრომა, რომელიც გამოიცა მოსკოვში, 1877 წ., ჯანაშვილს არაზუსტად აქვს ციტირებული. ფინლეი მსგავს ინფორმაციას არ იძლევა. — გ-ვ.]

238 იხ. ზემოთ, გვ. 27, § 6. 847 წ. ცნობა: „847 წლამდე ქართველები უხდიდნენ თავიანთი წლეული საეკლესიო გადასახადს 1000 ოქროს მონეტას ანტიოქიის პატრიარქს. 847 წლიდან, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქებს შორის შეგობრული შეთანხმების შედეგად, ამ თანხას ისინი უხდიდნენ იერუსალიმის პატრიარქს — ППС, *ВМЛ*. XVI, 1889, გვ. 48.



ქართული მონასტრები პალესტინაში ლათინთა მმართველობის ხანაში

1099 წ. 15 ივლისიდან 1187 წ. 5 ივლისამდე წმინდა მიწა დასავლეთის ხალხებს ეკუთვნოდა. ამ ხანაში კიდევ რამდენჯერმე იხსენიება ქართველი ბერები და მონასტრები. ჯვაროსანთა დროს ქართველებს ეკუთვნოდა შემდეგი მონასტრები: იბერთა მონასტერი იერუსალიმში, იოანეს (მახარებლის) მონასტერი აგრეთვე იერუსალიმში და, შესაძლოა, ჯვრის მონასტერი. ლაზებს მონასტერი ჰქონდა იერუსალიმის უდაბნოში, ქართველი ბერების ნახვა შეიძლებოდა გეთსიმანიაში, ზეთისხილის მთაზე და წმ. საბას მონასტერში²³⁹. ჩვენ ვიგებთ, რომ ქართველებს გოლგოთას ნაწილი ბიზანტიის იმპერატორმა მისცა 1050 წ.²⁴⁰ ქართველთა მეფემ ბაგრატ კურაპალატმა კი გოლგოთაზე ქართველი ეპისკოპოსი დანიშნა.

ასეთი იყო ვითარება, როდესაც ჯვაროსნებმა დაიპყრეს პალესტინა. ჯვაროსანთა მმართველობის დროს ცნობილი ხდება დედათა ახალი ქართული მონასტრის არსებობა იერუსალიმში (1108 წ.)²⁴¹. გარდა ამისა, ვკითხულობთ, რომ 1178 წ. ქართულ მონასტერს ზვრები ჩამოართვა იერუსალიმის მეფე ბაღდაუნი IV-ემ (1173-1185) და წმინდა საფლავის ლათინ საყდრისშვილებს გადასცა²⁴². 1121-22 წ. მაჰმადიანი

239 იხ. წინა თავი [ინგლისური ტექსტში სქოლიოს ნომერი გამოტოვებულია — გ.ჯ.].

240 იხ. გვ. 28, 1050 წ.

241 *Migne. Patrologia Latina*, t. 162, გვ. 729-731; *Histoire Littérale de la France par les Religieux Bénédictins de la Congrégation de St. Maur*, t. X, Paris, 1756, გვ. 400-403; ავალიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 34; შესაძლოა, აქ იგულისხმება ჯვრის მონასტერი. იხ. აქვე, გვ. 28 №15 და *Z. Avalishvili. The Cross from Overseas - Georgica*, vol. I, Nos. 2-3, 1936, გვ. 3-11.

242 იხ. ზეიხოთ, გვ. 29, 1178 წ.




ხალხების გაერთიანებულმა ძალებმა (600 ათასმა) ომი დაუწვეს ქართველთა მეფეს — დავითს. მეფე დავითს მხოლოდ 80 ათასა მეომარი ჰყავდა. მაჰმადიანებს მიზნად ქონდათ, ხერხეძალში გაეცეხათ ქართველთა მეფე, რათა თავისუფლად მოესპოთ ყველა ქრისტიანი პალესტინასა და ანტიოქიაში, მაგრამ ქართველთა მეფემ დაამარცხა ისინი²⁴³. ლათინური ქრონიკები აღლაცებით გვიყვებიან მისი სიძლი-

243 Gallierii Cancelarii Bella Antiochena, ed. Heinrich Hagenmayer, Innsbruck, 1896 — განმარტებითი შენიშვნებით: *de Riant*, Recueil des Historiens des Croisades. Historiens Occidentaux, t. V, Paris, 1895, გვ. 131. ლიტერატურული ცნობა მომდინარეობს ავალიშვილისგან, დასახ. ნაშრ., გვ. 677.

[რენე გრუსე (René Grousset) თავის ნაშრომში „Histoire des Croisades et du Royaume Franc de Jérusalem“ (t. I, Paris, 1934, გვ. 528—9), ქართველთა ჯვაროსნულ დაშქრობას ასე აღწერს: „მუსლიმური სამქაროს სიძულეთა ჩამოყვლისას არ უნდა დაგვაიწყდეს კაცასიის სამზრეაში მდებარე საქარაველოს ქრისტიანული სამეფოს ექსპანსია. ქართველთა ხელმწიფის რაით აღმაშენებლის (1089-1125) მმართველობის დროს საქართველოს ექსპანსია, რომელიც დროებით შეაჩერეს სულთნებმა მალიქ-შაჰმა და მუჰამედმა, კვლავ გაგრძელდარასაც ხელს უწყობდა სელჩუკთა დაცემა. ახლა დაიწყო დიდი სომხეთის განთავისუფლება. 1121 წ. აგვისტოში სულთანმა მაჰმუდ იბნ მუჰამედმა, რომელიც შემოთავებული იყო, ქართველთა წინააღმდეგ გაგზავნა თავისი უცვროსი ძმა ტულდრილი და მარდინის არიოკიანი ამირა იღ-ღაზი, მაგრამ დამპყრობელთა დაშქარი დაამარცხა დავითმა, რომელსაც გაათავისუფლა თბილისი მუსლიმთაგან. 1124 წ. ძველქართული ქართველები ანისში, დიდი სომხეთის ძველ მედაქალაქში შევიდნენ.

თურქთა ამ კატასტროფამ ჩრდილოეთში, ისლამურ სამქაროში ისეთივე დიდა სენსაცია გამოიწვია, როგორც ფრანკთა გამარჯვებებს სირიაში. პალდადში ჩვენ ვხედავთ მუსლიმებს კაცასიიდან, რომლებიც ცდილობდნენ, მიეღწიათ იმისათვის, რომ ანტიქართული, ანტიჯვაროსნული დაშქრობა დაწყებულიყო, სწორედ ისევე, როგორც ალექსოელი მუსლიმები ცდილობდნენ, ანტიფრანკული კონსტრუქციონები განაღებულყო. ყველა მათი მოწოდება ამაო გამოდგა, რადგანაც XII ს-ის ბოლოს ქართველთა შორისობებმა კვლავ გრძელდება. გიორგი III (1156-1184) მეფერად იბრძოდა თურქთა წინააღმდეგ დიდი სომხეთის გულში, არსრუმის, ანისის, დეინის, ნახტევანისა და განჯის პროვინციებში. დიდი თამარის (1184-1214) მმართველობის დროს ქართველთა ჯარები გამოჩენილი მხედართმთავრების ზაქარია და ივანე მხარგრძელების სარდლობით ძველქართული შეიქრნენ არსრუმისა და არზინჯანის პროვინციებში, გაათავისუფლეს



ერის ამბავს და საქართველო ქრისტიანული კულტურის ბურჯად მიაჩნიათ²⁴⁴. მეფე დავითი თითქმის ლეგენდარულ პიროვნებად იქცა, შესაძლოა, დავითი არის ის მეომარი, რომელიც ბერი გახდა და სახელად იოანე დაირქვა, რის გამოც ქართველებს დიდი ხნის მანძილზე „იოანე მღვდელის ქვეყნის ქრისტიანებს“ უწოდებდნენ.


ლათინთა გამგებლობის დროს იერუსალიმის ქართულ მონასტრებს აყვავების ხანა ედგა. ლათინ მმართველებს არა მკონდათ საბაბი ურთიერთობები გაეფუჭებინათ ისეთ ძლიერ მოკავშირეებთან, როგორებიც ქართველები იყვნენ. 1207-8 წწ.²⁴⁵ ჩვენ ვიგებთ მნიშვნელოვანი დოკუმენტის შესახებ, რომელიც ეხება ქართველთა ძალას და მის მნიშვნელობას ჯვაროსნებისათვის.

და დაიპურეს ყარსი, დაამარცხეს აზერბაიჯანის ათაბაგი და განაგრცეს თავიანთი თავდასხმები ამ მხარიდან არღებოლამდე და თაერიზის კარიბჭემდე.

იბნ ალ-ასირის უკვე ციტირებული ტექსტი ადასტურებს იმას, რომ სელჩუკთა სამყარომ ქრისტიანული ამიერკავკასიის გამოღვიძებითა და ფრანკთა მიერ სირიის ოკუპაციით იგრძნო, რომ ყოველი მხრიდან მუქარა ელოდა“. — ინგლისური გამოცემის რედაქტორის ციტატა].

244 იერუსალიმიდან პარიზში ანსელუსის (1108 წ.) მიერ გაგზავნილი წერილის მიხედვით: „est nobis (Georgia) quasi antemurale“. ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 32, 35.

245 Regesta Regni Hierosolymitani (MXCVI-MCCXCI). ed. Rh. Röhrich. Oenipontii, 1893, გვ. 233-4, 268. დამოწმებულია ავალიშვილის მიხედვით — დასახ. ნაშრ., გვ. 151-2; იხ. 1207-8 წ. ნაწვევები.



ქართულთა მინასტრები პალესტინაში XII საუკუნიდან XIX საუკუნის შუა ხანებამდე


პალესტინაში ჯვაროსანთა ჭეშმარიტი შემკვიდრეები ქართველები იყვნენ. 1180 წელს, როცა იერუსალიმი ჯერ კიდევ ლათინებს ეკუთვნოდა, იერუსალიმის ლათინი პატრიარქისგან ჟაკ დე ვიტრისგან ვიგებთ, რომ დამიეტასთან ლათინთა გამარჯვების შემდეგ დამასკოს გამგებელმა კორადინმა განიზრახა იერუსალიმის კედლის დანგრევა ქართველთა ნებართვის გარეშე, რისთვისაც ქართველებმა სასტიკად დასაჯეს. ეს ნათლად მეტყველებს, რომ ქართველები ლათინთა მმართველობის დროსაც კი გარკვეულწილად მფარველობდნენ იერუსალიმს²⁴⁶.

როცა სალადინმა 1187 წ. ლათინები დაიპყრო და ისინი პალესტინიდან განდევნა, ქართველთა დედოფალმა გამარჯვებულს ელჩი გაუგზავნა. მის გაგზავნას ორი მიზანი ჰქონდა: ერთი იყო სალადინისთვის შეთავაზება იმისა, რომ ქართველები იკისრებდნენ დანგრეული ტაძრების აღდგენის ხარჯებს, მეორე კი — ქართული მონასტრებისა და ეკლესიებისთვის მცირეოდენი პრივილეგია უნდა მიეღოთ²⁴⁷. მაშასადამე ქართველებს სურდათ, დაეცვათ არა მარტო საკუთარი, არამედ ლათინთა მონასტრებიც.* სალადინმა მათ თხოვნა შეუსრულა: ამის შემდეგ ქართველები შეეცადნენ, დაუფლებოდნენ ჯვარს — წმინდა რელიკვიას, რომელიც სალადინმა ხელთ იგდო ოშში

246 იხ. ზემოთ, გვ. 70-71, შენ 194, აგრეთვე, გვ. 30. ნაწყვეტები ჟაკ დე ვიტრის თხზულებიდან [ჟაკ დე ვიტრის ინფორმაციის თარიღის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 30-31. შენ. 21 — გ.ჯ.]

247 იხ. ზემოთ, 1187 წ. ნაწყვეტი.

*[იხ. გვ. 32 შენ. 25. აქ დამოწმებული ბაბა აქდინ იბნ შადადის ცნობა, რომელიც 1192 და არა 1187 წლის ამბავს გადმოცემს, ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს არ იძლევა — გ.ჯ.]



და მას 200 ათასი ოქრო შესთავაზეს²⁴⁸, მაგრამ სალადინმა უარი განაცხადა ძვირფასი რელიკვიის დაბრუნებაზე ალბათ იმიტომ, რომ თანხა ეცოტავა.

სალადინმა ქართველებს მისცა წმ. ნიკოლოზის მონასტერი²⁴⁹ და მათ აგრეთვე სხვადასხვა პრივილეგია მიანიჭა. 1207-8 წწ. ანტიოქიაში დარჩენილ ჯვაროსანთა შორის გაერცვლდა ხმა, რომ ქართველები დიდი ჯარით დაიძრნენ ურწმუნოთა წინააღმდეგ და უკვე აიღეს სამასი ციხე და ცხრა დიდი ქალაქი²⁵⁰. 1299 წ. ქართველები დაუკავშირდნენ „მონღოლეთის ხანს, ყაზანს“²⁵¹ რათა გაეღაშქრათ ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ, რომლებიც იშვამად წმინდა მიწას განაგებდნენ. გამარჯვების შემდეგ ყაზანმა იერუსალიმი ქართველებს უბოძა. რამდენ ხანს განაგებდნენ ქართველები იერუსალიმს, უცნობია. 1305 წ. ვიგებთ ქართველთა ელჩობის ამბავს²⁵². როგორც ჩანს, ამ დროისთვის ქართველთა გამგებლობა უკვე დასრულებული იყო²⁵³.

ეგვიპტის მამლუქებმა, რომელთა ბატონობა წმინდა მიწაზე მხოლოდ თურქთა მიერ მის დაპყრობამდე (1517 წ.) გაგრძელდა, ქართველთა მონასტრებს დიდძალი წყალობა უბოძეს. მამლუქები წარმოშობით კავკასიელები იყვნენ, ხოლო მაჰმადიან-კავკასიელ მთიელებში ბევრი

248 *Исапелу*, დასახ. ნაშრ., გვ. VI; ავალიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 154, შენ. 10. [ეს ცდა წინ უსწრებდა ქართველთა 1192 წ. სექტემბრის ელჩობას, რომელიც პალესტინაში ქართული მონასტრების დაბრუნებას ისახავდა მიზნად — გ.ჯ.].

249 იხ. 1187 წ. ნაწყვეტი.

250 იხ. ზემოთ, გვ. 86 შენ. 245.

251 ყაზან მონღოლი, სპარსეთის ილხანი (1295-1304). იხ. 1299 და 1300 წწ. ნაწყვეტები.

252 1305 წ. იელისში. იხ. 1305 წ. ნაწყვეტი.

253 ჟორდანია (ქრონიკები... ტ. II, ტფილისი, 1895, გვ. 357-368). იძლევა ცნობას ქართველთა მიერ იერუსალიმის მეორე დაპყრობის შესახებ 1527 წ.




ნამდვილი ქართველი ვრია. ეს ქართველები, რა თქმა უნდა, მაჰმადიანები გახლდათ, მაგრამ გულთი ჭეშმარიტ ქართველებად რჩებოდნენ²⁵⁴. ეგვიპტის მამლუქთა მმართველობის ხანაში ქართველთა გავლენამ პალესტინაში თავის ზენიტს მიაღწია.

პალესტინაში ქართველების ძლიერება სანდათარობით სუსტდება თურქთა მმართველობის დაწყებასთან ერთად. უკვე 1551 წ. ქართველები უძღურნი აღმოჩნდნენ, რომ წმ. იოანე ღვთისმეტყველის მონასტერი შეენარჩუნებინათ და იძულებული გახდნენ, იგი ფრანკოსკელებისთვის დაეთმოთ.

ქართველთა დაცემას მრავალი მიზეზი განაპირობებდა. მათი გავლენის შესუსტებას დიდად შეუწყო ხელი მათივე ძალაუფლების პოლიტიკურმა დაქვეითებამ და საქართველოს დაყოფამ სამ დამოუკიდებელ სამეფოდ და ოთხ სამთავროდ²⁵⁵. პოლიტიკურ დაქვეითებას მოჰყვა ქვეყნის გაღატაკებაც. ქართველებს საშუალება აღარ ჰქონდათ, თავიანთი მონასტრებისთვის შეწერილი გადასახადები ეხადათ თურქებისათვის. გარდა ამისა თურქი მოხელეები ქრთამს ითხოვდნენ, რომლის გაცემაში ქართველები ვერ ეჯიბრებოდნენ ბერძნებს, სომხებს აუ ლათინებს. კორუმპირებული მოხელეები დიდ თანხას იღებდნენ ქრთამად და ვინც მეტს სთავაზობდა, ის მეტ პატივში ჰყავდათ. სწორედ ამ დროს ქართველები ცდილობდნენ, აღმოსავლეთის ბორკილებისგან განათავისუფლებულიყვნენ და დახმარებასა და მხარდაჭერას ეძებდნენ რუსებთან, რომლებიც მათსაკენ მართლმადიდებლები იყვნენ. თურქებმა კარგად იცოდნენ ქართველითა ამ პოლიტიკის შესახებ და თავიანთი მრისხანება პალესტინაში ქართველ ბერთა დევნით გამოხა-

254 ამ დოკუმენტებს მე განვიხილავ ჩემს მეორე სტატიაში „The Georgian Monasteries in Palestine according to Georgian Sources“.

255 იხ. ქეზოთ, გვ. 100-102 „საღვთაბოროის (მაცხოვრის) მონასტრის ისტორია“.




ტეს. კიდევ ერთი ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ და განვიხილოთ, ვითარცა სხვა მიზეზი პალესტინაში ქართველთა ძალაუფლების შესუსტებისა. ეს გახლავთ ბერძნების, როგორც თურქეთის ქვეშევრდომების ახალი მდგომარეობა.

ეგვიპტელთა გამგებლობის ხანაში ბერძნებს პალესტინაში უცხოელებივით ექცეოდნენ, მათ არავითარი ოფიციალური სტატუსი არ ჰქონდა. პალესტინაში, იერუსალიმის საპატრიარქოს ტახტზე ადგილობრივი ქრისტიანების წარმომადგენელი არაბი იჯდა, მაგრამ თურქების მოსვლასთან ერთად იქ ოიკუმენისტი ბერძენი პატრიარქის ძალაუფლება გაძლიერდა, და იერუსალიმში პრივილეგიები და გავლენა მოიპოვეს აგრეთვე ფანარიოტებმა.

იერუსალიმში საპატრიარქოს ორგანიზაცია ბერძნებს ჩაუვარდა ხელში. ბუნებრივია, მათ არ უნდოდათ იქ სხვა მართლმადიდებლებს ჰქონოდა გავლენა, რომლებიც მეტოქეობას გაუწევდნენ. ამიტომ უკანონოდ შეეკადნენ, მონასტრები ძალით წაერთმიათ ქართველებისთვის. თავად საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და ვითარება, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ბერძნებს. ასე დაიწყო დიდი და ტრაგიკული ბრძოლა, რომელიც XIX ს-ის შუა ხანებამდე გაგრძელდა. ქართველთა მნიშვნელოვანი და მდიდარი რელიგიური დაწესებულებები თანდათანობით კინდებიან და თავიანთი მეტოქეებითა და მიწებითურთ ერთიმეორის მიყოლებით ექცევიან ბერძნების ხელთ. ამ ამოცანის გასაადვილებლად (და უფრო სავარაუდოა, თავის გასამართლებლად) ბერძნებმა ქართველ ბერებს საზიზლარი დანაშაულობანი დააბრალეს²⁵⁶.

256 იხ. გვ. 121, შენ. 374.



პალესტინის ცალკეული ქართული მონასტრების ისტორია

პილიგრიმული ლიტერატურის საფუძველზე ქართული მონასტრების მოკლე ისტორიული ნარკვევის დაწერა მხოლოდ ცაგარელმა სცადა²⁵⁷. მე არ ვაპირებ დაწვრილებით განვიხილო ეს მნიშვნელოვანი გამოკვლევა, ვიდრე მთელი ჩემი ნაშრომი არ დასრულდება. თავად კი ვეცდები, აქ ჩემს ხელთ არსებულ, სახელდობრ, ზემომოქანთი ნაწევრების საფუძველზე ქართული მონასტრების მოკლე ისტორია შემოგთავაზოთ.

1. წმინდა საულაპის ბაზილიკის ქართული სამლოცველოები

ქართველები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქრისტეს საფლავის ბაზილიკაში. 1347 წ. ცნობით წმინდა საულაპის გასაღები ქართველების ხელთ იყო და ვისაც ბაზილიკაში ღამის გათენება სურდა, მცირე ძღვენი უნდა მიეცა ქართველი მცველისთვის. ქართველები ამ გასაღებს 1480—1483 წლებამდე ფლობდნენ²⁵⁸.

გოლგოთა. მთელი საქრისტიანოს ეს უწმინდესი ტაძარი, ყოველ შემთხვევაში მისი ნაწილი მაინც, უკვე 1050 წ. ქართველების ხელში იყო²⁵⁹. ლაზინთა მმართველობის დროს, ბუნებრივია, ის ლათინებს ეკუთვნოდა. ჩვენი ვარაუდით ტაძარი ქართველებს სალაღინმა მისცა. 1308 წ. ცნობით ქართველებმა გოლგოთა ეგვიპტის სულთნისაგან მიიღეს.²⁶⁰ 1366 წ. გოლგოთა სომხებმა წაართვეს ქართველებს²⁶¹ და 1391 წლამდე ფლობდნენ მას. ამ წელს გოლგოთა ისევ ქართველების

257 Цагарели, გვ. 89—130; იხ. აგრეთვე. აქვე. გვ. 114—115.

258 იხ. 1347 და 1480—1483 წწ. ნაწყობები.

259 იხ. 1050 წ. ნაწყობი.

260 Popadopulo—Kerameus, IV, გვ. 441. იხ. აგრეთვე 1200—1308 და 1389—1405 წწ. ნაწყობები.

261 იხ. 1366 წ. ნაწყობი.



ხელთაა²⁶², მაგრამ უცნობია, რამდენ ხანს ინარჩუნებდნენ ამის შემდეგ ქართველები მას. 1475 წ. სომხები მოგვიტოვებენ, რომ ამ წელს გოლგოთა მათ ქართველებმა წაართვეს²⁶³. მიუნხენის გამოუქვეყნებელი ხელნაწერის მიხედვით ქართველები გოლგოთას მთაზე ჯერ კიდევ 1474 წ. იყვნენ²⁶⁴. ამ დროიდან XVII საუკუნის შუა ხანებამდე იგი მუდმივად ქართველებს ეკუთვნოდა. როგორც აღმოვაჩინე, გოლგოთაზე ქართველების მმართველობის ყველაზე გვიანდელი ცნობა გვხვდება 1646 წლით დათარიღებულ ნაშრომში²⁶⁵. 1050, 1583 და 1584 წლების

262 იხ. 1391 წ. ნაწყვეტი [დიაკანი ეგნატე — გ.ჯ.]. არქიმანდრიტ აგრეთენოსის მიხედვით 1370 წ. „გოლგოთაზე სომხები წირავენ“. [1370წ. ციტირებულ ნაწყვეტში კალმისძიერი შეცდომაა. გ.ფერაძე აქ „სომხების“ ნაცვლად „ქართველებს“ წერს, იხ. ზემოთ, გვ. 39 — გ.ჯ.]

263 1440 (პეტერ როტი, გვ. 45) და 1464 (ზებალდტ რიტერი უფროსი, გვ. 18) წწ. გოლგოთას წმინდა მთა ეკუთვნოდა სომხებს, თუკი ეს პილიგრიმები მათ ქართველებში არ ურევნ. იხ. 1479—1480, 1480—1481 და 1507 (პერცოგი ფრიდრიხ II) წწ. ნაწყვეტები [XIV—XV სს-ში გოლგოთაზე ქართველ-სომხთა მეტოქიების შესახებ დამატებითი ცნობები მოიძიება სომხურ წყაროებში. იხ. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ. ძველი სომხურიდან თარგმანა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალ.აბდალაძემ, თბ., 1978, გვ. 32. 57-60, 87, 88, 135, 136, 156-161, 177-178 — გ.ჯ.]

264 იხ. München Cod. German. No. 3001, saec. XVI, fol. 26. ტობლერის მიხედვით (Golgotha, გვ. 292) წმინდა მთა ეკუთვნოდა სომხებს 1479 წლამდე; სომხური წყაროების მიხედვით 1475 წლამდე (იხ. 1479—1480, 1480—1481 და 1507 წწ. ნაწყვეტები: პერცოგი ფრიდრიხ II); ნაპრის მიხედვით (დასახ. ნაშრ., გვ. 118) გოლგოთა ქართველებს ეკუთვნოდა 1476 წლიდან მოყოლებული.

265 გოლგოთას წმინდა მთა ეკუთვნოდა ქართველებს 1050, 1200—1308, 1389—1405, 1479, 1480—1483, 1484, 1493, 1494, 1496-1499, 1498 წლებში, აგრეთვე 1507, 1517, 1519 (ქართული წყაროების მიხედვით გოლგოთა აღადგინა კახეთის მეფემ ლევან II-მ (1520—1574), 1520 (Цагарели, გვ. 113), 1521, 1558-1561, 1562, 1573, 1583, 1584, 1586, 1593-1594, 1642 და 1646 წლებში. 1389—1405 წწ. იხ. ზემოთ (გვ. 40) და 1391 (აქვე, გვ. 39) ცნობები ეხება გოლგოთაზე აღმასის თავის ქაღის აღმოჩენას. სინამდვილეში ეს თავის ქაღა არის გოლგოთას შთის ძირში (იხ.



ცნობათა მიხედვით გოლგოთაზე ქართველი ეპისკოპოსები იყვნენ.

ლეთისმწმომლის სამლოცველო, რომელსაც აგრეთვე ქრისტეს დაღვრი (Carceris Christi) ეწოდება, 1602 და 1603 წწ. ცნობებით ქართველებს ეკუთვნოდა²⁶⁶.

მარიამ მაგდალინელის სამლოცველო. — ეს სამლოცველო აშკარაა, ააგეს იქ, სადაც ქრისტე გამოეცხადა მარიამ მაგდალინელს მებაღის ტანსაცმლით მოსილი. ტობლერის მიხედვით ეს სამლოცველო ქართველებს ეკუთვნოდა XVI საუკუნეში²⁶⁷, მაგრამ ისინი აქ იყვნენ უკვე 1440 და ხელახლა 1573 წლებში²⁶⁸.

ჯვრის აღმჩინის სამლოცველო. — ტობლერის მიხედვით ეს სამლოცველო ქართველებს ეკუთვნოდა XVI ს-ის დამდეგს²⁶⁹. სინამდვილეში კი მას ისინი ფლობდნენ 1370 და 1649—1653 წლებში. უეჭველია, ეს სამლოცველო ქართველებს 1370 წლამდეც


1496-1499 წწ. ნაწყებტი). 1479 წ. ქართველები ბერძნებთან და ფრანცისკელებთან ერთად სასიაროდ ფლობდნენ გოლგოთას მთას (ზებაღლტ როტერი უმცროსი). 1484 წ. კი — მხოლოდ ფრანცისკელებთან ერთად (გრაფი ფილიპ ლუდვიგი). ჩანს, 1484 წ. მთელი გოლგოთა ქართველებს ეკუთვნოდა. სხვა ხალხებისა და რელიგიებისგან თავდასაცავად ქართველებს აქ ყოველთვის ჰქავდათ ჩაკეტილი ბერი (იხ. 1480—83, 1483 და 1602-3 წწ. ნაწყებტები). 1300 წ. როცა იერუსალიმს ქართველებმა დაიკავეს, გოლგოთა, რასაკირველია, მათ ხელთ რჩებოდა.

266 იხ. 1602-3 (გვ.61), 1649—1653 (გვ.65) წწ. ნაწყებტები. არსენ სუხანოვის მიხედვით ეს სამლოცველო უკვე ბერძნებს ეკუთვნოდა.

267 Tobler. Golgotha, გვ. 363.

268 იხ. 1440 და 1573 წწ. ნაწყებტები [ხელახლა მარიამ მაგდალინელის სამლოცველო, ტუხერის ცნობით, ქართველების ხელსა ჩანს 1479—80 წ. 1573 წ. ცნობაში, რომელიც ეკუთვნის ლეონბარდ როსენოლდენს და მოტანილია ზეზოსა, გვ.58-59. ამ სამლოცველოზე საუბარი არაა, მაგრამ იხ. ქუეპისი, გვ.97, შენ.287 — გ-ს].

269 Tobler. Golgotha, გვ. 317



ეკუთვნოდა²⁷⁰. ისინი ამ სამლოცველოს მგლობელებად იხსენიებ-
ბიან 1370²⁷¹, 1461²⁷², 1464²⁷³, 1479—1480²⁷⁴, 1480—1483²⁷⁵,
1494²⁷⁶, 1498²⁷⁷, 1496-1499²⁷⁸, 1507²⁷⁹, 1507²⁸⁰ და 1649
და 1653²⁸¹ წლებში.

წმ. იოანეს სამლოცველო. — ეს სამლოცველო უკავშირდება ჯვრის
აღმოჩენის სამლოცველოს და მისგან ათი საფეხურიით დაბლა
მდებარეობს²⁸². პილიგრიმები ყოველთვის განასხვავებდნენ მას ჯვრის

270 იხ. ზემოთ, გვ. 70 უნ. 194.

271 "ოცდაცხრა საფეხური ეშვება დაბლა და ძირში დგას ქვის სვეტი, საიდანაც
მუდმივად ცვარი მოჟონავს წმინდა საკურთხეველი აქ იბერიელებს ეკუთვნის". იხ.
1370 წ. ნაწყვეტი. შდრ. საფეხურების რაოდენობა სხვადასხვა პილიგრიმის ცნობების
მიხედვით, რომლებიც ტობლერს მოჰყავს. — Golgotha, გვ. 308.

272 იხ. 1461 წ. ნაწყვეტი.

273 ზებალდტ უფროსი. შესაძლოა, იხსენიებს სამ სამლოცველოს. ესენია: ჯვრის
აღმოჩენის, წმ. ელენეს სამლოცველო და ადგილი, სადაც ჯვარი (?), შუბი, სამსჭვალი
და გვირგვინი აღმოაჩინეს. სამსვე სამლოცველო ეკუთვნოდა „სპარსეთის ქმრებს“
(ქართველებს); (შესაძლოა, მესამე სამლოცველოში იგულისხმება ლონგინოსის
სამლოცველო). წმინდა ტრადიციის მიხედვით აქ იპოვეს წარწერა ჯვარზე და თვით
ჯვარიც აქ მრავალი წელი ინახებოდა) იხ. Tobler, Golgotha, გვ. 337—9.

274 იხ. 1479—1480 წწ. ნაწყვეტი.

275 იხ. 1480—3 წწ. ნაწყვეტი: 1479—1480 და 1480—3 წლების ცნობებით
სამლოცველოში ყოველთვის ერთი სამი კანდელი.

276 იხ. 1494 წ. ნაწყვეტი.

277 იხ. 1498 წ. ნაწყვეტი.


278 იხ. 1496—9 წ. ნაწყვეტი.

279 პერკოგი ფრიდრიხ II.

280 ბაუმგარტენი.

281 1649—1653 წწ. ნახევარი უკვე ეკუთვნოდა ბერძნებს, მეორე ნახევარი
კი — ლათინებს.

282 იხ. 1370 წ. ნაწყვეტი.



აღმოსენის სამლოცველოსგან. იგი ქართველებს ეკუთვნოდა 1370, 1464 და 1494 წლებში²⁸³.


სამლთველო გოლგოთას მთის ძირში. — ამ სამლოცველოს სხვადასხვა პილიგრიმი სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებს. ეს სახელწოდებებია: სამლოცველო გოლგოთას მთის ძირში (1370, 1391, 1389—1405 წ.); სამლოცველო კალვარის (გოლგოთას) მთის ძირში (1461 წ.), სამლოცველო, სადაც დაიკრძალა ადამი (1517 წ.)²⁸⁴, სამლოცველო, სადაც დაკრძალულნი არიან ღვთისთა მეფეები (1480) — 1483 წ.); წმ. იოანე მახარებლის და ღვთისთა მეფეების საფლავების სამლოცველო (1615 წ.); ღვთისმშობლის სამლოცველო გოლგოთას მთის ძირში (1479 წ.); ღვთისმშობლისა და წმ. იოანე მახარებლის სამლოცველო (1479—1480, 1494, 1496—9, 1507 წწ. ფრიდრიხ II, 1542 წ.); წმ. იოანე ნათლისმცემლის სამლოცველო (1421 წ. XVI ს-ის დასაწყისი). თითოეულ ზემოხსენებულ წელს²⁸⁵ გვაქვს ცნობები, რომ ეს სამლოცველო უცვლელად ქართველთა საკუთრება იყო²⁸⁶.

283 ის. 1370, 1464, 1494 წწ. ნაწევრები; 1494 წ. ეს სამლოცველო ეკუთვნოდა გურულებს (გურია მხარეა დასავლეთ საქართველოში).

284 იმ დროს იქ იყო არა მარტო ადამის, არამედ სამი ყრმისა და მელქისედეკის საფლავებიც.

285 1464 წ. ფენიშეულა ბერებს აქონდათ „ღვთისმშობლის სამლოცველო“. ის, აღმათ, ნიშნავს „ჩვენს სამლოცველოს“. იხ. ქვემოთ. გვ. 96 შენ. 287.

286 აქ წლები შემდეგი თანმიმდევრობითაა: 1370, 1391, 1389—1405, 1461, 1479, 1479—1480, 1480—3, 1494, 1496—9, 1507 (ორი ცნობა) 1517, 1542, 1615 წწ. XVII საუკუნის დასაწყისიდან სამლოცველოს უბრალოდ იხსენიებენ, როგორც მართლმადიდებელთა საკუთრებას. ტობლერის მიხედვით (Golgotha, გვ. 298) ეს სამლოცველო ქართველებს ეკუთვნოდა XIV-დან — XVI საუკუნემდე. მაგრამ ამ შენიშვნებიდან ჩანს, რომ ხსენებული სამლოცველო XVII საუკუნის პირველ მეოთხედშიც ქართველებისა იყო.



წმინდა საულაჯის ეკლესიის ცალანში. — წმინდა საულაჯის ბაზილიკის უამრავი სამლოცველოს გასწვრივ იყო აგრეთვე ტაღანები. მათ იმ სხვადასხვა ეროვნების ბერების საცხოვრებლად და საძინებლად იყენებდნენ, რომელთაც იქ თავიანთი სამლოცველოები ჰქონდათ. ვინაიდან ქართველები ბაზილიკის ამდენი სამლოცველოს პატიონები იყვნენ, საუკუნეზე მეტი ხანი ეპყრაო ბაზილიკის გასაღები და დიდი ხნის მანძილზე საამაყო ადგილი ეპყრაო იერუსალიმში, ცხადია, წილი ედოთ ამ ტაღანებში. მაგრამ რადგანაც ტაღანებში (მათ მხოლოდ ბერების სადგომებად იყენებდნენ) პილიგრიმთათვის, ანდა ღვთისმსახურებისათვის საინტერესო არაფერი მოიძებებოდა, ლიტერატურაში მათ ნაკლებად იხსენიებენ. მიუხედავად ამისა, მაინც მოვიძიე სამი ცნობა. ერთი თარიღდება XV ს-ის მიწურულით და ეკუთვნის ფრანჩესკო სურიანოს, მეორე დაწერილია 1507 წ. (ფრიდრიხ II-ის მიერ), ხოლო მესამე ისე იხსენიებს ქართველთა საცხოვრებლებს ბაზილიკაში, როგორც წარსულ ამბავს. ამ (1700) წელს ქართველები აღარ ცხოვრობდნენ ტაღანებში²⁸⁷.

287 იხ. ზემოთ ნაწყვეტები ფრანჩესკო სურიანოდან (XV ს.), გვ. 51; ფრიდრიხ II (1507 წ.), გვ. 53; ამონდრელი (1700 წ.), გვ. 66. ზოგიერთი პედიგორამი იმეგარად იხსენიებს ქართველთა სამლოცველოებს ბაზილიკაში, რომ აღრევა გარდუვალა. (1) იაკობ ვერონელი 1335 წ. წერს: „წმინდა საულაჯთან სეპიური სამლოცველოს მასლობლად არის ქართველთა სამლოცველო“ (est alia capella Georgianorum); აქ ნახსენება ქართველთა ორი სამლოცველო, მაგრამ არც ერთი არ არის დასახელებული; (2) 1464 წ. ზებაღდტ რიტერის გაცხადება (აქვე, გვ. 43) იმის თაობაზე თითქოს „ღვთისმშობლის სამლოცველო“ ეკუთვნოდა ლათინებს, მაშინ როცა იგი სინამდვილეში გულისხმობს სამლოცველოს გოლგოთას მთის ძირში, აგრეთვე გაუგებრობას ექყარება. (3) ფრანჩესკო სურიანო (XV ს.) იხსენიებს ქართველთა „წმინდა საულაჯის სამლოცველოს“ („chasse del sancto Sepulchro“). ნიშნავს ის წმინდა სამარხის (ე.წ. წმ. ეკუცელია) სამლოცველოს თუ წმინდა საულაჯის რომელიღაც სხვა სამლოცველოს? (4) 1507 წ. ბაუზგარტენი იხსენიებს ქართველთა ხელით არსებულ „რამდენიმე სხვა ადგილს“. რას გულისხმობს იგი — ადგილებს წმინდა საულაჯთან, თუ სადმე სხვაგან — იერუსალიმში? (მე მაინც ვეარაუდობ, რომ ეს ეხება ქართველთა სამლოცველოებს



2. ჯვრის მონასტერი

ქართული ტრადიციის მიხედვით პირველმა [ქრისტეანმა] ქართველმა მეფემ მირიანმა იერუსალიმში პილაგრიმოზის დროს იმპერატორ კონსტანტინესგან ქალაქის მახლობლად საამშენებლო ადგილი მიაღო და იქ ჯვრის მონასტერი ააგო. ჯვრის მონასტერი აშენდა IV ს-ის პირველ ნახევარში, ხოლო შემდგომში XI ს-ში (1038 წ.) აღადგინა ქართველმა ბერმა პროხორემ²⁸⁸.

ბერძნული ტრადიციით აქ დედოფალმა ელენემ ააგო მონასტერი²⁸⁹. ეს რაიონი, რომელიც კალონის სახელწოდებითაა ცნობილი²⁹⁰, სწორედ

წმინდა საულაემი). (5). 1573 წ. ლეონარდ როსფოლენი ერთმანეთში ურეეს სამსრულოად სხვადასხვა სამლოცველოს წმინდა საულაის ეკლესიაში. იგი ამბობს, რომ ქართველებს პქონდათ „გოლგოთას მთის ეკლესია, რომელიც იფა წყნი უღლას იესო ქრისტეს საულაის მახლობლად, იმ ადგილზე. სადაც იგი პირველად განიქცადა მარიამ მაგდალინელს მეძაღის ტანსაცმლით მოსალი მკვდრითი აღდგომის შესახებ“. აქ სინამდვილეში იგულისხმება: (1) გოლგოთა (კაფარას მთა) (2) საულაის სამლოცველო და (3) მარიამ მაგდალინელის სახლოცველო.

288 იხ. *Цицупе.ი.* გვ. 89—111: ბარსი 1726 წ. ასხელებს იბერიის მეფეს ტატანს, როგორც ამ მონასტრის დასარსებულს. სახელი ტატანი ქართული (მეგრული) დადიანის არასწორი გაგების შედეგად გაჩნდა. მთავარმა დადიანს XVII ს-ში აღადგინა ჯვრის მონასტერი და მონასტრის შესასვლელს ვრცელი წარწერა გაუკეთა აღდგომის თაობაზე. წარწერა (კაფარულს გამოატყუენა (გვ. 241-2): *Tobler. Topographic... II*, გვ. 726 ff; *R. Vincent, F.M. Abel*, გვ. 942.

289 იხ. 1862 წ. ნაწყვეტი.

290 იხ. 1651 წ. ნაწყვეტი. შტრ.: *Мученичество шестидесяти новых святых мучеников [пострадавших в Святом граде Христа Бога под владичеством арабов...]. ППС, вып XXXIV. 1891 გვ. 34: ქართველთა ჯვრის მონასტრის მახლობლად არის ადგილი, რომელსაც ეწოდება *Carnarium Leonis*. აქ განსვენებს მრავალი ამ მარტვილის წმინდა. საინტერესოა, რომ წმ. იოანე მახარებლის (ანუ ანდ სალუატორის [წმ. მაცხოვრის]) მონასტრის ეწოდება აგრეთვე „იერუსალიმის სვეტის მონასტერი“ („*Storia della Colonia in Jerusalem*“). იხ. *Ferdinando Massimiliano. Storia di Gerusalemme t. II Rome, 1857*, გვ. 412 [შტრ. ზემოთ გვ. 36, შენ. 136] უკანასკნელი ცნობა დაიწერა 1559 წ.*



ის ადგილია, სადაც ლიონმა შესკრდა და სამი ხე დარგო ცოდვების მოსანანიებლად. სამის ნაკვლად იქ გაიხარდა ერთი მშვენიერი ხე, სწორედ ის, რომელმაც ჯერისთვის გამოიყენეს. ისტორიული წყაროები ამ მონასტერს პირველად XII საუკუნეში იხსენიებენ. 1102-3 წწ. ზეგულფმა აღმოაჩინა, რომ იგი დაანგრიეს ურქმუნობმა²⁹¹. 1106 წელს, ჩანს, მონასტერი ხელმეორედ ააგეს²⁹² და ამ დროიდან აქ ქართველი ბერები ცხოვრობდნენ²⁹³. 1178 წ. ჯვაროსნებმა ჯერის მონასტერს ზვრები ჩამოართვეს²⁹⁴. 1305 წ. ამ მონასტრის თაობაზე ეგვიპტის სულთანს ქართველებმა ელჩი გაუგზავნეს²⁹⁵. ჯერის

291 The Pilgrimage of Saewulf. English translation by the Rev. Canon Brownlow. PPTS. IV. London, 1892. გვ. 21.

292 იხ. ივლინ დანელას ცნობა. ზემოთ, გვ. 28

293 ეს მონასტერი რომ ქართველებს ეკუთვნოდა. კეპბულოთი 1106-7, 1170, 1185, 1225-1237 წწ. ცნობებით. იხ. Путешествия святого Саввы, архиепископа сербского. Под ред. архим. Леонида. - ППС, вып. V. 1884. გვ. 31. 36; 1231, 1253-4, 1335, 1370 წწ. XIV ს-ის დამლევა, 1420, 1421, 1451, 1464, 1465-6, 1480-83, 1493, 1493-9, 1507 (პერციოვი ურიდრის II), 1517, 1521, 1532, 1586 წწ. XVI ს-ის დამლევა, 1602-3, 1615 წწ., XVII ს-ის დამლევა, 1608-1634, 1634, 1651 (ორი საბუთი), 1688, 1726, 1744, 1841, 1862, 1876 წწ., თეოდორიკის (Teodorich) 1172 წ. ცნობა, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ ჯერის მონასტერი ეკუთვნოდა სარაილებს (თანამსჯელი Aub. Stewart-ის მიერ, - PPTS, t. V, London, 1891) აღბათი გაუგებრობას ეყარება. იგივე შეიძლება ითქვას შესდეგი წლების ცნობებზეც: 1384 წ. („ჯერის მონასტერში ცხოვრობენ ხომხები“), 1496-1499, 1630, 1749, 1771 წწ. („ჯერის მონასტერში ცხოვრობენ ბერძენი ბერები“), 1521 წ. („წმინდა ჯერის მონასტერში ცხოვრობენ სხვადასხვა ქრისტიანები, რომელთაც ეწოდებათ *Gophy*“); 1484 წ. [„წმინდა ჯერის ეკლესიაში“] ქართველები აღიზნებთან, რიგორც *Kerchens*. აქ არ შეიძლება ვიგულისხმოთ ბერძენები, რადგანაც ისევე დოკუმენტში მათ უწოდებენ *Krychen*-ებს. — იხ. 1484 წ. ნაწყვეტი.

294 იხ. 1178 წ. ნაწყვეტი.

295 იხ. 1305 წ. ნაწყვეტი.



მონასტრის სხვა სახელწოდებებია: წმ. ნიკოლოზის მონასტერი (1465-6 წ.); წმინდა მთავარანგელოზის მონასტერი (1583 წ.) და წმინდა ჯვრის აღმოსენის მონასტერი (1634 წ.). იერუსალიმში ჯვრის მონასტერი უღობდა წმ. ნიკოლოზის მონასტერს, როგორც მეტოქს²⁹⁶. 1507 წ. პლიტარშიმა მონასტერში ნახა ხარები, ერთადერთი ხარები წმინდა მიწაზე²⁹⁷. სხვა რელიკვიათა შორის (ამ ადგილის გარდა, სადაც ჯვრის ხე ამოვიდა) იყო წმ. ბარბარეს მკლავი²⁹⁸.

ჯვრის მონასტერი ქართული კულტურის (ყსენი გახლდათ პალესტინაში და მისი ძვირფასი ბიბლიოთეკის ნაშთები (დაახლოებით 164 ხელნაწერი) ახლაც ინახება [იერუსალიმის] ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში²⁹⁹.

ქართული ტრადიციით ჯვრის მონასტერში სხვებთან ერთად ცხოვრობდა საქართველოს (და, შესაძლოა, მიწელი მსოფლიოს) უდიდესი პოეტა შოთა რუსთაველი; ცხოვრობდა როგორც ბერი, გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა. მისი დიდი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავს წლეულს იღიქსასწაულებენ საქართველოში.


1841 წ. გეიქეს ცნობა, რომ უკანასკნელი ქართველი ამ მონასტერში

296 იხ. 1584 წ. ცნობა [ლორეანელში ასეა: „In Jerusalem, the monastery of St. Nicholas possessed it as Metochion“ ე.ი. იერუსალიმში წმ. ნიკოლოზის მონასტერში უღობდა მის როგორც მეტოქს“. რაც ამკარად დაუფუს-კადაშია. იყო პირიქით. შდრ. აქვე გვ. 110-111 -გ.ჯ-].

297 პეტროვი ურდოს II. აქვე გვ. 54; რაღაც განსაკუთრებული მიზეზის გამო ის მონასტრის ქართველ ბერებს ახასიათებს როგორც წმ. პავლეს რწმუნის მისდევრებს. ხარების ისტორიისთვის წმინდა მიწაზე დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე 1491-2 წ. კაბატსკისას (ZDMG, XXI, 1898) და 1561 წ. იაკობ ვორმსერის (გვ. 412) ცნობებს.

298 იხ. 1464, 1465-6, 1480—3 და 1484 წწ. ნაწყვეტები.

299 იხ. უემოთ. გვ. 22. შენ. 1



იყო არქიმანდრიტი და ილუმენი გერასიმე³⁰⁰. ამის შემდეგ მონასტერში ბერძენი ბერები ცხოვრობენ.

3. წმ. იოანე მახარებლის (სალვატორის) მონასტერი.

წმ. იოანე მახარებლის მონასტერი უძველესი ქართული მონასტერია იერუსალიმში. ტობლერის აზრით ეს იბერთა მონასტერია, რომელიც V საუკუნეში ააშენა კეტირე იბერმა³⁰¹. VII საუკუნეში სომეხი პილიგრიმი მას იხსენიებს როგორც ქართველთა საკუთრებას. მონასტერი აშენდა წმ. იოანე მახარებლის დაბადების ადგილზე. ცნობები მის შესახებ მწირია. 1484 წ. წმ. იოანე მახარებლის სამლოცველო (ადგილი, სადაც დაიბადა იოანე მახარებელი) აღბათ შეცდომით, ბერძენთა ხელში იხსენიება. ფრანჩესკო სურიანო მის მფლობელებად ქართველებს ასახელებს³⁰². იგი ქართველების ხელშია 1489 წლიდან 1571 წლამდე.

მეტი სინაოლე შეაქვს ამ საკითხში 1551 წ. ცნობებს. ამ წელს მაჰმადიანებმა ფრანცისკელები სიონის მთაზე აგებული თავიანთი ტაძრიდან გააძევეს. ფრანცისკელებმა კომპენსაცია მოითხოვეს და თურქეთის სულთანმა სტამბოლში ფრანგი ელჩის დახმარებით მათ შესთავაზა ნებისმიერი მონასტერი შეერჩიათ, რომელიც კი იერუსალიმში მოეწონებოდათ. ფრანცისკელებმა წმ. იოანეს ქართული

300 ცაგარლოს მიხედვით (დასახ. ნაშრ., გვ. 101) მისი სახელი არის გრეგოლი და ის აღბათ იყო წინასწვარი (რომელიც, საერაოა, გარდაიცვალა იერუსალიმში, 1864 წ.). ნოროვის მიხედვით (1862 წ.) „ჯერის მონასტერი ყოველთვის გუოფორდა წმ. ბასილის. ორდენის ქარაიელებზე“. აქედან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 1862 წ., იმ დროს, როცა დაიბეჭდა ნოროვის აღწერა, ქართველები ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ პალესტინაში, ჯერის მონასტერში. იხ. აგრეთვე ქვემოთ, გვ. 110-111 „წმ. ნიკოლოზის მონასტერი იერუსალიმში“.

301 *Tobler. Topographic. I.* გვ. 335, ზენ 3; *Уагареи*, დასახ. ნაშრ., გვ. 116-7.

302 იხ. ზეზოთ. გვ. 127. §5; აგრეთვე გვ. 51 — XV საუკუნის ქვეშ; გვ. 57-58 — 1489—1571 წწ. ქვეშ.



მონასტერი შეარჩიეს და თავიანთი არსიყვანი ასე ახსნეს:

1. მონასტერი ახლო იდგა წმინდა საყვლავთან.

2. ქართველებს უკვე კჳნდათ 7 სხვა მონასტერი იერუსალიმში და აღვიღად შეძლებდნენ ამ მონასტერს შეღვიოდნენ, თანაც იქ მხოლოდ სამი ბერი ცხოვრობდა. ამას გარდა, ქართველები მწვალებლები იყვნენ. ამიტომ ისინი (ფრანკისკელები) მათი ვრატ-ერთი მონასტრის დაუფლებით რაიმე ცოდვას არ სჩადიოდნენ.

ბონიფაციუს რაგუსელს, რომელიც მაშინ წმინდა მიწის მეურვე იყო, სურდა, მონასტერი ქართველებისგან ეკიდა³⁰³, მაგრამ ქართველებმა უარი უთხრეს. საბოლოოდ თურქეთის ფაშამ მონასტერი ფრანკისკელებს მიჰკიდა. ქართველები მონასტრიდან გამოაძევეს და მას ფრანკისკელები დაეუფლნენ. დავა 1551 წლიდან 1558 წლამდე გრძელდებოდა. 1559 წლისათვის ფრანკისკელები წმ. იოანე მახარებლის იმ მონასტერში ცხოვრობდნენ, რომელსაც საღვატორის (წმ. მაცხოვარის) მონასტერი დაარქვეს. 1560 წ. ფრანკისკელებმა პაპს სთხოვეს, მათთვის პრივილეგიები ებოძებინა. ამის შესაბამისად 1561 წ. საღვატორის სიონის მოედან გადაეცა ინდულგენციები. იმავე წელს მრავალი ძველი ნივთი, რომლებიც ბერებს ეკუთვნოდა, მონასტრის კარიბჭესთან გაიყიდა³⁰⁴.

1593 წ. ქართველებმა სცადეს დაებრუნებინათ მონასტერი, მაგრამ, სამწუხაროდ, წარუმატებლად. ამასვე შეეცადნენ 1594 და 1595 წლებში. 1723 წ. ფრანკისკელებმა აღადგინეს ეკლესია; რამდენიმე ხნის შემდეგ, 1729 წ. ის გააფართოვეს და, მოგვიანებით, 1884 წ., როცა ეკლესია თითქმის სანახევროდ იყო დანგრეული, მილიანად ხელახლა ააშენეს.

303 რაწიოდ უნდა გავყოდათ ბერებს მონასტერი? ის ეკუთვნოდა არა მათ, არამედ ქართველ ხალხსა და ქართულ ეკლესიას.

304 აღმათ ქართველი ბერების კუთვნილი წიგნები და სხვადასხვა ნივთები რომლებიც მათ უნდა დეტოვებინათ მონასტრიდან გატყუებისას.



შეიძლება დავძინოთ, რომ ფრანკისკელებმა, რომლებსაც კულტურა მაინცდამაინც არ გააჩნდათ, რეკონსტრუქციის დროს ქართველების მიერ დატოვებული ყველა წარწერა და აღასი გაანადგურეს³⁰⁵.

ფრანკისკელებს, თუმცა მათ ეს ძველი ქრისტიანული მონასტერი თურქებისაგან ესოდენ ხელსაყრელ ფასად შეიძინეს, სინდისი ქნესწინდათ. ეს იქიდან ნანს, რომ დღემდე ცდილობენ დამადონ თავიანთი სამარცხვინო საქციელით. 1615 წელსაც კი მათ ანონსი პილიგრიმს აცნობეს, რომ მონასტერი სომხებისგან იყიდეს³⁰⁶, მაგრამ დღეს მონასტრის ყოფილ მუშაქრთონებად ასახელებენ ქართველებს (რომლებიც ფაქტობრივად, მორალურად, ახლაც მისი მფლობელები არიან)³⁰⁷.

305 ეს არის ამ მონასტრის „გაყოფის“ ლათინური წყაროების მიხედვით წარმოადგენილი აღწერა იხ. *Bonifacio Ragusina. Liber de perenni cultu terrae sanctae. Venetia, 1875, გვ. XVI-XVIII. Elzearius Horn. Ordinis minorum Provinciae Thuringiae (1725-1744); Iconographia locorum et monumentorum veterum terrae sanctae. Rome, 1902, გვ. 187, 188, 189.* ამ ცნობების მიხედვით, რომლებიც სინამდვილეში ოფიციალურაა (ბონიფაციუს რაგუსელი ამ დროს ფრანკისკელოა იუძის მეურვე იყო წმინდა მიწაზე), აშკარაა, ქართველებს (უნდა ათქვას მათ სასახელოდ) ამ მონასტერში არაფერი აუღიათ. ამიტომ, ტობლერის ცნობა (*Topographie, I, გვ. 335, შენ. 3*), რომ „ქართველებს მონასტერი მასიფებს ფრანკისკელებს“, არააწორია.

306 *Le Pèlerin Vritable, გვ. 295*; - უფსუიველა ბერები საღვატორის მონასტერში ცხოვრობდნენ 55 წელი“ (მას შემდეგაც, რაც ისინი ურწუხრობებს განაბაქვეს სონის შთის წმინდა წიარების მონასტრიდან). მე მითხრეს, რომ ეს მონასტერი მათ სომხებისგან იყიდეს.

307 მაგალითად, *Album missionis Terrae Sanctae. I. Judaea et Galilaea. Venetia, 1893, გვ. 23.* „როცა ოციანთი ადგილსამყოფელიდან (წმ. წიარების ეკლესია სონის მთაზე) გამოაბევეს 1551 წ., მათი (ფრანკისკელებმა) იყიდეს მიწა და შენობა ბერძენ-გრიგორიანელთაგან. მიუხედავად იმისა, რომ მონასტრის შეკეთება-აღდგენა ასე ხშირი იყო, ოგი დღემდე (განსაკუთრებით ეკლესიის სამრეკლო) ინარჩუნებს ქართული არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. გრაფი მეულხაორ დე ვოგი (იხ. *Uacupezu, დასახ. ნაშრ., გვ. 117*) აგრეუვე მაინცედა, რომ საღვატორის ეკლესიის შენობა არ იყო ლათინური სურთომობღერების ნიშუმი.




4. წმ. იაკობის მონასტერი

ქართული წყაროების მიხედვით წმ. იაკობს მონასტერი დააარსა ქართველთა მეფემ, გიორგი I-მა XI საუკუნეში³⁰⁸. ნემი ახრია, ეს არის იბერთა მონასტერი, რომელიც პეტრე ეპისკოპოსმა ქართველებსთვის ააგო დავითის კოშკის მახლობლად³⁰⁹. VI ს-ში მონასტერი აღადგინა იმპერატორმა იუსტინიანემ და, შესაძლოა, განაახლა ქართველთა მეფემ, გიორგიმ XI ს-ში. როგორც ჩანს, ჯვაროსანთა დაშკრობისას ესპანელმა კათოლიკეებმა პრეტენზია განაცხადეს მონასტერზე (იბერთა მონასტერი აგრეთვე ნომნავს ესპანელთა მონასტერს)³¹⁰ და მეურვეს შეეძლო [იქ] უპრინციპო ქალკედონიკოსობები შეეშვა, რომლებიც ამ დრომდე ქართველებთან თანხმობით ცხოვრობდნენ. როგორც უნდა იყოს, ჯვაროსანთა შემდეგ აღარ

308 *Царств.* დასახ. ნაშრ., გვ. 117-120. შეიხლება იგულისხმება გიორგი I (1014-1027), ან გიორგი II (1072-1089). იხ. აგრეთვე *P.P. Hughes, F.M. Abel, Jerusalem. Recherches de topographie, d'Archéologie et d'Histoire* (Paris, 1914, XX, გვ. 419; იქვე, 1922, IV, გვ. 423-668; იქვე, 1926, გვ. 689-1035). გვ. 522, ჩამოიანი (სომეხი ისტორიკოსი) მასი საუკუნეების წყაროს ათავსებს 1072-1088 წლებში.

309 იგივე შეხედულებისა პროფესორი *Serp*-ი — *Neue hochwichtige Entdeckungen auf der zweiten Palestinafahrt*, München, 1894, გვ. 114 [წმ. იაკობის ქართული მონასტრის ადგილმდებარეობის საკითხის ახლახან შეგზო დაჯერება (წმ. იაკობის ქართული მონასტერი იერუსალიმში. — *ახსენაკაცასიას ისტორიის პრობლემები*. თბ., 1993, გვ. 266-288.). მკვლევარი მიმჩნევს ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა იაკობ ხაარისის სახელზე აგებულ მონასტერთან დაფიქსირებული კოშკის მახლობლად, ანდა იაკობ ზებედეს მონასტერთან. — სიონის მთაზე, როგორც ფიქრობდნენ ა.ცაგარელი, ნაბარი და სხვ., არამედ წმ. იაკობ ალექსის მონასტერთან, რომელიც მდებარეობდა აღდგომის ეკლესიასთან. ის უნდა აეგო გიორგი II-ს და სომეხების ხელში გადავიდა XV ს-ის ბოლოს და XVI ს-ის დასაწყისში — გ.ჯ.]

310 მკვლევარები ტობლერის ჩეთაურობით ქართველებს აძლევენ უპრინციპობას. *Tabler, Topographie*, I, გვ. 360, შენ. 6.



გაცხვდება ცნობები იმის თაობაზე, რომ წმ. იაკობის მონასტერიში ქართველები ცხოვრობდნენ. XII ს-ში წმ. იაკობის მონასტერი იაკობიტებს ეკუთვნოდა³¹¹.

გარდა ამისა, იერუსალიმის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც დაუწერელი ტრადიციებით იკვებება, მაგრამ სხვადასხვა პილიგრიმის ცნობებს ემყარება, იმაზე მეტყველებს, რომ წმ. იაკობის მონასტერი ქართველებმა ააგეს ქართველებისთვის.³¹² იერუსალიმში ყოფნისას ამის შესახებ მეუბნებოდნენ ყველგან და აშკარაა, ეს მტკიცება ისტორიულ ფაქტებს ემყარება. სომხური თვალსაზრისის შესაფასებლად

311 იხ. ზემოთ, გვ. 70, შენ. 194.

312 H. Vincent-ისა და F.M. Abel-ის მიხედვით მხოლოდ ქართველებს შეეძლოთ შენარჩუნებინათ ეს მონასტერი ერთი საუკუნის მანძილზე. ე.ი. XII საუკუნის ბოლომდე. თუ როგორ დაუთმეს ქართველებმა ეს მონასტერი სომხებს — უცნობია (იქვე, გვ. 522); XV ს-ის ბოლოს „წმ. იაკობის“ ეკლესიის დაარსება მიეწერება წმ. ელენეს, მაშინ როცა სხვა მრავალრიცხოვანი შესობა თავის არსებობას უნდა უმაღლოდეს ესპანელებს, რომლებმაც წინა საუკუნეში ააგეს იქ სასტუმრო ესპანელი პილიგრიმებისათვის. ამ ცნობის დაწერისას, ყველაფერი ეს ეკუთვნის სომხებს“ იხ. Die Wallfahrt nach Jerusalem des Herzogs Alexander, Pfalzgraf vom Rhine. — Das Heilige Land, LVII, Köln, 1913, გვ. 110. „ესპანელებში“, რასაკვირველია, ის ქართველებს გულისხმობს. მან აღბათ მოიხილა სახელწოდება „ობერიელები“ და თარგმნა როგორც ესპანელები. იხ. La Pèlerin Véritable. აქვე, გვ. 63. 1615 წ. და სერაპიონ ბერი, გვ. 67. 1749 წ. სერაპიონის თანახმად, სომხებმა ეს მონასტერი თურქებისაგან იყიდეს. (შდრ. სალვატორის მონასტრის შემოსხვევა, გვ. 101) იხ. კარლ რიტერის განცხადება ზემოთ, გვ. 78-79. სომხებს ქართველებმა მონასტერი სავარაუდოა, გადასცეს XIII საუკუნემდე. მაგრამ დათმეს მხოლოდ იმ პირობით, რომ სომხები მათ (ქართველებს) გადაუხდოდნენ 80 დუკატს წლიურად, თუმცა არცთუ დიდი ხნით. — იხ. Williams, გვ. 455. იოსელიანის მიხედვით ამ საკითხის შესახებ იერუსალიმის საპატრიარქოში ჯერ კიდევ უნდა იყოს დოკუმენტები: Tobler, Topographie, I, გვ. 361, შენ. 1. მითითება ამ დოკუმენტებზე, რომლებიც სავარაუდოა, რომ საპატრიარქოს არქივშია, იხ. აგრეთვე მურავიოვი — Царяеву. დასახ. ნაშრ. გვ. 118.



მე მაქვს მხოლოდ გადამდგარი ფრანგა ფოსტის მოხელის მკარე მოცულობის არამეცნიერული ნაშრომი, რომლის მიხანაც იყო, მხარი დაეჭირა სომეხთა უფლებებისათვის ამ მონასტერზე³¹³. ნებისმიერ შემთხვევაში, ქართული კულტურის უმდიდრესი და უთვალავ საგანძურის განადგურება მაშინ, როცა მონასტერს სომეხები ფლობდნენ, სამუდამოდ დარჩება მათ სინდისზე³¹⁴.

5. ანას სახლი

წმ. იაკობის მონასტრის მახლობლად ამჟამად დგას სომეხების დედათა მონასტერი. ეს მონასტერი აშენდა იმ ადგილზე, სადაც ოდესღაც მღვდელმთავარ ანას სახლი იდგა³¹⁵. მონასტერი აგრეთვე ცნობილია ანგელოზთა მონასტრის სახელწოდებით³¹⁶. ადრეულ ხანებში (ლათინთა მმართველობამდე) იგი აღბაჟა ქარიველებს ეკუთვნოდა. მაგრამ ყველაზე ადრეული ისტორიული ცნობა, რომლის მოძიებაც შეეძელი, XV საუკუნისაა. 1467 წ. მონასტერი ეკუთვნოდა სომეხებს³¹⁷,


313 Question sur la propriété du couvent de St. Jacques à Jérusalem par Carlo Gurmani, ex-agent de la poste française de la Terre Sainte, extrait de la revue mensuelle Le Sion (armen. Jerusalem. 1867) . გვ. 24.

314 1936 წ. ივლი-აგისტოში, როცა მონასტერს ვესტურზე. მათ მიიხრეს, რომ რამდენიმე ქართული ხელნაწერი პიონდათ, მაგრამ როცა მონასტერი მხოლოდ მოინახულე, იმავე მღვდლებს მიიხრეს, არაყერი არა გვაქვსო. პაპეტერსს და ცაგარელსა აგრეთვე ვერ შეძლეს ენახათ აქ რამე ქართული დოკუმენტი.

315 იოანე 18. 13-24; უდრ. იგივე ცნობა მათესთან, 26. 57-75, მარკოსთან — 14. 53-72 და ლუკასთან — 22. 54-71.

316 ანდა ანგელოზთა დღეების (1602-3 წ.), კათაფას და ანას სახლის (1561 წ. გორამბერი, გვ. 410). ანდა ზეთისხილის ხის (მაინტენს, რომ ქრისტე შაბებს ზეთისხილის ხეს) მონასტრის სახელწოდებით. Tobler. Topographie. I, გვ. 365.

317 Description de la Terre Sainte par un Franciscain anonyme. Ed. Kohler. - Revue de l'Orient Chrétien. XII. Paris, 1911, გვ. 19. მონასტერსა ცხოვრობდნენ ბერები და მონაზვნები.



მოსდგენი 1483, 1493³¹⁸, 1507, 1519³¹⁹ წლებში იგი უკვე ქართველების ხელშია. 1561 წ. მონასტერი ისევ სომხებს დაუბრუნდა³²⁰ და 1602-3 წ. ქართველები იბრუნებენ მას³²¹. ქართველები ანას სახლს შეიძლება XVII ს-ის შუა ხანებამდე ინარჩუნებდნენ, ვინაიდან, როგორც ჩანს, სომხებს ის მაიოვის 1688 წლამდე არ წაურთმევიათ³²². შესაძლოა, მიწა ამ მონასტრის ასაშენებლად დიდი ხნით ადრე შეიძინა პეტრე იბერმა და იგი ყოველთვის გეუთვნოდა იბერთა მონასტერს. დროთა განმავლობაში მონასტერი აღბათ დამოუკიდებელი გახდა³²³. პალესტინის ქართული ეკლესიებისა და მონასტრების ცაგარლისეულ

318 [დასახელებულია] "Kirchens", რაც ნიშნავს ქართველებს და არა ბერანებს ის. ზემოთ, გვ. 47. შენ. 93.

319 ის. აქვე, 1483, 1493, 1507 (Georgii prioris Gemnicensis). 1519 და 1602-3 წ. ნაწევრები.

320 იაკობ ვორმსერო, გვ. 410 (1561 წ.): „კაიაფას და ანას სახლი სომხების ხელშია“.

321 ტობლერის მიხედვით (Topographie, I, გვ. 367) სომხები „აღბათ“ მონასტრის პარკული მულობელები იყვნენ, მაგრამ 1507 წ. იგი კვლავ ქართველთა ხელშია. 1556 წ. მონასტერი ისევ სომხებისა და ისინი „დარჩნენ“ მის მულობელებად. ჩვენ არ შეგვიძლია უშუალოდ დავამტკიცოთ (და ამას აღიარებს ტობლერიც), რომ სომხები იყვნენ მონასტრის პირველი მულობელები. ანას გარდა, მონასტერი გეოგნოდა ქართველებს არა 1507-1556 წლებში, როგორც ფიქრობს ტობლერი, არამედ 1483 წ. წინავე ხანიდან — 1603 წლამდე (ჩანსოკლე პაუხით 1561 წ.) შესაძლებელია, აგრეთვე, რომ 1561 წ. სომხები ქართველებს ნაკვლავ შეცდომით არიან მოხსენიებულნი.

322 1688 წ. ანას და კაიაფას სახლი სომხებს გეუთვნოდა. სომხები პილაგრიმებს არ უშეუბდნენ მონასტერში, რომელსაც მაღალი კედლები შემოავლეს (ის. 1688 წ. ნაწევრები). საესებით შესაძლებელია, რომ სომხები ცდილობდნენ, ამ დროს იქ ქართველთა კვალი (წარწერები, ფრესკები და ა.შ.) მოესპოთ, ოღონდ არ სურდათ, საფაჩათი ქმედების მოწივები ჰყოლოდათ.

323 ეს შეიძლება იყოს ქართველ დედათა მონასტერი იერუსალიმში, რომელიც 1108 წ. იხსენიება.



სიამსი მასზე არაფერია ნათქვამი³²⁴.

6. არმტორიუმი

ცაგარელი არ იხსენიებს ამ მონასტერს. 1370 წლის პილიგრიმის მოხსენებიდან ვიგებთ, რომ „იერუსალიმის მთავარ ქუჩაზე, ქალაქის ბოლოს, სამ საფეხურს ჩაგვივართ დაბლა. აქ არის პრეტორიუსი (ბერძნულად *φύλακον*, წყნის ენაზე --- დილეგა). წმინდა საკურთხეველი აქ ეკუთვნის იბერიელებს და აქ იბერიულია წირვები სრულდება“.

ეს (პრეტორიუმი) შეიძლება ავრეიყუც აღნიშნავდეს ანას სახლს (მაშინ შეკადარე წმინდა ანგელოზების დილეგს), მაგრამ რამდენადაც ვიცო, ანას სახლი არსად არ იხსენიება პრეტორიუმად. უფრო სავარაუდოა, პრეტორიუმი რომელიღ ხელისუფალთა შტაბ-ბინა იყოს, სადაც ტარდებოდა სასამართლო სესიები და სადაც აღბათი მშაროეული ცხოვრობდა. მონასტერმა დღემდე შეინარჩუნა სახელი „პრეტორიუმი“. ის ახლა სტეფანეს კარიბჭესთანაა და ბერძნებს ეკუთვნის³²⁵.

324 ცაგარელმა (დასახ. ნაშრ., გვ. 128-29) XX სომხად მოახსენა წმ. ანას მონასტერი — ახლანდელი დღიანთა ბუიხედა. წმ. სტეფანეს კარიბჭესთან არაა წმ. იოაკიმისა და ანას ბერძნული მონასტერი. ამ მონასტერს საერთო არაფერი არა აქვს მდებარეობისაგან ანას სახლთან მოუხედავად ანასა. 130-ე გვერდზე ცაგარელს აქვს მოკლე ცნობა: „აუღის თანახმად წმ. ანგელოზის ეკლესია იერუსალიმში 1519 წ. ეკუთვნოდა ქართველებს“. თუცა თავად ცაგარელი არ ცდილობს ამ ეკლესიის იდენტიფიკაციას შესაძლებელია აქ იგულისხმება ანას სახლი. იხ. სეზოი. შენ. 323.

325 ეს მონასტერი მდებარეობს ზედ ბუიხედასთან, რომელიც ცაგარელის მსიდელოი შუა საუკუნეებში ქართველებისა იყო (*Λατρεν.ი.* დასახ. ნაშრ., გვ. 128-9). მონასტერი ახლა ეკუთვნის საფრანგეთის მთავრობას და მასზე იუთარი ძნობა ზოგჯერ ბეთსედა მდებარეობს ორი ბერძნული მონასტრის: პრეტორიუსისა და იოაკიმის მონასტრებისა და ანას სახლის შორის შესასვლია. შუა საუკუნეებში ეს სამი მონასტერი შეადგენდა ერთ ანსამბლს და მარა, რომელსედაც ისინი იდგენენ, სავარაუდოა, ქართველებისა იყო. იხ. 1370 წ. ნაწვეტი.



7. ბათსიმიანი, ღვთისმშობლის საფლავი

ეს ბაზილიკა, სადაც განისვენებს ღვთისმშობლის ნეშტი, ისევე როგორც წმინდა საფლავის ბაზილიკა, ტრადიციის მიხედვით ეკუთვნის სხვადასხვა ეროვნებას. ბაზილიკაში ქართველებსაც მქონდათ საკურთხეველი. საკურთხეველი ღვთისმშობლის წმინდა საფლავის მარჯვნივ იდგა და იქ ტარდებოდა ქართული წირვა. ამის დამადასტურებელი ყველაზე ადრეული საბუთი მე 1370 წლით დათარიღებულ აღწერაში აღმოვაჩინე, მაგრამ ქართველები აქ აღბათ უფრო ადრეული ხანებიდან იყვნენ³²⁶. მსგავს ცნობებს ვხვდებით 1391 და 1389—1405 წლებში. 1421 წ. ქართველთა ეს საკურთხეველი სომხებს ჩაუვარდა ხელში³²⁷ და ქართველებს მქონდათ მხოლოდ საკურთხეველი ბაზილიკის ყველაზე ბნელ კუთხეში. 1480-3 წ. ცნობით ვიგებთ, რომ „საკურთხეველი, რომელიც საფლავთან ყველაზე ახლოსაა, ეკუთვნის სომხებს, ხოლო მეორე, — ბნელი თალის ქვეშ — ქართველებს“. ჩანს, ქართველებმა ეს საკურთხეველიც დაკარგეს. 1586 წ. ქართველთა საკურთხეველი იყო ეკლესიის შესასვლელიდან: „მარმარილოს ორმოცდაათი საფეხური მიემართება დაბლა ბაზილიკაში; უკანასკნელ საფეხურზე არის ქართველთა სამსხვერპლო საკურთხეველი. ის შედარებით უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე ბერძნების“³²⁸. 1586 წლის შემდეგ, სამწუხაროდ მე

326 საქართველოში ღვთისმშობლის კულტს დიდი მნიშვნელობა აქვს და თუ წმ. გიორგის არ მისჯდება მხედველობაში, ხალხის რელიგიური ცხოვრების დიდ ნაწილი გახლავთ.

327 იოანე პოლონური: „პირველი საკურთხეველი საფლავის გვერდით ეკუთვნის სომხებს, მეორე ბნელი თალის ქვეშ — ქართველებს“. იხ. 1370, 1391, 1389—1405, 1421, 1480—3 და 1586 წწ. ნაწყვეტები.

328 აქ საქმე [არ] ეხება სამსხვერპლოს (აღბათ ეს არის საეკლესიო შეწირულობების საკურთხეველი). ამ დროს ქართველებს ჯერ კიდევ მქონდათ ბნელი კუთხე ბაზილიკაში.



ადარ მაქვს ცნობა ქართველთა შესახებ ღვთისმშობლის საფლავში³²⁹.

8. გათსიმიანის ბაღი და უპთისიძის მთა

ჩვენ გვაქვს ორი ცნობა გეთსიმიანის ბაღში ქართველი განდევნილების ყოფნის შესახებ. ერთი თარიღდება 808 წლით, ხოლო მეორე 1185 წლით. ქართველ ბერებზე კა, რომლებაც ზეთისხელის მთაზე ცხოვრობდნენ, სამწუხაროდ მხოლოდ ერთი ცნობა არსებობს, ისაც აგრეთვე 808 წლისა³³⁰.

9. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტარი იერუსალიმში

სამწუხაროდ, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერზე მხოლოდ ერთი ცნობა მაქვს, რომელიც 1421 წლით თარიღდება³³¹. „ეს მონასტერი ახლა ეკუთვნის ბერძნებს“. როგორც იოანე პოლონური დასქენს³³², მონასტერი მდებარეობდა წმინდა საფლავსა და დავითის კოშკს შორის.

10. წმ. გიორგის მონასტარი იერუსალიმში

ერთადერთი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აქ (*sancto Georgio*-ში) ქართველი ბერები ცხოვრობდნენ, ფრანჩესკო სურინოსი გახლავთ და ეკუთვნის XV საუკუნეს³³³.


329 ცაგარლის მიხედვით (დასახ. ნაშრ., გვ. 129) XVIII საუკუნეში ქართველებს აქვთ კიდევ აქონდათ თავიანთი საკურთხეველი გეოსამანაში.

330 მესვეტეები აღბაით ცხოვრობდნენ გეოსამანაში. იხ. 808 და 1185 წწ. ნაწყვეტები.

331 იხ. 1421 წ. ნაწყვეტი.

332 იქვე ცაგარელს ეს მონასტერი არა აქვს შეტანილი თავის სიაში. იხ. VII საუკუნის (აქვე, გვ. 27) სოქესი პოლგრიზი. შესაძლოა, მის შეფუძვლაში აქვს ეს მონასტერი.

333 იხ. XV ს-ს. ნაწყვეტი. შტრ. აგრეთვე *Исаеи*. დასახ. ნაშრ., გვ. 122.



11. წმ. სპირიტოსის მონასტარი იერუსალიმში (კახამონი)

ფრანსესკო სურიანოს მიხედვით ქართველმა ბერებმა ეს მონასტერი XVI ს-ის პირველ ნახევარში დატოვეს³³⁴.

12. წმ. ნიკოლოზის მონასტარი იერუსალიმში

ჯერის მონასტერი მხოლოდ ხანდახან იხსენიება, როგორც წმ. ნიკოლოზის მონასტერი³³⁵. ის წმინდა საულაგთან, პატრიარქების რეზიდენციის მიხედვით მდებარეობს. ტომოიეს³³⁶ მიხედვით წმ. ნიკოლოზის მონასტერი ქართველთა დედოფალმა ააშენა XVII საუკუნის შუა ხანებში, მაგრამ ნამდვილი ცნობები მის შესახებ გაცილებით ადრეული ხანისაა³³⁷. XII საუკუნეში (1187 წ.) საღაღინმა წმ. ნიკოლოზის მონასტერი ქართველებს მისცა. საკითხავია: ეს ამ სახელით ცნობილი მონასტერია თუ ჯერის მონასტერი? ჩემი აზრით აქ უფრო ჯერის მონასტერი იგულისხმება. 1584 წლით თარიღდება ცნობა, რომელიც წმ. ნიკოლოზის მონასტერს ჯერის მონასტრის მეტოქს

334 იხ. ნაწევრები ამ პერიოდიკოსის ამის მიმართ ფრანსესკო სურიანო იხსენიებს ბედონია შემოსევისროლებსაც 1515-1524 წლებში ცხრანტა ბერი დასოცეს (იქვე. გვ. 132). იგივეს აზრობს თანა (გვ. 38) და ცაგარელი (გვ. 123-4). აუღგენათი საშუაობის დროს, რომლებიც ბერსებებს 1859 წ. ჩაატარეს. აღსანიშნად რამდენიმე ქართული (საგარეული) საფლავის ქვის წარწერა. ეს ქვები ახლაც დაცულია გელსაში, სამხრეთაღლო საკუროსიელის ქვეშ. კერძ ცაგარელს და კერძ მე 1936 წ. აგვისტოში ეს წარწერები კერ ამოიკითხეთო. მე გადავადე მათი ფოტოსურათები. რომლებიც ერთის ამ ნაშრომი.

335 იხ. 1465-6 წ. ნაწევრები, *Исаеа.ру.* დასახ. ნაშრ. გვ. 120—1, 123.

336 ქართველი მთავარეპისკოპოსი [ტომოიე გაბაშვილი], რომელიც XVII საუკუნეში სალოცაკად გაემგზავრა პალესტინაში და დაგვიტოვა ეს აღწერა. *Исаеа.ру.* დასახ. ნაშრ., გვ. 120

337 შესაძლოა, დედოფალს [ეს არის კახთ დედოფალი ელენე — გ.ჯ.] მონასტერი აღადგინა.



უწოდებს. 1651 წ. ორი ცნობა მას ქართველთა საკუთრებად მხეციებს. 1858 წ. არქიმინდრიტმა ლეონიდემ ძველი საფლავის ქვებზე ნახა ქართული წარწერები, რომლებიც ახლაც მონასტრის კედლებშია და პატრიარქების ბაღს გადააკურებს. ამ წარწერებიდან დღემდე სამწუხაროდ ამოიკითხეს და დაბეჭდეს მხოლოდ ერთი წარწერა³³⁸. საწყენია, რომ გათხრების ნარჩენებს ამავე ადგილზე ყოიან და წარწერის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩანს. ასეთი იყო ვითარება, როცა მე იქ ვიყავი 1936 წ. აგვისტოში. დარწმუნებული ვარ, არქეოლოგიური გათხრები ბერძენი პატრიარქის სახლის ბაღში ქართულწარწერებიან ბევრ საფლავის ქვას გამოავლენს.

13. სარანდარიონი

ეს მთა, სადაც სათლისღების შემდეგ იესო ქრისტე 40 დღე და ღამე მარხულობდა და სადაც მას ეშმაკი აცდუნებდა, ძალზე ადრეული დროიდან იზიდავდა ქრისტეიან ასკეტებს. ლათინთა სამეფოს დამხობის შემდეგ ლათინ ბერთა ნაცვლად იქ ქართველები ცხოვრობდნენ. 1336 წ. ქართველები აჯერ კიდევ ცხოვრობდნენ სარანდარიონში³³⁹.


14. წმ. იოანე ოპროპირის მონასტერი (იპრიპონის ულაგონი)

ეს მონასტერი იმავე იორდანეს უდაბნოშია. 1099–1291 წლებში, თანახმად ნაშრომისა *The Latin Kingdom of Jerusalem*, ქართველი ასკეტები ცხოვრობდნენ წმ. ოპროპირის მონასტერში, რომელიც მდებარეობდა იერიქონის სამხრეთით³⁴⁰. აგრეთვე იოანე ფოკამ

338 იხ. 1187, 1584, 1651 და 1858 წწ. ნაწყობები.

339 იხ. 1336 წ. ნაწყობი და ზემოთ გვ. 76, სადაც ციტირებულია *The Latin Kingdom of Jerusalem*.

340 იხ. ზემოთ, გვ. 76-77.



1185 წ. ნახა აქ ქართველი განდევილი³⁴¹.

15. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი და წმ. გერასიმეს (შისაქლოა, კალაქონის) მონასტერი იორდანუს უაბანოში

როგორც მითითებს ნაშრომი *The Latin Kingdom of Jerusalem*, ლათინთა მმართველობის დროს ქართველი ბერები და ბერძნები მეგობრულად ცხოვრობდნენ წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში³⁴². ასევე მეგობრულად ცხოვრობდნენ ქართველები და ლათინები წმ. გერასიმეს მონასტერში³⁴³.

მონასტერი, რომელიც, როგორც მიიჩნევენ, 1185 წ. წაიღო ადიდებულია მდ. იორდანემ, ვფიქრობ, იყო წმ. გერასიმეს მონასტრის ნაწილი³⁴⁴.

16. წმ. საბას ჭაპრა იერუსალიმის უაბანოში

ამ ცნობილ ლავრაში ქართველებს საკუთარი ეკლესია ჰქონდათ. ამის დამამტკიცებელ საბუთს ვხედებით ჯერ კიდევ VI საუკუნეში³⁴⁵. 1185 და 1370 წლებში აქ ქართველი ბერები ცხოვრობდნენ³⁴⁶.

341 იხ. 1185 წ. ნაწყვეტი, შესახლა ის აგრეთვე შესვეტე იყო.

342 ცაგარელმა (დასახ. ნაშრ., გვ. 125-6) იმ ადგილზე სამი ქართული წარწერა ნახა. ისინი გამოქვეყნებულია იქვე. №№ XXXV-XXXVII, გვ. 251-2, 1936 წ. აგვისტოში მე ენახე მხოლოდ №XXXV.

343 იხ. უიქსონი, გვ. 76.

344 იხ. 1185 წ. ნაწყვეტი.

345 ცაგარლის მიხედვით (დასახ. ნაშრ., გვ. 126-8) ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, ლავრაში არსებულ მრავალ ეკლესიათაგან რომელი ეკუთვნოდა ქართველებს. შესახლო ცნობას გვაწვდის არქიმანდრიტი აგრეთონიოსი (1370 წ.): -გამოქვეყნებულია. სადაც ბარბაროსებმა ორმოცი ბერი დახოცეს, დგას იბერიელთა (ქართველთა) ეკლესია".

346 იხ. 531, 1185 და 1370 წლების ნაწყვეტები.



17. მართკმეფაბი გითღმეში

1335 წლის ცნობით ქართველებს საკუთარი საკურთხეველი აქინდათ შიბის ბახილიკაში, შიბის გამოქვაბულის გარეთ.³⁴⁷

18. ლაშათა მართული მონასტრები

1108 წლის ცნობით საქართველოს ერთი დაქვრივებული დედოფალი მონაზვნად აღიკვეცა იერუსალიმის დედათა ქართულ მონასტერში³⁴⁸. ამ შემთხვევის გარდა, მონაზვნები, ისევე როგორც ბერები, ცხოვრობდნენ ჯვრის მონასტერში³⁴⁹. 1280 წ. გეგმდება იერუსალიმში პილიგრიმებად ჩასული ქართველი მონაზვნები³⁵⁰.

19. ლაშაბის მონასტარი იერუსალიმის უღაბნოში

